

ბ. ბუნეიკაშვილი

ნ. ვ. გოგოლი
ქართულ სცენაზე

რედაქტორი ერ. ქარელიშვილი

გადაეცა წარმოებას 13/VIII-54 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XII 54 წ., ანაწყობის ზომა 6X9, ქალაქის ზომა 60X84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 5,5.

უფ05982. ტირაჟი 3000. შეკვეთა № 1897.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიულ მრეწველობის გამომცემლობათა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა მთავარი სამმართველოს სტამბა № 2.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № Главного Управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли Министерства Культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლი სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც რუსეთი მეფე ნიკოლოზ პირველის მკაცრი რეაქციის ხუნდებში იყო ჩოქყული. უნიჭიერესმა მწერალმა შესანიშნავად ასახა ამ დესპოტური ხანის შავბნელი სურათები, გაბედულად ამხილა იმდროინდელი ფეოდალურ-ბიუროკრატიული რეჟიმი, სასტიკად დაგმო ბატონყმური წესწყობილება.

ნ. გოგოლი თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი იყო და თავისი მხატვრული ნაწარმოებით უდიდესი სამსახური გაუწია რუსი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას.

გამოჩენილი რუსი რევოლუციონერი მოაზროვნე ნ. ჩერნიშევსკი სამართლიანად წერდა: „დიდხანია მსოფლიოში არ იყო მწერალი, რომელიც თავისი ხალხისათვის ასე საჭირო იყო, როგორც გოგოლი რუსეთისათვის“.

ნ. გოგოლი მთელი თავისი შემოქმედებით ქეშმარიტი ნაციონალური რუსი მწერალია, რუსული ცხოვრების შესანიშნავი ამსახველი. დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი წერდა: „გოგოლის ყველა ნაწარმოები მარტოოდენ რუსული ცხოვრების სამყაროს გამოხატვისადმი მიძღვნილი და ამ ცხოვრების მთელი სინამდვილით ასახვის ოსტატობაში მას მეტოქე არ ჰყავს“.

ნ. გოგოლმა თავის მოთხრობებში ასახა იმდროინდელი რუსეთის ნამდვილი ცხოვრება, ამ ცხოვრებაში არსებული სოციალური წინააღმდეგობანი. მან თვალნათლივ დაგვანახვა მებატონეთა სულიერი შეზღუდულობა, ჩამორჩენილობა. ნ. გოგოლმა სატირული სიმწვავეით გაამათრახა ბატონყმური რუსეთის სობაკევიჩები, პლიუშკინები; მანილოვები, ნოზდრეევი და ჩიჩიკოევი. ულმობელი იყო ნ. გოგოლის მხილება მეფის მოხელეთა მორალური დაკნინებისა. მექრთამეობა, ბლიქვენლობა, ხალხის ინტერესების აბუჩად აგდება — ასეთია ნ. გოგოლის მიერ სინამდვილიდან ასახული ცარიზმის მართვა-გამგეობა.

ნ. გოგოლმა ბრწყინვალედ დახატა ხალხი, მისი მაღალი მორალური თვისებები. მწერალი ხალხის მხარეზეა, მისი მოსარჩლეა. ამ ხალხიდან გამოჰყავს ნ. გოგოლს თავისი ქვეყნის შესანიშნავი პატრიოტები, რომლებიც სიცოცხლესაც კი არ ზოგავენ სამშობლოს ინტერესებისათვის.

ნ. გოგოლმა შექმნა აგრეთვე მაღალმხატვრული დრამატული ნაწარმოებები: „ქორწინება“, „ბანქოს მოთამაშენი“, „რევიზორი“. ეს უკანასკნელი, „რევიზორი“, წარმოადგენს რეალისტური დრამატურგიული ოსტატობის მწვერვალს. სოციალური სატირის ამ დიდ ნაწარმოებში, ნ. გოგოლმა შეუდარებელი მხატვრული ოსტატობით გამოსახა რუსეთის ფეოდალურ-ბიუროკრატიული მართვა-გამგეობის სურათები. მწერალმა გვიჩვენა, რომ ხალხის მჩაგვრელთა ხროვა წყაღებულა იმდროინდელი სასელმწიფო სისტემის დასაყრდენს.

თვითონ ნ. გოგოლი „რევიზორის“ შესახებ წერდა: „თუ ვიცინით, ჯობია ვიცინოთ ძლიერად და იმაზე, რაც ნამდვილად საყოველთაოდ დაცინვის ღირსია. „რევიზორში“ მე გავბედე ერთ რკალში მომექცია რუსეთში არსებული ყველაფერი ცუდი, რაც მე ნაშინ ვიცოდი, ყველა უსამართლობა, რაც ხდება იმ ადგილებში და იმ შემთხვევაში, როცა ადამიანს ყველაზე უფრო მოეთხოვება სამართლიანობა, — და გადავწყვიტე ყოველივე ეს ერთბაშად დამეცინა“.

ნ. გოგოლმა „რევიზორით“ და სხვა თავის დრამატულ ნაწარმოებებით განავითარა და სრულქმნა რუსული რეალისტური დრამატურგიის ტრადიციები, დაწყებული დ. ფონვიზინის „უმწიფარით“ და ა. გრიბოედოვის „ვაი ქკუისაგან“-ით.

ნ. გოგოლმა თავიდანვე, პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებიდანვე მკითხველთა უდიდესი ყურადღება დაიმსახურა. მას აღფრთოვანებით შეეგება რუსეთის პროგრესული საზოგადოებრივობა, მაგრამ ნ. გოგოლს მტრულად შეხვდნენ მმართველი წრეები.

განსაკუთრებით მკაცრად დაუწყეს დევნა ნ. გოგოლს იმის შემდეგ, როცა „რევიზორი“ სცენაზე დაიდგა. ეს დევნა იმდენად ძლიერი იყო, რომ დიდი მწერალი იძულებული შეიქნა საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო.

მეთვის რუსეთის მმართველმა რეაქციულმა წრეებმა დაინახეს, რომ „რევიზორი“ უღმობლად აკრიტიკებდა რუსეთში დამყარებულ



„რევიზორის“ შთარგნული — ა. კიკინაძე.

სახელმწიფო წყობას და ამიტომ შეეცადნენ გაექარწყლებინათ მისი ძლიერი მამხილებელი ხასიათი. დაქირავებული კრიტიკოსების პირით მათ გამოაცხადეს, ვითომც „რევიზორის“ შინაარსი არ წარმოადგენდა ცარიზმის მართვა-გამგეობის დამახასიათებელ სურათს, რომ კომედიის სიუჟეტად ვითომც კერძო შემთხვევა იყო აღებული. ნ. გოგოლი „რუსეთის მტრად“ აღიარეს და მის დაპატიმრებასაც კი მოითხოვდნენ. კომედიის ზემოქმედების გასაქარწყლებლად ვინმე ციციანოვს პიესაც დააწერინეს — „ნამდვილი რევიზორი“ და თეატრებს აიძულებდნენ დაედგათ იგი ნ. გოგოლის „რევიზორთან“ ერთად.

მაგრამ ამაო იყო „რევიზორის“ მნიშვნელობის გაქარწყლების ყოველი ცდა. ეს შესანიშნავი კომედია პოპულარულ ნაწარმოებად იქცა რუსეთის სცენაზე და მალე მთელს მსოფლიოში გაითქვა სახელი.

ნ. გოგოლის მხატვრული ქმნილებები შევიდა მსოფლიო კულტურის საგანძურში. ნ. გოგოლის მხატვრულ ნაწარმოებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ლიტერატურისა და, კერძოდ, ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის, რადგან ნ. გოგოლის ნაწარმოებთა შინაარსი ეხმაურებოდა ამ ხალხთა ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. ნ. გოგოლის ნაწარმოებებმა ხელი შეუწყეს კრიტიკული რეალიზმის განვითარებას რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა ნაციონალურ ლიტერატურაში. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ჩვენში ნ. გოგოლის კომედია „რევიზორი“. ამ კომედიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული რეალისტური თეატრის შექმნაში.

* * *

ქართველი საზოგადოება ნ. გოგოლის დრამატურგიულ შემოქმედებას და კერძოდ „რევიზორს“, გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან გაეცნო. „რევიზორი“ ჩვენში პირველად 1846 წელს წარმოადგინეს თბილისის რუსულ თეატრში.

მცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, ქართველი მოწინავე საზოგადოება თანდათან უფრო მეტად დაუახლოვდა რუსულ კულტურას. საქართველოში ფართო გავრცელება ჰპოვა რუსულმა გაზეთმა, რუსულმა წიგნმა.

საქართველოს ხშირი სტუმრები იყვნენ გამოჩენილი რუსი მწერლები. საქართველოს ესტუმრნენ ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი. აქ ცხოვრობდა ჯარისკაცად განწესებული პოეტი — დეკაბრისტი ა. ოდოევსკი. დიდ რუს მწერალს ა. გრიბოედოვს საქართველო თავის მეორე სამშობლოდ მიაჩნდა. ის დაუახლოვდა ცნობილი ქართველი პოეტის ა. ჭავჭავაძის ოჯახს და ცოლად შეირთო მისი ქალი ნინო. ირანში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ა. გრიბოედოვის ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და მთაწმინდაზე დაკრძალეს, — იქ, სადაც ამჟამად ქართველი ხალხის გამოჩენილ მოღვაწეთა პანთეონია.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი საზოგადოება, თბილისში გამართულ სცენისმოყვარეთა რუსული წარმოდგენების საშუალებით რუსულ თეატრსაც გაეცნო. სცენისმოყვარეებმა არა ერთხელ წარმოადგინეს ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი კჟუსისაგან“.

მუდმივი რუსული თეატრი თბილისში 1845 წლის შემოდგომაზე დაარსდა. პირველ სათეატრო სეზონში დასი შედარებით სუსტი იყო, ხოლო მომდევნო 1846 — 1847 წლების სეზონისათვის ის შეივსო პეტერბურგისა და მოსკოვის თეატრების მსახიობებით, რომელთა შერჩევაში მონაწილეობა მიიღო დიდმა რუსმა მსახიობმა მ. შჩეპკინმა. ჩამოსულთა შორის იყო ნიკიფერი მსახიობი ა. იაბლოჩკინი, რომელმაც დასის რეჟისორობაც იკისრა. ა. იაბლოჩკინი შეეცადა თბილისის მაცურებლისათვის ეჩვენებინა იმდროინდელი რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებები.

1846 წლის 8 ოქტომბერს თბილისის რუსულ თეატრში ა. იაბლოჩკინის რეჟისორობით წარმოადგინეს ა. გრიბოედოვის „ვაი კჟუსისაგან.“ ჩაცკის როლს ა. იაბლოჩკინი ასრულებდა¹. იმავე წლის 8 დეკემბერს წარმოდგენილი იქნა ნ. გოგოლის „რევიზორი“². სამწუხაროდ ამ სპექტაკლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ხლესტაკოვის როლი ა. იაბლოჩკინს უნდა შეესრულებინა, როგორც დასის პირველ მსახიობს.

მეფის ნაცვალი მ. ვორონცოვი შეეცადა რუსული თეატრი საქართველოში ტარიზმის ინტერესებისათვის დაემორჩილებინა. ამ მიზ-

¹ გაზ. „კავკაზი“, № 41, 42, 1846 წ.

² გაზ. „კავკაზი“, № 49, 1846 წ.

ნით მ. ვორონცოვმა შემდეგში თბილისის რუსულ თეატრს სათავეში ჩაუყენა პეტერბურგიდან მის განკარგულებაში მოვლინებული მწერალი ვ. სოლოგუბი, რომელიც ცნობილი იყო როგორც უკიდურესი რეაქციონერი. ვ. სოლოგუბი ყოველნაირად ცდილობდა თეატრის მუშაობა ცარიზმისათვის სასურველი გზით წაემართა. ის მუდამ ეწინააღმდეგებოდა „ვარი კეუისაგან“-ის და „რევიზორის“ დადგმას. 1851 წელს თბილისის ახალი სათეატრო შენობის გახსნასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. სოლოგუბი ცინიკურად წერდა ადგილობრივი მაყურებლის შესახებ: „ნუ თუ, გაუფხვნიტ რა მას თეატრი, ვუჩვენეთ რა მისი გონებრივი განვითარების ახალი ასპარეზი, ახალი, მისთვის უცნობი სიამე, „ვარი კეუისაგან“-ის და „რევიზორის“ წარმოდგენით ვასწავლიტ მას მხოლოდ მწარე და კევიან სიცილს თავის თავზე“¹...

შიუხედავად ასეთი სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, თბილისის რუსულმა თეატრმა კოლექტივის ჯანსაღი ნაწილის მეოხებით მნიშვნელოვანი სისარგებლო საქმე გააკეთა. ჩვენი მაყურებელი მისი საშუალებით არა ერთ შესანიშნავ რუსულ დრამატულ ნაწარმოებს გაეცნო. ეს ნაწარმოებები გამსჭვალული იყო პროგრესიული იდეებით, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით. 40-იან და 50-იან წლების თბილისის რუსულ თეატრში არა ერთხელ იყო წარმოდგენილი ნ. გოგოლის „რევიზორი“. არა ერთხელ იყო აგრეთვე წარმოდგენილი ნ. გოგოლის მეორე კომედია „ქორწინება“ და „მკვდარი სულების“ ინსცენირება².

თბილისის რუსულმა თეატრმა ხელი შეუწყო ნ. გოგოლის სახელის ფართოდ პოპულარიზაციას. დიდი რუსი დრამატურგის სახელი სულ მალე ისევე საყვარელი და ძვირფასი შეიქმნა ქართველი მოწინავე საზოგადოებისათვის, როგორც იყო ის მოწინავე რუსეთისათვის.

1852 წელს ნ. გოგოლის გარდაცვალებამ მოწინავე რუსეთთან ერთად დიდად დაამწუხრა მისი პატივისმცემელი ქართველობაც. ნ. გოგოლის დაკრძალვის ამბავი ფართოდ გააშუქეს თბილისის პრესაში. გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილი იყო წერილი მოსკოვიდან.

¹ გაზ. „კავკაზი“. № 29, 1851 წ., ვ. სოლოგუბი „ახალი თეატრი თბილისში“.

² გაზ. „კავკაზი“, № 64, 1909 წ. 20 მარტი „ნ. გოგოლი თბილისის სცენაზე“.

„მთელი მოსკოვი დაესწრო ამ სევდიან დღეს, — ვკითხულობთ კორესპონდენციაში, — ხოლო მოსკოვის სახით მთელმა რუსეთმა საკადრისი პატივი სცა თავის მიცვალებულ შვილს...“ — ვის ასვენებენ? — წარმოსთქვა ვიღაც გამვლელმა — ნუთუ ყველანი განსვენებულის ნათესაებია?

— გოგოლს ასვენებენ, — უპასუხა ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელიც კუბოს მიჰყვებოდა, — ჩვენ კი ყველანი მისი სისხლით მონათესავენი ვართ და ჩვენთან კიდევ მთელი რუსეთია“¹...

წერილში შემდეგ ვკითხულობთ: „არავის ისე არ უყვარდა სამშობლო, როგორც გოგოლს. ის იწვოდა ენებათა ღელვით მისი ბუნებისათვის, მისი სახელისათვის. ნ. გოგოლის ყოველ ნაწარმოებში მხურვალე რუსული სისხლი სჩქედს, ისმის უსაზღვრო სიყვარული რუსეთისადმი, უღვეელი სურვილი მისთვის სარგებლობის მოტანისა... მაგრამ გოგოლი უდროოდ მოკვდა, ისევე, როგორც კედებიან ჩვენში დიდი მწერლები, როგორც მოკვდნენ პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი“...

* * *

1850 წელს თბილისში აღდგენილი იქნა ქართული თეატრი. თეატრის აღმდგენელი და მოთავე იყო ცნობილი პოეტი და დრამატურგი გიორგი ერისთავი. მისი კომედიები „გაყრა“ და „დავა“, რომლებიც საფუძვლად დაედო აღდგენილ ქართულ თეატრს, კრიტიკული რეალიზმის ნათელი ნიმუში იყო. რეალიზმის დამკვიდრებას ქართულ დრამატურგიაში დიდად შეუწყო ხელი რუსულმა რეალისტურმა ლიტერატურამ, საერთოდ, და კერძოდ რეალისტურმა დრამატურგიამ. — ა. გრიბოედოვის კომედია „ვინ ქკუსისაგან“ და ნ. გოგოლის „რევიზორმა“.

გიორგი ერისთავი რუსული ლიტერატურისა და თეატრის უდიდესი პატივისმცემელი და მოყვარული იყო. მან თარგმნა კიდევ რუსულიდან რამდენიმე სცენა კომედიისა „ვინ ქკუსისაგან“. გიორგი ერისთავის დრამატულ ნაწარმოებში „გაყრაში“ და „დავაში“ მკითხველი აშკარად შეამჩნევს, რომ ისინი ნ. გოგოლის დრამატურგიული პრინციპების მიხედვითაა აგებული, უფრო მეტიც, ამ კომედიებში გამოყვანილი ცარიზმის მოხელენი ბევრად ჰგვანან ნ. გოგოლის კო-

¹ გახ. „კავკასი“, № 21, 1852 წ. 2 აპრილი, „წერილი მოსკოვიდან“.

მედიების პერსონაჟებს, რომლებიც წარმოშობილი არიან საქართველოს ნიადაგზე.

გიორგი ერისთავი კარგად იცნობდა რუსულ თეატრს. ჩვენი გამოჩენილი დრამატურგი განაგრძობდა იმ კავშირს რუსულ თეატრთან, რომელიც დამყარდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსული თეატრის მაგალითზე თბილისში ქართული თეატრი იქნა დაარსებული. თვით ქართული თეატრის აღდგენა 1850 წელს, რაც ქართველი მოწინავე საზოგადოების ოცნების საგანს შეადგენდა, საგრძნობლად დააჩქარა თბილისში რუსული თეატრის არსებობის ფაქტმა.

გიორგი ერისთავი ახლო იდგა თბილისის რუსულ თეატრთან, მან პიესაც კი დაწერა რუსულ ენაზე — „პირველყოფილი სილამაზის მადიებელი“, რომელიც თბილისის რუსულმა თეატრმა 1853 წელს წარმოადგინა.

გიორგი ერისთავის თეატრი ფართოდ სარგებლობდა რუსული დრამატურგიით. იმდროინდელ ყველა ქართველ დრამატურგს (გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი, გ. ჯაფარიძე, გ. დვანიძე და სხვ.) თარგმნილი და გადმოკეთებული აქვთ მთელი რიგი რუსული პიესები, რომლებიც მათ ნახული ჰქონდათ თბილისის რუსული თეატრის სცენაზე.

დაწვრილებით არ შევჩერდებით 50-იანი წლების ქართული თეატრის მუშაობის აღწერაზე და ამ თეატრის ურთიერთობაზე რუსულ თეატრთან. ნ. გოგოლთან დაკავშირებით აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ ამბავს: 1851 წელს ქართულმა დასმა წარმოადგინა გიორგი ერისთავის კომედია „შტატგარეშე ქალაქის კომისარი“. ამ პიესას ჩვენამდე არ მოუღწევია, არც არავითარი ცნობები მოიპოვება მისი შინაარსის შესახებ, მაგრამ, ვინ იცის, შეიძლება ეს კომედია ნ. გოგოლის „რევიზორიდან“ იყო გადმოკეთებული, ან მისი მიბაძვით დაწერილი. ამის საფუძველს შეიძლება გვაძლევდეს კომედიის სათაური. ნ. გოგოლის „რევიზორი“ უთუოდ, მიმზიდველი ნაწარმოები უნდა ყოფილიყო თავისი შესანიშნავი შინაარსით იმდროინდელი ქართული თეატრისათვის, მაგრამ თეატრს ძალა არ შესწევდა ეს კომედია სრული თარგმნით წარმოედგინა და ალბათ მხოლოდ გადმოკეთებული სახით აჩვენა ქართველ მაყურებელს.

1856 წელს დაიშალა თბილისის ქართული თეატრის დასი. ორი წლის შემდეგ იგივე ბედი ეწვია თბილისის რუსულ თეატრსაც.

ერთიც და მეორეც მეფის რეაქციული რეჟიმის მსხვერპლი შეიქნა. მეფის მოხელეები სასტიკად დევნიდნენ, ავიწროებდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ ამ თეატრებს მათი პროგრესული მისწრაფების გამო.

ქართული თეატრი 1856 წელს დაიხურა, მაგრამ თეატრის აღდგენის იდეა არ გამქრალა. თეატრის საქმეს ხელი მოჰკიდეს სამოციანი და სამოცდაათიანი წლების ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა. ესენი იყვნენ ცნობილი ქართველი მწერლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ავალიშვილი, სერგეი მესხი და სხვანი. ბევრმა მათგანმა სწავლა-განათლება რუსეთში მიიღო. მათ იქ შეითვისეს ა. გერცენის, ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები და ეს იდეები საქართველოში გაავრცელეს.

საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების მეთაურებს კარგად ესმოდათ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ თეატრს ქართველი ხალხის თვითშეგნებისა და ქართული ნაციონალური კულტურის განვითარებისათვის. ამიტომ ისინი მთელი თავიანთი შესაძლებლობით ცდილობდნენ კვლავ აღედგინათ ქართული თეატრი.

სამოციან და სამოცდაათიან წლებში თბილისსა და საქართველოს დაბა-ქალაქებში სცენისმოყვარეთა წარმოდგენები იმართებოდა. სცენისმოყვარეთაგან თანდათან დაწინაურდნენ ნიჟიერი სასცენო ძალები, რომლებმაც 1879 წელს პროფესიული დასი შეადგინეს და იმავე წლის 1 სექტემბერს თბილისში მუდმივი ქართული თეატრი გახსნეს. ხელახლად აღდგენილ ქართულ თეატრში მოღვაწეობა დაიწყო ნატო გაბუნია, მაკო საფაროვამ, ვასო აბაშიძემ, კოტე ყიფიანმა, კოტე მესხმა, სულ მალე მათ მიემატა ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუჩია. ეს იყო უნიჟიერესი კოლექტივი. ქართული თეატრის კარი ამის შემდეგ აღარ გამოხურულა, რადგან ამ პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრება საგრძნობლად გამოცოცხლებული იყო და ძალა შესწევდა წინააღმდეგობა გაეწია და გაეძლო თვითმპყრობელობის დევნისათვის. სამართლიანად წერდა მაშინ „ივერია“:

„ნთავარა ნიშანი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ჩვენის თეატრის კეთილდღეობას, არის ჩვენი საზოგადოების ეროვნული გამოფხიზლება, ეროვნულის ცნობიერების განმტკიცება და ცოტაოდენად გაღვიძებული ჩვენში მამულის შეილობა და სამშობლოს სიყვარული“¹.

ამაზე ადრე, 1866 წელს, თბილისში ადგილობრივ საზოგადოებრივობის დაქინებით მოთხოვნით აღდგენილ იქნა რუსული თეატრა. მას სათავეში ისევ ა. იაბლოჩკინი ჩაუდგა. თეატრი კვლავ ცდილობდა ეჩვენებინა თბილისის მკაცრებისათვის რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებნი. მათ შორის ნ. გოგოლის „რევიზორი“.

ა. იაბლოჩკინმა 1867 — 1868 წწ. სათეატრო სეზონში დადგა ნ. გოგოლის „რევიზორი“ და თვითონ გოროდნიჩის როლი შეასრულა². ამის შემდეგ თბილისის რუსული თეატრის სცენაზე მრავალჯერ ყოფილა წარმოდგენილი როგორც „რევიზორი“, ისე ნ. გოგოლის „ქორწინება“.

„რევიზორი“ ქართველ მკურებელში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე თავის რუსულ გაზეთ „ობზორში“ 1878 წელს თბილისის რუსულ სცენაზე „რევიზორის“ დადგმის გამო წერდა:

„მაშ რატომ იყო პარასკევს თეატრი გაქედილი, მაშ რატომ, თანხმოდანად აფრინდებოდა მთელი ხალხი პიესის ყოველ ფრაზას, რომელიც ზეპირად იცოდა ჯერ კიდევ სკოლიდან?.. იმიტომ, ბატონებო, რომ „რევიზორში“ არ არის არაფერი კერძო, ანეკდოტური, შემთხვევითი ან ადგილობრივი. თვით ანეკდოტი, რომელიც საფუძვლად დაედო კომედიის ფაბულას, უჩინარდება და წინა პლანზე ჩვენი ცხოვრების ისეთ მამოძრავებელ ძალებს წამოწევს, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ ყველა რუს მოქალაქეთათვის, რომელ წოდებას და რომელ კუთხესაც ისინი არ უნდა ეკუთვნოდნენ. ეს არ არის რაიმე ეპიზოდური მოვლენის უაზრო თითხნა, ან პატარა ჯანრული სურათი, არც ტენდეციური ქადაგება თემანზე: თუ გსურს მდიდარი საცოლის მოპოება — იყავ სათნო ადამიანი, ეს არც

¹ გაზ. „ივერია“. № 11, 1882 წ., „ქართული თეატრი“.

² გაზ. „კავკაზი“, № 64, 1909 წ., 20 მარტი, „გოგოლი თბილისის სცენაზე“.

სინამდვილის გარეგნული მხარის ფოტოგრაფიული სურათია, არამედ მთელი სინამდვილის კვებიანური გამოფენაა ერთ ფოკუსში, ყველა მისი მამოძრავებელი ძალებით, განაჩენია ამ სინამდვილისადმი. ვუცქერით ამ გამოფენას და უნებურად ვგრძნობთ, რომ იგი სულსა და გულს გვიფორიაქებს, რადგან აქ ჩვენი ცხოვრება, ჩვენი მდგომარეობაა ჩვენ თვალწინ გამოფენილი, და ვხედავთ რა პიესაში ჩვენი ცხოვრების საკითხების გამოხმაურებას, ჩვენ ეს უნებურად გვიტაცებს, გვზრდის, გონებრივ საზრუნავს გვიჩენს, და გვაგრძნობინებს ჩვენს კავშირს მოყვასთან¹.

ქართველი ს.ზოგადოება რუსული თეატრით არ საზღვრავდა თავის ინტერესს რუსული კულტურისადმი. ჩვენი ინტელიგენცია 60—70 წლებში ხარბად დაეწაფა რუსულ ლიტერატურას, რომლის მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებისათვის განუზომელი იყო. უფრო გვიან, ოთხმოციან წლების დამლევს ილია ქავჭავაძე შესანიშნავად წერდა რუსული ლიტერატურის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზე, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორ წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად, სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ესთქვათ, რომ თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოუჩინებია“².

¹ გახ. „ობზორი“, № 160, 1878 წ. 18 ივნ., „კალმის კაპრიზები“.

² ი. ქავჭავაძე „დედათა უფლების საქმე და ქალთა განათლება“. თბილისი 15 მარტი 1889 წ., თხზულებანი, ტომი II, გვ. 607, თბილისი, 1941 წ.

60-იან წლებიდან ქართულ ჟურნალ „ციცკრის“ გარდა გამოსვლა იწყო გაზეთმა „დროება“, შემდეგ ჟურნალმა „მნათობმა“ და 70 იან წლებში ჟურნალებმა „კრებულმა“ და „ივერიამ“. ამ გამოცემებში დაიწყო რუსული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გამოქვეყნება. სამოციანი წლების დასაწყისიდან რუსული მწერლობის ნიმუშების თარგმნამ ფართო ხასიათი მიიღო. ითარგმნებოდა ყველა დიდი და მოწინავე მწერლის ნაწარმოებები.

1871 წელს ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნდა ნ. გოგოლის მოთხრობები: „შინელი“ (თარგმ. ი. მესხისა) და „რაზე მოუვიდა ჩხუბი ივან ივანიჩს ივან ნიკიფორიჩთან“ (თარგმ. გ. ჩიქოვანისა).

ნ. გოგოლის ბრწყინვალე შემოქმედებას ქართული პრესა მუდამ უდიდეს შეფასებას აძლევდა. გაზეთ „დროებაში“ 1867 წელს, სტატიაში „შეუსრულებელი სურათი“, რომელიც იხილავდა ახალ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და კერძოდ ანტ. ფურცელაძის „სამ თავგადასავალს“, ვკითხულობთ, რომ ნ. ნეკრასოვმა და მასზე აღრე ა. გრიბოედოვმა და ნ. გოგოლმა იწყეს გამოსახვა „სახოგადო მდგომარეობისაო“. ნ. ნეკრასოვმა „თითქმის ყოველ თავის ლექსს ჩაუდგა სული, სახავდა ამ ლექსებში სხვადასხვა დარდსა და ვარამს დაჩაგრულებისასო“¹... შემდეგ ვკითხულობთ, რომ „თითქმის მთელი რუსული ლიტერატურა დაადგა ამ ზემოთ მოყვანილს სასარგებლო გზასა და ნამეტნავათ დაწინაურებული ყმაწვილი თაობის წარმომადგენელი მწერალნი“.

სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ქართული მწერლობა ამავე გზას ადგია მწერალთა ახალი თაობის სახითო. „რადგან ჩვენი ყმაწვილი თაობა არის აღზრდილი ამ უკანასკნელის რუსის მწერლობის შკოლაში, — ვკითხულობთ შემდეგ, — ანისათვის საკვირველი არ არის, რომ ესევე სასარგებლო მიმართულება მიიღო ჩვენმა ლიტერატურამაც. ავით არის, თუ კარგათა, ჩვენი ყმაწვილი მწერალნი ცდილობენ, რომ იმათი თხზულებები არ იყვნენ მკითხველის ტყუილად დროს წაშრთველნი“.

უფრო გვიან, 1883 წელს, ჩვენი გამოჩენილი პედაგოგი ი. გოგებაშვილი ქართველ მწერლებს ურჩევდა მიეხდინათ რუსი მწერლებისათვის და კერძოთ ნ. გოგოლისათვის: „მიუცილებლად საჭიროა,

¹ ვახ. „დროება“, № 35, 1867 წ.



პარკინსონი—ელ. ალექსი—მესხიშვილი.

რომ ჩვენმა ბელეტრისტებმა მიინც (თუ სხვებმა ვერა) წერაში მიკბაძონ არა მათ, რომელნიც დაიკვეხებენ ხოლმე: კალმის წვერს და-ვაფურთხე და სტატია გამოვაცხეო, არამედ იმისთანა მაღალნიჭიერ ავტორებს, როგორიც იყო გოგოლი¹...

1879 წლიდან დაარსებული მუდმივი ქართული თეატრის სცენაზე ა. გრიბოედოვის, ნ. გოგოლის და ა. ოსტროვსკის პიესები ყოველთვის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ეს პიესები თავისი მხატვრული სიძლიერით ხელს უწყობდა ქართული რეალისტური სასცენო ხელოვნების განვითარებას.


სამოცდაათიან წლებში ქართულ ენაზე რუსული პიესების საკმაო რაოდენობა იყო ნათარგმნი. მათ შორის პირველ რიგში ითარგმნა ნ. გოგოლის პიესები. 1876 წელს უკვე „რევიზორის“ ქართული თარგმანი არსებობდა (გ. სულხანიშვილის). ეს თარგმანი მხატვრული ღირსებით ალბათ სრულფასოვანი არ იყო, ამიტომ ამ თარგმანით „რევიზორი“ ქართულ სცენაზე არ დადგმულა, არც თვით თარგმანი შეგვრჩენია.

ქართულ სცენაზე დამკვიდრდა „რევიზორის“ მეორე თარგმანი, შესრულებული 70-იან წლებში ა. კიკინაძის მიერ, რომელსაც მთელი რიგი სხვა ნაწარმოებებიც ჰქონდა რუსულიდან თარგმნილი.

1876 წელს არსებობდა ნ. გოგოლის კომედიის „ქორწინების“, თარგმანი, რომელიც შესრულებული იყო კ. ყიფიანის მიერ. სამწუხაროდ ეს თარგმანი დაიკარგა.

70-იან წლებშივე გადმოითარგმნა ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები“. მთარგმნელი იყო კ. მესხი. ნ. გოგოლის ეს შესანიშნავი ნაწარმოები ქართულ სცენაზე პირველად შეასრულა მსახიობმა კ. ყიფიანმა 1879 წლის 6 ივლისს, ქუთაისში, ახლად დაფუძნებულ თბილისის დრამატულ დასის გასტროლოების დროს, როგორც ეტყობა, კ. ყიფიანის ეს პირველი ცდა ხეირიანი ვერ გამოსულა. „გიჟის დღიური“ ქართულ სცენაზე, — ვკითხულობთ „დროებაში“, — რომელსაც კ. ყიფიანი ადგენდა, ვერ წავიდა ისე, როგორის მოლოდინიც გვქონდა. გარდა ჩინებულის მორთულობისა და სწორედ გიჟური შეხედულებისა, არა რჩებოდა-რა კაცს ხსოვნაში; ის გულის გამგლეჯი შთაბეჭდილება, რომელიც უნდა მოხდეს ამ დროს მკი-

¹ ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები ტ. II, გვ. 381, თბილისი, 1940 წ.



პობრიშინი—აკ. ვასაძე.

რეთ მგრძობიერე კაცნი, სრულებით არ მომხდარა. მითომ ჰპაძა-
ვდა პრავდინს. მაგრამ... (ალარ ამთავრებს კორესპონდენტი)¹.

ო. პრავდინი იყო ნიქიერი რუსი მსახიობი, რომელიც 70-იან
წლებში თბილისის რუსულა თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა. შემ-
დეგ ის ნოსკოვის მცირე თეატრში გადავიდა და რუსული სცენის
ვამოჩენილი მსახიობის სახელი მოიხვეჭა. თბილისში ყოფნის დროს
ას ხშირად კითხულობდა ნ. გოგოლის „შეშლილის წერილებს“ და
აწორედ იმისთვის მიუბძაძავს კ. ყიფიანს „შეშლილის წერილების“
ქსრულებისას.

თვითონ მთარგმნელი კ. მესხიცი ასრულებდა „შეშლილის წერი-
ლებს“. მან „შეშლილის წერილები“ პირველად („შემცდარის დღი-
ურის“ სახელწოდებით) წაიკთხა 1880 წლის 13 აპრილს თბილისში,
თავის გამოსათხოვარ ლიტერატურულ სადამოხე უცხოეთში გამ-
გზავრების წინ. ეტყობა, ვერც კ. მესხს შეუსრულებია ღირსეულად
ეს ნაწარმოები. „დროება“ აღნიშნავს: „... ღვთის წინაშე, ძნელიც
არის ამის აღსრულება, რომლისთვისაც, რასაკვირველია, უფრო მე-
ტი გამოცდილება და ხელოვნება უნდა, ვიდრე აქვს ამჟამად
კ. მესხს. მაინც უნდა ვთქვათ, რომ კ. მესხმა მაინც თავისი ჩვეულებ-
რივი ნიქი გამოიჩინა შემოხსენებულ საგნებში“².

„შეშლილის წერილები“ ქართულად პოპულარულ ნაწარმოებად
იქცა. ის დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1882 წელს³. დაიბეჭდა აგ-
რეთვე ვ. აბაშიძის კრებულში „ჩანგში“ 1900 წელს და ამის შემდეგ
თბილისში ოთხჯერ გამოსულ „პატარა ჩანგში“.

„შეშლილის წერილებს“ ქართულ სცენაზე მთელი რიგი სხვა
მსახიობებიც ასრულებდნენ. მსახიობი ვ. ურუშაძე 1898 წლის ზა-
ფხულს სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს მართავდა გურიის სოფ-
ლებში და თვითონ ასრულებდა „შეშლილის წერილებს“. წაიკითხა
სოფელ ლიხაურში, აკეთში⁴. წაიკითხა აგრეთვე ოზურგეთში 27 ივ-
ლისს გამართულ წარმოდგენაზე⁵. ოზურგეთშივე წაიკითხა ვ. ურუ-
შაძემ „შეშლილის წერილები“ 1900 წლის 18 აპრილს⁶.

¹ გაზ. „დროება“, № 42, 1879 წ. 11 ივლ., „დღიური“.

² გაზ. „დროება“, № 83, 1-სი წ. 16 აპრ., „ახალი ამბავი“.

³ გაზ. „დროება“, № 50, 1882 წ.

⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 632, 639, 1898 წ. 18 და 26 სექტ., „თეატრის მა-
ტიანე“.

⁵ გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 602, 1898 წ. 8 გვ., „თეატრის მატინე“.

⁶ გაზ. „ივერია“, № 89, 1900 წ. 26 აპრ., „ახალი ამბავი“.

90-იან წლებიდან ნ. გოგოლის „შეშლილის წერილებს“ ქართულ და რუსულ ენაზე ნიჟიერად ასრულებდა გამოჩენილი მსახიობი ვ. ალექსი-მესხიშვილი. 1892 წლის 30 აპრილს ქუთაისში, როცა თბილისის დრამატული დასი საგასტროლოდ იყო ჩასული, ვ. ალექსი-მესხიშვილმა „შეშლილის წერილები“ წაიკითხა და დიდი შთაბეჭდილება დატოვა. „ივერია“ წერს, რომ მესხიშვილმა „დიდად ასიამოვნა საზოგადოებასო“¹. 1900 წლის 30 დეკემბერს ქუთაისში გამართულ წარმოდგენაზე მესხიშვილმა კვლავ წაიკითხა „შეშლილის წერილები“. მისი თამაშის შესახებ გაზ. „ივერია“ წერდა: „ბ-ნმა მესხიშვილმა გოგოლის „შეშლილის წერილები“ წარმოადგინა და საუცხოოდ დაგვიხატა გონება-შერყეული ადამიანის სულიერი მდგომარეობა“².

1901 წლის მარტში ქუთაისში სათეატრო სეზონის დამთავრების შემდეგ ვ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. ჩხეიძისა და ქუთაისის სხვა მსახიობებთან ერთად თბილისში ჩამოვიდა და რანოდენიშე წარმოდგენა გამართა. მან აქაც შეასრულა „შეშლილის წერილები“ და დიდი ქება დაიმსახურა.

ვ. ალექსი-მესხიშვილი „შეშლილის წერილებს“ მუდამ კითხულობდა თავის საგასტროლო მოგზაურობის დროს საქართველოს დაბა-ქალაქებში. ერთი ასეთი წარმოდგენის გამო (ქ. თელავში 1900 წლის 11 აგვისტოს) გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იტყობინება: „...თელაველებს ასეთი საუცხოვო თამაში არასდროს არ უნახავთ“.

*
*
*

ქართულ სცენას ყველაზე მნიშვნელოვანი კვალი ნ. გოგოლის კომედია „რევიზორმა“ დააჩნია.

ნ. გოგოლის „რევიზორი“ ქართულ სცენაზე პირველად წარმოდგინეს 1881 წლის 19 აპრილს თბილისში. თბილისის დრამატული დასის 1880—1881 წწ. სეზონი ვერ იყო მაინც და ზაინც ნაყოფიერი. თეატრალურმა კომიტეტმა, რომელიც წინა სეზონში დასს ხელმძღვანელობდა, ამ სეზონში დასის გაძლოლა ველარ შესძლო.

იანვრის შემდეგ წარმოდგენები იმართებოდა ცალკეული მსახიობების, კერძოდ ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით. „რევიზორის“

¹ გაზ. „ივერია“ № 93, 1892 წ. 3 მაისი, „ახალი ამბავი“.

² გაზ. „ივერია“ № 5, 1901 წ. 6 იანვ., „თეატრის მატანე“.

დადგმის ინიციატორიც სწორედ ვ. აბაშიძე იყო. აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ქართული თეატრის ისტორიაში დაემთხვა „ნაროდოვოლცების“ მიერ პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლა, რამაც უსაზღვრო კმაყოფილება გამოიწვია რუსეთის პროგრესულ წრეებში. მოწინავე ქართველი საზოგადოების სიხარული გამოხატა აკაკი წერეთელმა თავის ლექსში „გაზაფხული“, რომელიც დათარიღებულია პირველი მარტით — იმპერატორის მოკვლის დღით, და გამოქვეყნებულია 3 მარტის გაზ. „დროებაში“¹.

...სუნი მეცა გაზაფხულის,
ჟუნაური ვიგრძენ ძალი...
ვთქვი, თუ გულსა რაღათ ვიტებ?
ახლო არის მომავალი.

2 მარტს თბილისის ქართულ თეატრში გ. ერისთავის „დავა“ უნდა წარმოედგინათ, მაგრამ იმპერატორის მოკვლის გამო მთელს რუსეთში ყოველგვარი სანახაობა აიკრძალა და ამიტომ ვერც ეს სპექტაკლი გაიშარათა. აპრილში ნება დართეს თეატრებს წარმოდგენები გაემართათ. ქართულმა თეატრმაც პირველივე წარმოდგენით სათანადოდ უპასუხა იმპერატორის მოკვლის ამბავს. 19 აპრილს წარმოდგენილ იქნა „რევიზორი“, — ნაწარმოები, რომელიც ანხელდა და სასტიკ ლახვარსა სცემდა მეფის მართვა-გამგეობას. გაზეთი „დროება“ 19 აპრილის ნომერში იტყობინებოდა: „დღეს საღამოს არის პირველი ქართული წარმოდგენა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის სიკვდილის შემდეგ შეჩერებული იყო. წარმოდგენენ გოგოლის კომედიის „რევიზორს“²...

„რევიზორის“ ამ წარმოდგენის შესახებ ქართულ პრესაში ზემოთ აღნიშნული ცნობების გარდა არაფერი გამოქვეყნებულა. სამაგიეროდ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა თბილისის რუსულმა გაზეთმა „კავკაზმა“. სპექტაკლში როლები შეუსრულებიათ: ვ. აბაშიძეს (ხლესტაკოვა), კ. ყიფიანს (ოსიპი), ზ. მაჩაბცლს (ლიაპკინ-ტი-აპკინი), ა. ყაზბეგს (შპეკინი), ნ. გაბუნიას (ანა ანდრეევნა), მ. საფაროვა-აბაშიძისას (მარია ანტონოვნა), ნ. თომაშვილს (დობჩინსკი), ნ. ჯორჯაძეს (ბობჩინსკი), ბ. კორინთელს (პოშლეპკინი). დანარჩენ როლებში სცენისმოყარენი გამოსულან.

¹ გაზ. „დროება“ № 45, 1881 წ. 3 მარტი.

² გაზ. „დროება“ № 80, 1881 წ. 16 აპრ., „ახალი ამბავი“.

გოროდნიჩის როლი შეასრულა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ანტონ ლორთქიფანიძემ, რომელიც ამის გამო საგანგებოდ იყო მოწვეული ქუთაისიდან. მასვე ჰქონდა მინდობილი სპექტაკლის რეჟისორობა.

გაზეთი „კავკაზი“ მალალ შეფასებას აძლევს წარმოდგენას. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ახლად აღდგენილ ქართულ თეატრს ძალა შესწევს განასახიეროს რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებნი. „ხალხი, — ვკითხულობთ გაზეთში, — ვინც აქამდე უნდობლად ეკიდებოდა ადგილობრივ სცენებზე რუსულ წმინდა საყოფაცხოვრებო პიესების დადგმას, ხელმეორედ, თვალნათლივ უნდა დარწმუნებულიყო თავისი შეხედულების მცდარობაში. სომხურ სცენაზე „ვია ჰუისაგანისა“ და ქართულ სცენაზე „რევიზორის“ დადგამს საესებით დაამტკიცა, რომ ადგილობრივ სცენაზე რუსული ნაციონალური პიესები წარმატებით შეიძლება იქნას წარმოდგენილი. თუ კი რუსულ ენაზე ჩვენ ვუყურებთ ათას აღფონსსა და არმანს, მაშინ რატომ უნდა გვიკვირდეს და გვეუცნაუროს ფამუსოვი სომხურ ენაზე ან ხლესტაკოვი ქართულ ენაზე მოუბარი? —¹

სტატიკაში ვკითხულობთ, რომ „რევიზორში“ მსახიობები „ძალიან კეთილსინდისიერად მოეკიდნენ თავის საქმეს“, პიესა კარგად მოამზადეს და კარგადვე წარმოადგინესო. განსაკუთრებით ნაქებია ვ. აბაშიძე ხლესტაკოვის, ნ. გაბუნია ანა ანდრეევანას და მ. საფაროვა-აბაშიძისა ძარია ანტონოვნას როლებში. სუსტი ყოფილა გოროდნიჩის როლში ა. ლორთქიფანიძე.

„რევიზორის“ შემდეგი წარმოდგენა თბილისის დრამატულმა დასმა ქუთაისში გამართა 1882 წელს.

ქუთაისში თეატრალური ცხოვრება ამ პერიოდში ერთგვარად გამოცოცხლებული იყო. 1880 წლის 21 თებერვალს გაიხსნა ადგილობრივი პირველი პროფესიული დრამატული დასის სეზონი. საქმის მეთაური ანტონ ლორთქიფანიძე იყო. სეზონის გახსნისას წარმოდგენილი იყო ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. დასმა მუშაობა დაიწყო ძმ. ხარაზიშვილების მიერ აგებულ სათეატრო შენობაში².

¹ გაზ. „კავკაზი“, № 89, 1881 წ. 24 აპრ., თარგმანი მოგვეყავს ი. გრიზაშვილის წიგნიდან „ლიტერატურული ხარკეიები“, გვ. 201—202, თბილისი, 1952 წ.

² გაზ. „დროება“, № 46, 1880 წ. 29 თებ., „ახალი ამბები“.

სათეატრო საქმის გასაძლიერებლად შეიქმნა ქუთაისის თეატრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ კ. ლორთქიფანიძე, ნ. ყიფიანი, ი. მესხი და სხვ. ერთი თვის შემდეგ ქუთაისში განუზრახავთ მეორე დასის შექმნა, მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხებულა, რადგან ერთი დასის მუშაობისათვისაც კი არ ყოფილა საჭირო პირობები. შემდეგ წლებში წარმოდგენები იშვიათად იმართებოდა. 1885 წელს ქუთაისში ჩავიდა კ. მესხი, სათავეში ჩაუდგა თეატრს და მისი მუშაობაც უფრო წესიერად წარიმართა.

სამაგიეროდ ქუთაისის მაყურებელს დიდ მომსახურეობას უწევდა თბილისის დრამატული დასი, ხშირად ჩადიოდა ქუთაისში და წარმოდგენებს მართავდა. პირველად თბილისის დრამატული დასი ქუთაისში ჩავიდა 1879 წლის ივლისში და სამი წარმოდგენა გამართა. შემდეგ ესტუმრა 1880 წლის დეკემბერში, აკაკი წერეთლის მეთაურობით, და 1881 წლის მაისში.

1882 წლის მაის-ივნისში მეოთხედ ესტუმრა ქუთაისს თბილისის დრამატული დასი. ამჯერად გასტროლების მთავარ მიზანს შეადგენდა დ. ერისთავის პატრიოტული დრამის „სამშობლოს“ წარმოდგენა, რომელიც დიდი წარმატებით დაიდგა იმ სეზონში თბილისში.

თბილისის დასმა „სამშობლო“, ქუთაისში სამჯერ ითამაშა. გარდა „სამშობლოსი“ მთელი რიგი სხვა პიესებიც იყო წარმოდგენილი, სახელდობრ: სოციალური დრამა „არსენა“ ა. ყაზბეგისა, პატრიოტული დრამა „თამარ ბატონიშვილი“ კ. მესხისა, „ვენეციელი ვაჟარი“ უ. შექსპირისა და სხვ. წარმოდგენილი იყო აგრეთვე ნ. გოკოლის „რევიზორი“.

გაზეთ „დროებაში“ „რევიზორის“ სპექტაკლის შესახებ ვკითხულობთ: „რევიზორის“ თამაში უფრო კარგად იყო, ვინემ „თამარ ბატონიშვილისა“. გოროდნიჩიმ (ა. ლორთქიფანიძე) და ხლესტაკოვმა (ვ. აბაშიძე) დიდი ტაშის კვრა დაიმსახურეს ლაზათიანის თამაშით. ოსიპსაც (კ. ყიფიანი) არაუშავდა-რა“. დანარჩენ მსახიობებზე ნათქვამია, რომ „გადაქარბება ეტყობოდათ“. წარმოდგენას ხალხი ბლომად დასწრებია. „საზოგადოება არ აკლდებოდა. — ვკითხულობთ „დროებაში“. — ვგონებ ქართულ ტრუპას ამისთანა ბედნიერი დრო ქუთაისში არ შეხვედრია. სსიამოვნო და სასარგებლო არის ამგვარი თანაგრძნობა ქართული სცენისადმი“¹.

¹ გაზ. „დროება“, № 121, 1882 წ. 13 ივნ., „დღიური“.

შემდეგი განსახიერება „რევიზორისა“ თბილისის ქართულ სცენაზე მოხდა 1882—1883 წლის სეზონში. ვ. აბაშიძემ „რევიზორი“ თავის საბენეფისოდ დადგა 1882 წლის 22 დეკემბერს (დასს ამ სეზონში ვ. აბაშიძე და კ. მესხი ხელმძღვანელობდნენ).

გაზეთმა „დროება“ წინასწრ აცნობა მაყურებლებს ვ. აბაშიძის ბენეფისის ამბავი. „ამ ნიჭიერ არტისტს — ვკითხულობთ გაზეთში — არა ერთხელ დაუტკბია თავის მოხდენილის თამაშით ჩვენი საზოგადოება, რომელიც, იმედია, ხვალაც ამგვარადვე დასტკბება, რადგანაც ხვალინდელი როლი ვ. აბაშიძისა ერთი საუკეთესო როლთაგანია მისი — ეს არის ხლესტაკოვის როლი „რევიზორში“, რომელიც ადრე ისე უნაკლოდ აღასრულა მან, რომ ზოგიერთებმა ამ სახასიათო რუსულ კომედიაში თვით რუსის მოთამაშეებშიაც ვერ უპოვნეს ბადალი“¹.

წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. გოროდნიჩის როლი შეასრულა კ. ყიფიანმა, ოსიპის — კ. მესხმა.

„დროება“ ამ წარმოდგენის შესახებ აღნიშნავს: „ამ მოთამაშეს (ვ. აბაშიძეს) შეეძლო ისეთი პიესა დაედგა, რომელიც შემოსავალს მისცემდა და ხალხსაც მიიზიდავდა (ნაგულისხმევია რაიმე მსუბუქი ხასიათის პიესა, გ. ბ.), მაგრამ ვ. აბაშიძე არტისტი არის სულით და გულით, თავის საბენეფისოდ უნდოდა რიგიანი პიესა ეძღვნა საზოგადოებისათვის. ეს კარგად დაინახა ამ წარმოდგენაზედ მოსულმა საზოგადოებამ და საჩუქრებით და მრავალჯერ ტაშის კვრით გამოწვეული ნიჭიერი არტისტი ღირსეულად დაასაჩუქრა“².

ვ. აბაშიძემ დიდი სახელი გაითქვა ხლესტაკოვის როლის შესრულებით, რადგან ამ სცენიური სახის შექმნას მთელი თავისი შესანიშნავი ნიჭი და სასცენო ოსტატობა მოახმარა. სახუმარო ლექსში, რომელიც 1886 წელს გაზეთმა „თეატრმა“ გამოაქვეყნა, ვ. აბაშიძის ხლესტაკოვის შესახებ ვკითხულობთ:

...მე რა ვაქო, ვისაც უხდა თვით თეატრში დაინახავს,

უკეთესი ხლესტაკოვი არა სცენას არ უნახავს³.

„რევიზორის“ დადგმა ქართულ სცენაზე თავიდანვე დაუკავშირდა ქართული თეატრის გამოჩენილ მსახიობს ვ. აბაშიძეს. ნ. გო-

¹ გაზ. „დროება“, № 167, 1882 წ. 21 დეკ., „დღიური“.

² გაზ. „დროება“, № 270, 1882 წ. 24 დეკ., „დღიური“.

³ გაზ. „თეატრი“, № 3, 1886 წ. 19 იანვ., საინდრუა ბიჭი (ა. თოიძე) „ქართულ თეატრს და მსახიობს“.

გოლის ეს შესანიშნავი კომედია ვ. აბაშიძის ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოები იყო, ხოლო ხლესტაკოვისა და შემდგომ გოროდნიჩის როლები საუკეთესო იყო ძის მდიდარ რეპერტუარში.

1886 წლის 19 აპრილს შესრულდა 50 წელი ნ. გოგოლის „რევიზორის“ პირველი წარმოდგენიდან პეტერბურგში. ეს ისტორიული თარიღი ფართოდ აღნიშნა რუსეთის პროგრესულმა საზოგადოებამ. საიუბილეო დღე თბილისის ქართულმა თეატრმაც გადაიხადა.

ქართულმა დრამატულმა საზოგადოებამ საგანგებო საზეიმო საღამო გამართა „სახსენებლად იმისა, რომ ნ. გოგოლის კომედია „რევიზორს“ წელს ორმოცდაათი წელიწადი შეუსრულდა“.

ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე, 29 აპრილს, გაზეთმა „ივერიამ“ აცნობა მკითხველს ქართული დრამატული საზოგადოების გადაწყვეტილება სადღესასწაულო წარმოდგენის გამართვის შესახებ:

„... არწრუნისეულ თეატრში წარმოადგენენ ქართველ აქტიორების შემწეობით 2-სა მოქმედებას „რევიზორისას“. აგრეთვე ლექსებსაც წაიკითხავენ და სიტყვას წარმოსთქვამენ ამ დღეისათვის დაწერილს“¹.

„ივერია“ აგრეთვე იტყობინებოდა, რომ ამ წარმოდგენიდან შემოსული ფულის ნახევარი თვით ქართული დრამატული საზოგადოების სასარგებლოდ არის დანიშნული და ნახევარიც გოგოლის ძეგლის დადგმისათვის უნდა შესწირონო.

გაზეთის ამევე ნომერში დაიბეჭდა სპეციალური სტატია ნ. გოგოლის შესახებ. სტატიაში აწერილი იყო, თუ როგორ შეხვდა მთავრობის მმართველი წრეები ნ. გოგოლის უკვდავ კომედიას მის პირველად დადგმისას 50 წლის წინათ, როგორ დასწამეს ნ. გოგოლს „რუსეთის მტრობა“ იმის გამო, რომ კომედიამ ნათლად გამოააშკარავა თვითმპყრობელური წესწყობილების საშინელი სურათი. აქვე მოხსენებული იყო რეაქციონერ სენკოვსკისა და ბულგარინის გალაშქრება პრესაში ნ. გოგოლის წინააღმდეგ: „სენკოვსკი და ბულგარინი სდევნიდნენ იმ კაცს, რომელმაც საუკუნო სახსოვარი დასტოვა თავის სამშობლოში; სდევნიდნენ და სიცოცხლეს უწწარებდნენ იმ კაცსა, რომელსაც მამულისათვის გული შესტკიოდა. ძნელი იყო გოგოლის მდგომარეობა, ძნელია ნიჭიერი კაცის სიცოცხლე იქ, სადაც სენკოვსკი და ბულგარინისთანა კაცნი მძლავ-

¹ გაზ. „ივერია“, № 92, 1886 წ. 29 აპრ., „ახალი ამბავი“.

საქსაბამოს, 6 მაისს, არწრუნისაჲს
თიბათრში.

დრამატული საზოგადოება

დღესასწაულობს მეორმოც-და-ათ წე-
ლიწადს გოგოლის კომედიის რეპიზონის
პირველად სცენაზე დადგმას.

წარმოდგენილი იქნება

2 და 3 მოქმედება

რეპიზონი

შემდეგ წარმოსთქვამენ სიტყვას ამ დღის-
თვის დაწერილს და წაიკითხავენ ლექსებს
დასასრულ

ა კ მ კ მ ს ი

მონაწილეობას მიიღებენ თავ. აკაკი
წერეთელი, დ. ერისთავი ვ. თუმანიშვი-
ლი და ქართული დრამატული დასის
არტისტები.

დასაწყისი 8 1/2 საათზე

რობენ, მაგრამ გოგოლისთანა კაცებს ეს მაინც რჩებათ სანუგეშოდ: ხსჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი¹.

სახეიმო წარმოდგენა 4 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ გადადებული იქნა 6 მაისისათვის. 4 მაისს გაზეთმა „ივერია“ კვლავ მიუძღვნა წერილი ნ. გოგოლსა და „რევიზორის“ მომავალ წარმოდგენას.

„...ეს წარმოდგენა იქნება გამართული იმ მწერლის მოსაგონებლად, რომელიც თავის კომედიით „რევიზორი“ უკვდავი შეიქმნა მთელის რუსეთისათვის. თუმცა ამ პიესაში გამოხატული ტიპები სრულიად რუსეთის ცხოვრებიდან არის ამოღებული, აღზრდილი რუსულ ნიადაგზედ, რომელიც ჩვენ არ შეგვისწავლია და გვეუცხოვება, მაგრამ ნიქი და ხელოვნება ბ-ნის გოგოლისა ისეთის სინამდვილითა ჰხატავს ამ ტიპებს, ისეთის ხელოვნურის სიწვრილმანით აღწერს მათს ცხოვრებას და სულთა მოძრაობას, რომ სამართლიანად დიდება და სახელი მოიპოვა რუსეთში. წელს სწორედ ორმოცდაათი წელიწადი შესრულდა, რაც „რევიზორი“ ერთს საუკეთესო განძს შეადგენს რეპერტუარისას და დღემდის არც დაძველება დასტყობია და არც მიმზიდველობა დაუქარგავს².

6 მაისის წარმოდგენა გაზეთმა „ივერია“ დაწერილებით აღწერა: „ამ წელს შესრულდა ორმოცდაათი წელიწადი მას შემდეგ, — ვკითხულობთ „ივერიაში“, — რაც პირველად წარმოადგინეს გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“. მთელმა რუსეთმა დიდის ამბით იღლესასწაულა ხსენება თავის სახელოვანის, მაღალნიჭიერის მწერლისა. ჩვენმა დრამატულმა დასმაც არ დაივიწყა რუსეთის სახელოვანი მწერალი და ღირსეულად პატივი სცა მის სახელს... წარმოდგენის წინ, აიხსნა თუ არა ფარდა, სცენაზე ერთს ამალღებულ, წითლის მაუდით დაფენილს და ყვავილებით შემკულ ადგილას გოგოლის სურათი იდგა. პირველად წარმოსდგა წინ დრამატულის საზოგადოების წევრი ბ-ნი ავალიშვილი და წაიკითხა საზოგადოების წინაშე წერილი იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს გოგოლს რუსეთის მწერლობაში. ამის შემდეგ ბ-ნმა ვ.თუმანიშვილმა წაიკითხა რუსულად ბ-ნ ი. თხორევიცის ლექსი, გან-

¹ გაზ. „ივერია“, № 92, 1886 წ. 29 აპრ., „ნარკვევი“.

² გაზ. „ივერია“, № 97, 1886 წ. 4 მაისი, „ახალი ამბავი“.

გებ ამ შემთხვევისათვის დაწერილი. ბოლოს გამოვიდა ჩვენი სახე-ლოვანი პოეტი აკაკი წერეთელი და დიდის გრძნობით წაიკითხა თავისი მშვენიერი, გრძნობით და აზრით სავსე ლექსი. ლექსმა მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. სამივემ წაკითხვის შემდეგ გოგოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყვეს¹.

გვირგვინებით შეამკო ნ. გოგოლის სურათი სცენაზე მყოფმა ქართული თეატრის ყველა მსახიობმა.

„რევიზორის“ წარმოდგენაში ამ საღამოს მონაწილეობა მიიღეს: ვ. აბაშიძემ (ხლესტაკოვი), მაქსიმოძემ (ბობჩინსკი), ვ. ალექსი-მესხიშვილმა (დობჩინსკი), საბუელმა (ოსიპი), მ. საფაროვ-აბაშიძისამ, მძინარიშვილისამ, ვ. გუნია, ა. ყაზბეგმა და სხვებმა. გოროდნიჩის როლი შეასრულა ქუთაისიდან მოწვეულმა ა. ლორთქიფანიძემ. „ყველაზე უკეთესად თავი იჩინა — ვკითხულობთ „ივერიაში“ — არტისტმა საბუელმა (მ. ჯორჯაძე). საბუელი სწორედ რომ შეუღარებელი ოსიპი იყო. ურიგო არ იყო აგრეთვე გოროდნიჩი-სცენის-მოყვარე ა. ლორთქიფანიძე, თუმცა გამბედაობა აკლდა. ბ.ნი აბაშიძე შესაფერი ხლესტაკოვი იქნებოდა, რომ ბოლოს ცოტათ არ გადაეპარებინა. ბობჩინსკისა და დობჩინსკის ბ.ნთ მაქსიმოძესა და ალექსი-მესხიშვილს მშვენივრად გაეკეთებინათ სახე².

აკაკი წერეთლის საგანგებოდ ამ დღისათვის დაწერილი ლექსი, შემდეგი შინაარსისა იყო:

გოგოლის ხსოვნას
როდესაც უგზურებას,
გაბერილსა დიდებას,
ყოველგვარ საძაგლობას
და ცრუ კემმარიტებას
უმალლეს მტარვალობის
კალთა ეფარებოდა,
და ჩაგრულების ცრემლი
დღითი-დღე იღვრებოდა,
როდესაც ცრუ-მგონები
ადიდებდნენ ცრუ ლაქრთებს,
და მით ფარისევლობა
თამამად ისხამდა ფრთებს,—

¹ გაზ. „ივერია“, № 99, 1886 წ. 8 მაისი, „ახალი ამბავი“.

² გაზ. „თეატრი“, № 19, 1886 წ. 11 მაისი, „ქართული თეატრი“.

მაშინ გაისმა ხალხში
ხმა რალაც უჩვეულო,
და იმ ხმამ კადით კიდევ
ელვასავით შემოიღლო ..

შეკრთა მოულოდნელად,
მით ჩაგვრელობის კრება,
და გამოფხიზლდა უცბად
მცონარე უმეცრობა.

რა ხმა იყო, ნეტავი,
ყოველ ხმაზე ძლიერი,
რომელმაც ციურ ძალით
სცვალა ცხოვრების ფერი.

ის ხმა იყო ამ კაცის
უცნაური ხარხარი.
ჩაგრულებთა „სალხინო“
და მჩაგრელებთა „ზარი“.

თურმე ამან ნალექლი
ცრემლებში გაიღვსა
და გულში ჩაიგუბა,
სთქვა: „წააღად მსურსო ესა!“

სიცილით ამოჰქონდა
წვეთ-წვეთად ის წამალი,
რომ დაბრმავებულების
აგზილა მით თვალი.

ეუცხოვა სნეულებს
უჩვეულო ფიალი,
როს ძალაუნებურად
შესვეს მათ ის წამალი.

და მაშინ კი გაიგეს,
რომ ის, ვისაც ძრახავდნენ,
ბოროტებას სწაუბდნენ
და უგულოდ ჰსახავდნენ,

თურმე კარგი ყოფილა
კეთილგანზრახვით სრული,
და მისი ნალექლ-გესლი—
უზომო სიყვარული.

თაყვანი სცეს საერთოდ
მის ძლიერ მოვლინებას,
და ჩვენც დღეს პატივსა ვცემთ
მის ნიჭს და ხელოვნებას.

ხელოვნებას არა აქვს
საკუთრება... საზღვარი!

ის ყოველ ხალხს ეუთვნის,
ვით ყველას მაცხოვარი.

უცხო არც ჩვენთვის არის
„რევინზორის“ შემთხვეული,
და თავზე გვირგვინს ადგამს
ქართლში ქართველთა ხელი.

საზეიმო საღამოზე ნ. ავალიშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა ნ. გოგოლის ნაწარმოებთა უდიდესი როლი და მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის განვითარებაში და ცხოველმყოფელი გავლენა ქართულ ლიტერატურაზე. „ქართულ მწერლობასაც დაეტყო გოგოლის გავლენა, — თქვა ნ. ავალიშვილმა. — ჩინებული მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა „კაცია ადამიანი!“ თითქოს გოგოლის „სტაროსვეტსკი პომეშჩიკებს“ მოგვაგონებდეს. გოგოლის ობზულებების არამც: თუ მიბაძვის, ცარიელ თარგმანსაც ქართულს ენაზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. იმ ჩინოვნიკობას, რომელიც გამოყვანილი ჰყავს გოგოლს „რევინზორში“ და სხვა თავის ნაწარმოებში, დიდი გავლენა ჰქონია და აქვს ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომ, რასაკვირველია, არც ერთ საზღვარგარეთულ მწერლობაში ისეთი მნიშვნელობა ვერ ექნება გოგოლს, როგორც ჩვენში. სხვის ღირსების შენიშვნა, შესაფერი დაფასება და მისთვის მიბაძვა სუყოველთვის ყოფილა უკეთეს გზათ ხალხის წარმატებისათვის და საკუთარ ღირსების ამალღებისათვის და ამიტომაც ქართული დრამატულის საზოგადოების მმართველობა თავის სასიამოვნო ვალათ რაცხს გვირგვინი დაადგას. იმ მწერლის სურათს, რომლისგანაც ბევრი გვისწავლია და ჯერ კიდევ ბევრს ვისწავლით“.

ამ საზეიმო საღამოს გამო გაზეთმა „ივერიამ“ ვრცელი მოწინავე წერილი გამოაქვეყნა ნ. გოგოლის შესახებ. ეს წერილი შესანიშნავად გამოხატავს ქართველი საზოგადოების სულსკეგეთებას, მის თვალსაზრისს რუსული კულტურისა და ლიტერატურის, კერძოდ ნ. გოგოლის შესახებ. წერილი ნათლად გვიხატავს თუ რა დიდი სიყვარული და პატივისცემა სუფევდა ქართულ საზოგადოებაში რუსული კულტურის მიმართ. „გოგოლი, — ვკითხულობთ „ივერიის“ ამ წერილში — ყოველის რუსისათვის დიდად სასიქადულო და თავმოსაწონებელი კაცია. თითქმის მთელმა რუსეთმა ეს დღე საქვეყნოდ იდღესასწაულა და თავისი გულითადი და სამართლიანი პატივისცემა გამოუცხადა. რუსეთმა ამ ბოლო ხანებში არა ერთხელ დაუმტკიცა

ქვეყნიერებას, რომ იმანაც იცის თავისთა უკეთესთა კაცთა დაფასება, რომ იმასაც ესმის რა სახელია ერისათვის, როცა მის კალთაში დაბადებული, მისის ძუძუთი აღზრდილი კაცი, მისი სისხლი და ხორცი შოულობს და იხვექს მას, რაც ჩვენის რუსთველის სიტყვით, „სჯობს ყოველსა მოსახვექელსა“... წერილში შემდეგ აღნიშნულია ნ. გოგოლისა და XIX საუკუნის სხვა რუსი მწერლების მნიშვნელობა საკაცობრიო კულტურაში: „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვა ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილი არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შეხედა რუსეთის სულიერს ძალონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდ ბუნებოვანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორციით ერთს რომელსაგე გვარ-ტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამისთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარ-ტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რა გვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდს ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ ბეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად სჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა“¹...

თბილისის ქართულ სცენაზე ნ. გოგოლის „რევიზორი“ (მეორე და მესამე მოქმედება) წარმოადგინეს ერთი წლის შემდეგ, 1887 წლის 3 მაისს ვ. აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 10 წლის აღსანიშნავ საზეიმო საღამოზე. ეს დღესასწაული ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა ქართული თეატრის ისტორიაში, როგორც ქართველი თეატრალური მოღვაწის პირველი იუბილე.

გაზეთმა „თეატრმა“ წინასწარ ასეთნაირად დაახასიათა ვ. აბაშიძე: „...იგი განუწყვეტლად იღწვის და შრომობს სამშობლოს თეატრისათვის, როგორც თავის საუცხოო და ხელოვნურის თამაშით, აგრეთვე მრავალი პიესების თარგმნით. იმედი გვაქვს, რომ ბევრნი ჩვენის მოწინავე საზოგადოების წევრნი მიიღებენ მონაწილეობას და ათი წლის სამსახურისათვის ერთხელ მაინც დააჯილდოვებენ თა-

¹ გაზ. „ივერია“, № 100, 1886 წ. 9 მაისი, „თბილისი 9 მაისს“.

ვისი ყურადღებით ამ საყვარელს არტისტს, რომელსაც არა ერთხელ დაუტკბია საზოგადოება ხელოვნურის თამაშით¹. გაზეთ „ივერიაში“ ორანი (ა. ახნაზაროვი) შემდეგსა წერდა ვ. აბაშიძეზე: „...ათი წელიწადია ნიქიერი არტისტი სცენას არ მოშორებია, თავი არ დაუნებებია თავის საყვარელის საქმისათვის და რამდენიმე შემთხვევაზე იყო რომ იმ შიშით, ვაი თუ თეატრის საქმე ძირს დაეცეს და სრულიად განადგურდესო, მეთაურობისათვის მოუკიდნია ხელი ამ ქვეშარტის მშრომელსა ამავე თეატრის საკეთილდღეოდ და ფეხზე წამოსაყენებლად“²...

საზეიმო საღამოზე იუბილარს 15-მდე ვვირგვენი მხარვეს და ათამდე აღრესი წაუჯიბხეს. ქუთაისის მსახიობთა სახელით ლექსი წაიკითხა კ. მესხმა, თბილისის თეატრის მსახიობთა სახელით აღრესი წაიკითხა ვ. გუნიამ. წაიკითხული იქნა ი. ქავჭავაძის წერილი იუბილარისადმი. მშვენიერი სიტყვით მიმართა იუბილარს ა. წერეთელმა.

საღამოს პროგრამა შესდგებოდა იმ პიესების ნაწყვეტებიდან, რომლებშიც ვ. აბაშიძემ განსაკუთრებული ნიქი გამოიჩინა. ეს იყო ნ. გოგოლის „რევიზორი“ (მეორე და მესამე მოქმედება—ხლესტაკოვი), გ. სუნდუქიანის „ხათაბალა“ (მეორე და მესამე მოქმედება—ისაია) და ა. ცაგარელის „ხანუმა“ (მეორე მოქმედება—აკოფა). გარდა ამისა, პროგრამაში შედიოდა ფ. შილერის „ყაჩაღების“ მუხუთე მოქმედება.

თბილისის ქართულმა დასმა „რევიზორი“ (მეორე და მესამე მოქმედება) შემდგომ წარმოადგინა 1888 წლის 11 დეკემბერს ვ. აბაშიძის საბენეფისოდ. ბენეფიციანტმა კვლავ ხლესტაკოვის როლი შეასრულა. გოროდნიჩის როლში გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი ვ. გამყრელიძე, ოსიპის როლში—კ. ყიფიანი.

მსახიობთა თამაში გაზეთ „თეატრის“ აზრით „ჩვეულებრივზე უკეთესი გამოდგა“. მიუხედავად ამისა, „თეატრი“ წარმოდგენით კმაყოფილი არ იყო. „საზოგადოთ რევიზორის“ შესრულება — ვკითხულობთ გაზეთში — საუკეთესო რუსულ არტისტებს საიმპერამე გამოცდილს რეჟისორს“. თვით როლის შესრულებაზე ვკითხულობთ: „ვ. გამყრელიძის გოროდნიჩი სრულებით არ ჰგვანდა

¹ გაზ. „თეატრი“, № 13—14, 1886 წ. 26 აპრ., „ვ. აბაშიძე“.

² გაზ. „ივერია“, № 76, 1886 წ. 19 აპრ., „სახელდახელო“.

ტორო სცენებისასაც კი ეძნელებათ და საკვირველი როდია, რომ ჩვენს მოთამაშეთ გაუძნელდათ „რევიზორის“ ჯეროვანი თამაში. „რევიზორში“ ყოველი როლი არტისტისაგან თხოულობს ნიქს, დიდს გამოცდილებას, ცოდნას და შრომას. ჩვენი არტისტები კი, ერთი-ორის გარდა, მოკლებულნი არიან ყველა ზემოჩამოთვლილს თვისებებს. ამიტომაც წარსულ კვირას „რევიზორი“ უფრო ფერიას მოგაგონებდათ, ვიდრე სახელოვან გოგოლის უკვდავს კომედიას — სცენაზე ვხედავდით რაღაც კარიკატურებს და არა სრულს ტიპებს და ხასიათებს“¹...

როგორც რეცენზენტი აღნიშნავს, კ. ყიფიანს (ონიპი) როლი არ სცოდნია ხეირიანად, რის გამო „მთელი მისი თამაშობა უხერხული და უფერული იყო“. რეცენზენტი სამართლიანად დასძენს, რომ „რაგინდ ნიქიერი და დახელოვნებული მოთამაშე იყვეს არტისტი, თუ როლი არ იცის, იმისი თამაშობა მართლა უბრალო თამაშობაა და არა სერიოზული ხელოვნება“.

ვ. აბაშიძეზე (ხლეტსაკოვი) რეცენზენტი აღნიშნავს, რომ მსახიობი არათანაბარი სიძლიერით თამაშობდაო. ვ. აბაშიძე შეუდარებელი ყოფილა იმ ადგილას, როდესაც ტრაქტირის მსახურს საქმელი შემოაქვს, მაგრამ მკრთალი ყოფილა მოქმედების დასაწყისში, სცენაზე შემოსვლისას. რეცენზენტი აღნიშნავს: „ეს მეტნაკლებობა აბაშიძის თამაშობაში, ჩვენის აზრით, აიხსნება იმით, რომ აბაშიძე მეტად ცოცხალი ტემპერამენტის კაცია და მონოლოგები და უმოძრაო ჩუმი სცენები არ ეხერხება“. რეცენზენტი ძალიან აქებს ვ. აბაშიძის თამაშს მესამე მოქმედებაში. „ძლიერ კარგად გაატარა ვ. აბაშიძემ ეგრედწოდებული ყბედობის და სიცრუის სცენაო“.

რეცენზენტის ყველაზე მწარე მათრახი მსახიობ ვ. გამყრელიძეს მოხვდა. ის ახლად გამოსული იყო სცენაზე, ჯერ კიდევ გამოუცდელი, და, ცხადია, გოროდნიჩის სერიოზულ როლს რიგიანად ვერ შეასრულებდა. სწორედ ამას აღნიშნავს რეცენზენტი და დასძენს: „ვ. გამყრელიძეს სასცენო ნიქი ატყვია და მომავალში იგი საუცხოვო არტისტად შეიქნება... თუ ჩუუვარდება ხელში რომელსაგოგოლის გაიძვერა მოხელეს. გოროდნიჩის მოთამაშეს ექირვება დიდი გამოცდილება და დახელოვნებული თამაშობა. აქ მარტო

¹ გაზ. „თეატრი“ № 48—49, 1888 წ. 17 დეკ., „ქართული თეატრი“.

ნიქი როდია საკმარისი. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ვ. გამყრელიძეს არ შეეძლოს გოროდნიჩის როლის შესრულება, არა, ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ გამყრელიძემ გოროდნიჩი-ორი-სამი წელიწადის შემდეგ უნდა ითამაშოს, როცა ისე დახელოვნდება, რომ სცენა საკუთარი სახლისავით მიაჩნდეს და სრულ ბატონად გრძნობდეს თავის თავს, თორემ ვ. გამყრელიძემ ჯერ-ჯერობით ხეირიანი სიარულიც არ იცის“.

რეცენზენტი აღნიშნავს ერთგვარ გადაქარბებას მსახიობთა თამაშში და წერს, რომ „რომელნიც ზომიერებას და წრეს გადადიან, ისინი ძალიან აშავებენ, და ვინც აშავებს, არტისტობას ჯამბაზობად ჰხდის და მისი ადგილი ცირკშიაო“...

სრულიად მართებული იყო გაზეთ „თეატრის“ მკაცრი კრიტიკა „რევიზორის“ წარმოდგენისა 1888 წელს. სამწუხაროდ, არა თუ „რევიზორში“, არამედ თითქმის ყველა წარმოდგენაში ემჩნეოდა. 80-იან წლების ქართველ მსახიობებს დიდი უთანასწორობა როლების შესრულებაში.

ეს ყოველივე იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ თეატრს ამ ხანებში არ ჰყავდა ძლიერი და გამოცდილი ხელმძღვანელი. თბილისის ქართულ თეატრს თიანეთის ქართული დრამატული საზოგადოება პატრონობდა, მაგრამ სინამდვილეში ეს საზოგადოება უშუალოდ არ კისრულობდა სათეატრო სეზონის გაძლოლას. უპატრონოდ მიტოვებულ დასს სათავეში უდგებოდნენ ცალკეული მსახიობები: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, მ. საფაროვ-აბაშიძისა. ერთხელ, როგორც აღვნიშნეთ, დასს აკაკი წერეთელიც მეთაურობდა. 1884—1885 წლის სეზონში ეს მოვალეობა ქართული თეატრისათვის სრულიად უცნობმა და გამოუცდელმა ახალგაზრდა ალ. ნებიერიძემ იკისრა. ასეთი მოთავენი ბევრს ვერაფერს სძენდნენ თეატრს, მხოლოდ ახერხებდნენ ვაი-ვაგლახით სეზონის დამთავრებას. სამართლიანად წერდა ვ. გუგუია 1889 წელს, მუდმივი დასის დაარსების 10 წლისთავზე: „...ჩვენ დასს ბევრი საქმის გაკეთება შეუძლიან და თუ ხშირად ვერაფერს აკეთებდა ეს ისევ საქმის გამგებლების ბრალია და არა დასისა... ჩემის აზრით, ყოველი ნამდვილი გამგებლის პირველი მოვალეობა არის ახალგაზრდობის მოზიდვა, ნიქის და შრომის ერთად თავის მოყრა და ისიც იმ დროს, როცა გარემოება საქმეს გიძნელებს. კაცი და მოღვაწე ფასდება გაჭირვების დამლევით და გამარ-

ჯგუფებით¹. ვ. გუნია „საქმის გამგებლებათ“ დრამატულ საზოგადოებას გულისხმობს და სამართლიანად სდებს შის მესვეურთ ბრალს ჩვენი თეატრის ჩამორჩენაში. „დრამატული კომიტეტი ქართულს სცენას განაგებდა პირველ ხანებში მარჯვედ და ბეჯითად, — წერს ვ. გუნია, — ხოლო ეს სიმარჯვე მეტად ხანმოკლე იყო. ორი წლის შემდეგ დრამატული კომიტეტი ქართულ თეატრზე ხელს ღებულობს. სწორედ იმ დროს, როცა უფრო ბევრი სიმხნევე და სიბეჯითე იყო საქირო“².

მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული თეატრი მაინც ცოცხლობდა. თეატრის მუშაკთა მეტი წილი გრძნობდა თეატრის უდიდეს როლს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოველგვარად ცდილობდა ხელი შეეწყო მისთვის. „რაც უნდა სამწუხარო და იქნება ხშირად სასაცილო ყოფილიყო თეატრის ნაბიჯები ამ ათს წელიწადში, — წერს ვ. გუნია, — მაინც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ იმდენი უბედურების და ჭაპანწყვეტის ამტანს სამუდამო ქართულს სცენას ერთხელაც არ შეუჩერებია და არ გაუწყვეტია წარმოდგენები ათის წლის განმავლობაში. ავად თუ კარგად წარმოდგენები ყოველთვის იმართებოდა; თეატრს შეჩვეული ხალხი ცოტა თუ ბევრად ყოველთვის დადიოდა თეატრში“³.

80-იან წლების ქართული თეატრი ხეირიანი პიესების ნაკლებობას განიცდიდა. ამ შემთხვევაში მას დიდ დახმარებას უწევდა რუსული დრამატურგია. ქართული თეატრი 80-იან წლებში „რევიზორთან“ ერთად დგამდა სხვა რუსულ პიესებსაც, როგორც თარგმნილს, ისე გადმოკეთებულს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ოსტროვსკის¹ „ქმრების დამონავება“, „ბედნიერი დღე“, „გზა დაკარგულნი ცხოვარნი“ და „შემოსავლიანი ადგილი“, ა. სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინება“, მ. ლერმონტოვის „მასკარადი“, ა. გრიბოედოვის „ვაი კეუისაგან“. უკანასკნელი ორი ნაწარმოები დაღმეული იქნა კ. მესხის მიერ ქუთაისშიც.

რუსული კლასიკური დრამატურგიის ეს საუკეთესო ქმნილებები დიდი წარმატებით მიდიოდა ქართულ სცენაზე, როგორც 80-იან წლებში, ისე შემდეგ.

¹ ვალერიან გუნია, „ქართული თეატრი“ (1879—1889), გვ. 1, თბილისი, 1889 წ.

² იქვე, გვ. 19.

³ იქვე, გვ. 23.

რუსული პიესები ქართულ სცენაზე განსაკუთრებით წარმატებით აღგებებოდა 1893 წლიდან, როდესაც რუსეთიდან დაბრუნდა მსახიობი ვ. ალექსი - მესხიშვილი. რამდენიმე წელს ის რუსულ სცენაზე მუშაობდა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ ფართოდ სარგებლობდა რუსული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებებით. 1894 წელს პირველად მისი მონაწილეობით იყო დადგმული თბილისის სცენაზე ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“. (ნეზნამოვი — ვ. ალექსი-მესხიშვილი, შმაგა;— ვ. აბაშიძე), რომელიც ამის შემდეგ ქართველ მსახიობთა საყვარელ ნაწარმოებად იქცა.

1893 წლის 26 თებერვალს, ზამთრის სეზონის დასრულების შემდეგ, „რევიზორი“ გამოცხადებული იყო წარმოსადგენად მსახიობთა ამხანაგობის მიერ ვ. აბაშიძის მონაწილეობით და რეჟისორობით¹.

1892-93 წლის სათეატრო სეზონში „რევიზორი“ ქუთაისის დრამატულ დასმაც წარმოადგინა (კ. მესხის ხელმძღვანელობით). დაწვრილებით ცნობები ამ წარმოდგენის შესახებ არ შერჩენილა, აღნიშნულია მხოლოდ წარმოდგენის გამართვის ფაქტი².

კარგად იყო წარმოდგენილი „რევიზორი“ თბილისის სცენაზე 1895 წელს. წარმოდგენა გაიმართა 20 იანვარს, ვ. აბაშიძის საბენეჟისოდ. სპექტაკლი იმით იყო საინტერესო, რომ ამჯერად ვ. აბაშიძემ გოროდნიჩის როლი შეასრულა. ხლესტაკოვის როლში გამოვიდა ახალგაზრდა მსახიობი კ. შათირიშვილი. ვ. აბაშიძემ გოროდნიჩის როლშიც გამოიჩინა თავისი ბრწყინვალე სასცენო ოსტატობა და ძლიერი სცენიური სახე შექმნა. მოისუსტებდა კ. შათირიშვილი, რაც მის გამოუტდელობას მიეწერებოდა.

გაზეთი „ივერიის“ ცნობით სპექტაკლს დიდძალი საზოგადოება დასწრებია. „საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა, — ვკითხულობთ გაზეთში — განსაკუთრებით დიდის ხელოვნებით შეასრულა გოროდნიჩის როლი ბ.ნმა ვ. აბაშიძემ და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა“³. გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ წერს: „...ბენეფიციანტი

¹ გაზ. „ივერია“, № 42, 1893 წ. 26 თებ., განცხადება.

² გაზ. „ივერია“, № 30, 1893 წ. 12 თებ., სანგანი „ქართული დრამა ქუთაისში“.

³ გაზ. „ივერია“, № 16, 1895 წ. 22 იანვ., „ახალი ამბავი“.

გამოვიდა გოროდნიჩის როლში და შესანიშნავად შეასრულა. განსაკუთრებით კარგი იყო უქანასკნელ აქტივი¹.

ამ სპექტაკლს ვრცელი წერილით გამოეხმაურა ვაზეთი „კვალი“ (წერილი გიორგი წერეთელს ეკუთვნოდა). „ასეთი მშვენიერი ენით ნათარგმნი კომედია ჩვენს რეპერტუარში, მგონია, არა გვაქვს. — ვკითხულობთ წერილში. — მსახიობთა მწყობრმა თამაშობამ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა²“. წერილში ეს წარმოდგენა ქართული ხელოვნების ნამდვილ გამარჯვებად არის ჩათვლილი; „რადგან ამ ხელოვნური წარმოდგენით ყოველი შეგნებული ძაყურებლის თვალწინ გაცოცხლდა საესეებით ის ეპოქა, რომელიც გენიოსს მწერალს. ჰქონდა თვითონ თავის გონებაში გამოსახული. თვით გოგოლი რომ გაცოცხლებულიყო, მიუცილებლად ხლესტაკოვის როლის გარდა, ყველა მსახიობს გადააკოცნიდა. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს „რევიზორი“, სცენაზე დადგმული, მაგრამ ასე ხელოვნურად ასრულებული კი არასოდეს. თუ ქართული თეატრის ამხანაგობამ და მსახიობთა დასმა ასე გულმოდგინეთ იშრომეს, მიუცილებლად ქართული საზოგადოება და სომხურიც ოპერებს თავს დაანებებენ და ქართულ წარმოდგენებზე დაიწყებენ სიარულს“.

წერილში დიდი ყურადღებით არის გარჩეული კ. შათირიშვილის თამაში და მითითებულია, თუ რა ხასიათისაა ეს როლი და როგორ შესრულებას მოითხოვს. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მსახიობს „ნიკი ეტყობა, მაგრამ ხლესტაკოვი კი ვერ ითამაშა, როგორც მის ნიქს შეეფერებოდა. მე ვფიქრობ, ეს იქიდან წარმოდგა, რომ მას არ ესმის თვით ხლესტაკოვის როლი. ეს არამზადა და ფუქსავატი აზნაურიშვილი, უფულობით ტალახიან სასტუმროში ჩამწყვდეული, ეძებს მიზეზებს რამენაირათ თავს უშველოს; და არ იცის კი რა ქნას. ამ დროს მისდა მოულოდნელად იმას შეემთხვევა ისეთი გარემოება, რომ ჯერ გაბრუებულია და არ ესმის რა უნდა ქნას. ბოლოს მიხედება გულუბრყვილობას პროვინციის მთავრობისას და კიდევ ჩახვდება ძალიან კარგად გონებაში, როგორ ხერხიანათაც უნდა ისარ-

¹ გახ. „ტიფლისკი ლისტოკი“, № 18, 1895 წ. 22 იანვ., „ადგილბრივი განყოფილება“.

² გახ. „კვალი“, № 5, 1895 წ. 22 იანვარი, მახაკალი „ჩვენი სახიობა“.

1897

საქართველოს მხარე

საქართველოს იუსტიციის

ბ. ჯ. კანდელიძის

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

პირველი მოადგილის შიშველი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ГРУЗИНСКИЙ ТЕАТРЪ

საქართველოს იუსტიციის

საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბ. ჯ. კანდელიძის

რეჟისორი

საქართველოს იუსტიციის

„რევიზორის“ დადგმის აფიშა (1897 წ. 11 დეკემბერს).

გებლოს ამ მშვენიერ გარემოებით. სხვები რევიზორს ეძახიან და თვითონაც იფერებს. მაგრამ მართო შეფერებით საქმე არ გაკეთდებოდა, რომ თვით ხლესტაკოვი ისე გულმარტივით, ისე ალტაცებით არ შეთვისებოდა ამ თავის ახალ მდგომარეობას. ის ცრუობს და თვითონაც ისე გატაცებულია ამ თავისი ბრწყინვალე როლით, რომ თავისი სიცრუე თვითონვე სჯერა, ღრმით დარწმუნებულია, რომ რასაც აქორებს, ყოველივე უტყუარი სიმართლეა, მხოლოდ ეს შეურყეველი დარწმუნება ხლესტაკოვისა თავისი დროებით რევიზორობაში ხიბლავს პროვინციის გამგეობის წარმომადგენლებს და ყველაზე უფრო თვით გოროდნიჩის. ამით აიხსნება გულმარტივობა პროვინციის გაიძვერა გამგებელთა. ბ-ნ შათირიშვილმა ვერ გაატარა ხელოვნურათ თავისი როლი იმისათვის, რომ თვითონ საქმათ არ სჯეროდა თავისი რევიზორობა და ანსამბლში დისონანსს ახდენდა“.

მწყობრად ჩაიარა „რევიზორის“ წარმოდგენამ 1897 წლის 11 დეკემბერს თბილისის ქართულ თეატრში. კომედია წარმოდგენილი იყო მსახიობ გ. კანდელაკის საბენეფისოდ, ქართულ სცენაზე მისი ათი წლის მოღვაწეობასთან დაკავშირებით. სპექტაკლს რეჟისორობდა კ. მესხი. ბენეფიციანტი გოროდნიჩის როლს ასრულებდა, ხოლო ხლესტაკოვის როლს — ვ. აბაშიძე. დანარჩენი როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული:

ანა ანდრეევანა — ე. ჩერქეზიშვილი, მარია ანტონოვნა — ა. კარგარეთელი, ლუკა ლუკიჩ ხლოპოვი — ი. მკედლიშვილი, ამოს ფეოდოროვიჩ ლიაპკინ-ტრიაპკინი — კ. შათირიშვილი, არტემ ფილიპოვიჩ ზემლინიკა — ვ. გამყრელიძე, ივან კუზმიჩ შპეკინი — ს. სვიმონიძე, პიოტრ ივანოვიჩ დობჩინსკი — გ. გედევანოვი, პიოტრ ივანოვიჩ ბობჩინსკი — ა. ადამიძე, ოსიპი — კ. მესხი, ხრისტიან ივანოვიჩ გიბნერი — საფაროვი, სტეფან ილიჩ უხოვენტოვი — კარბელი, სვისტუნოვი — ა. თამაზიშვილი, პუგოვიცინი — ი. კავთელი, დერჟიმორდა — მელაძე, უნტერ-ოფიცრის ცოლი — დ. რჩეულიშვილისა, მიშკა, გოროდნიჩის მსახური — ვ. ურუშაძე, ტრაქტირის მსახური — გვარამაძე.

გაზეთ „ივერიის“ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ „ასე მწყობრად იშვიათად ჩაუვლია ქართულ წარმოდგენას“¹ ბენეფიციანტს გოროდნიჩის როლი წესიერად შეუსრულებია. „ხლესტაკოვის როლი“

¹ გაზ. „ივერია“, № 259, 1897 წ. 13 დეკ., „თეატრის მატჩანე“.

ეკითხულობთ რეცენზიაში — ვ. აბაშიძეს სხვა დროსაც ბევრჯერ უთამაშნია, მაგრამ ასე კარგად კი არც ერთხელ არ შეუსრულებია ეს მეტად ძნელი როლი. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ბ-ნი აბაშიძე მეორე მოქმედებაში, გოროდნიჩის რომ ესაუბრება“. ნაქებია დანარჩენი შემსრულებლებიც და კერძოდ კ. მესხი ოსიპის როლში. „ბ-ნმა კ. მესხმა კიდევ ერთხელ დაგვიმტყიცა, რომ სწორედ კომედიისათვის აქვს დიდი ნიჭი და უნარი“.

ამ სპექტაკლის მონაწილე იყო მსახიობი ვ. ურუშაძე. თავის მოგონებაში ვ. ურუშაძე წერს, რომ მაშინ ის ახლად მისული იყო დასში. ასრულებდა პატარა როლებს და ამავე დროს ეხმარებოდა რეჟისორს. „რევიზორში“ მას მისცეს მსახურ მიშკას როლი. „სპექტაკლის რეჟისორმა ვ. აბაშიძემ, — წერს ვ. ურუშაძე, — იცოდა რა, რომ როგორც ახალგაზრდა მსახიობმა რუსული რეპერტუარი კარგად არ ვიცოდი, ბევრი შრომა დახარჯა, რომ განემარტა ჩემთვის მონდობილი როლის ხასიათი. მესაუბრა, თუ რას წარმოადგენდა მთლიანად ნ. გოგოლის „რევიზორი“, როგორც ცარზიმის უარყოფითად დამახასიათებელი ნაწარმოები. მახსოვს ჩემი ტასაცმე-ლიც: წითელი ხალათი, ხავერდის შარვალი და ყელიანი წაღები. თავზე ქერა პარიკი მქონდა. როლი შევითვისე, კარგადაც შევასრულე და ჩემთვის მეტად სასიამოვნო იყო, როდესაც ვ. აბაშიძემ სპექტაკლის დასრულების შემდეგ შემაქო და მადლობა გადამიხადა“¹.

თბილისის ქართულ სცენაზე ნ. გოგოლის „რევიზორი“ დაიდგა აგრეთვე 1898 წლის 13 დეკემბერს. ამ წარმოდგენაში როლებს ასრულებდნენ: გოროდნიჩი — ვ. აბაშიძე, ანა ანდრეევნა — ე. ჩერქეზიშვილი, მარია ანტონოვნა — ა. კარგარეთელი, ხლოპოვი — ხოსროშვილი, ლიაპკინ — ტიაპკინი — გ. კანდელაკი, ზემლიანკა — ი. იმედაშვილი, შპეკინი — ს. სვიმონიძე, დობჩინსკი — გ. გედევანოვი, ბობჩინსკი — ა. ადამიძე, ხლესტაკოვი — კ. შათირიშვილი, ოსიპი — კ. მესხი, გიბნერი — სალარიძე, უხოვერტოვი — დიასამიძე, სვისტუნოვი — ქარსიძე, დერჯიმორდა — თირელი, აბდუღლინი — იმერიძე, პოშლიოპკინა — გალუსტოვისა, მიშკა — გარელი, ტრაქტირის მსახური — სავანელი².

¹ სათეატრო მუხეჟმი, ხელნაწერი, № 13636.

² გახ. „ცნობის ფურცელი“, № 703, 1898 წ. 13 დეკ., განცხადება.

სპექტაკლს ვრცელი რეცენზია მიუძღვნა „ივერიამ“. გაზეთმა შეაკრად გააკრიტიკა მსახიობები. როლების შესრულების შესახებ რეცენზიაში ვკითხულობთ:... „რევიზორი“ ხალასი კომედიას, საესე სასაცილო აღგილებით და არტიტი ამ პიესაში უნდა სცილობდეს მწერლის მიერ აღნიშნულ საზღვარს არ გადასცილდეს და არ გადააჭარბოს, თორემ ეს უკვდავი კომედია, ეს უტყუარი სურათი რუსთა ძველი მოხელეებისა, გავოდვეილდება. ბ-ნი აბაშიძე, გოროდნიჩის როლის აღმასრულებელი, თავის ღონეზედ არ იყო, ხლესტაკოვი (კ. შათირიშვილი) სუსტობდა, უხოვეტოვი (ბ-ნი დიასამიძე) პრისტავს კი არა, უფრო პირველი კლასის მოსწავლესა ჰგავდა, ვაქარი აბდულინი (იმერიძე) კოსტია იმერელისავით უქცევდა კილოს, ბ-ნს სვიმონიძეს, შპეკინის როლის აღმასრულებელს, ახალ დროს საათის ძეწკვი ჩამოეკანტურებინა, დანარჩენნი ცოტად თუ ბევრად ეწეოდნენ ჰაპანს და ყოველ ამას ისიც დაერთო, რომ მეორე მოქმედებაში რამდენსამე ხნით ელექტრონის სინათლემ ჩაქრობა და ჩაბნელება ინება და წყვდიადით მოჰფინა ჩვენთა არტიტთა ხელოვნება“¹.

ჩვენის აზრით „ივერიის“ ეს მკაცრი ტონი მსახიობთა მიმართ ვართებული არ იყო, რადგან ამ სპექტაკლს სრულიად საწინააღმდეგო შეფასება მისცეს სხვა გაზეთებმა. გაზეთი „კავკაზი“ ამ წარმოდგენის შესახებ შემდეგს გვეუბნება: „ეს სპექტაკლი შესრულების მხრივ ყველაზე უკეთესი უნდა ჩავთვალოთ მიმდინარე სეზონში. ამ საღამოს დადგმული „რევიზორი“ ბრწყინვალედ იყო გათამაშებული“².

ამ სპექტაკლში ზემლიანიკას როლს ასრულებდა მსახიობი იოსებ იმედაშვილი, რომელმაც მოგონება დაგვიტოვა. „მაშინ ახალგაზრდა მსახიობი ვიყავი, — წერს ი. იმედაშვილი, — ვმუშაობდი სახალხო სცენაზე და ამავე დროს ჩავირიცხე მსახიობად ქართულ დრამატულ დასში. ეს იყო 1898—1899 წლის სათეატრო სეზონში. „რევიზორში“, რომელიც 1898 წლის 13 დეკემბერს ვითამაშეთ, მე ვასრულებდი ზემლიანიკას როლს. არ შეეუდგები იმის აწერას, თუ როგორ შევასრულე ეს როლი, უფრო საინტერესო იქნება მოვიგონო ვ. აბაშიძის თამაში გოროდნიჩის როლში. გასაოცარი რამ იყო ამ როლში ეს ჩვენი სცენის დიდი ოსტატი. განსაკუთრებული ნი-

¹ გაზ. „ივერია“. № 68, 1898 წ. 15 დეკ. „თეატრის მატინა“.

² გაზ. „კავკაზი“, № 320, 1898 წ. 15 დეკემბერი, „თეატრი და მუსიკა“.

კით გაღმოსცა გოროდნიჩის განწყობის ცვალებადობა. მაგონდება, წარმოდგენის დაწყების წინ გამოიარა კულისებში, დაგვათვალეირა ახალგაზრდა მსახიობები და უტბად ისეთნაირად დაგვიბრიალა თვალები, რომ შიშის ზარმა მოგვიცვა. ცარიზმის ნამდვილი სატრაპი წარმოგვიდგა წინ. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა გოროდნიჩის როლში ვ. აბაშიძე მაყურებელზე. ოსტატობით შეასრულეს ხლესტაკოვის როლი კ. შათირიშვილმა, ოსიპის — კ. მესხმა, მაგრამ ვ. აბაშიძე ყველაზე უკეთესი, ყველაზე დამაჯერებელი იყო. ვ. აბაშიძის თამაშმა ახალგაზრდა მსახიობები იმდენად გაგვიტაცა, რომ სცენაზე ჩვენი სიტყვები გვაიწყლებოდა, სულ იმის თამაშს მივჩერებოდით¹.

1899 წელის 29 სექტემბერს ნ. გოგოლის „რევიზორი“ წარმოადგინეს ქ. თელავში. ეს იყო სცენისმოყვარეთა წარმოდგენა მსახიობების დ. აწყურელისა (გოროდნიჩი) და ვ. გამყრელიძის (ხლესტაკოვი) მონაწილეობით. მსახიობებმა კარგად ითამაშეს, ხოლო სცენისმოყვარენი კი ვერ იყვნენ ოსტატობის მხრივ საკმაო სიმაღლეზე. მიუხედავად ამისა მაინც საინტერესო იყო სცენისმოყვარეთა მიერ „რევიზორის“ დადგმის ცდა, რაც, ცხადია, საქართველოში კომედიის დიდი პოპულარობით უნდა აიხსნას. წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით იყო გამართული — სოფ. ყვარელში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოდგენის მომწყობი იყო მელქო აჯიშამულოვი — ადგილობრივი თეატრის ერთ-ერთი მუდმივი მოამაგე და ხელისშემწყობი².

1899 წელს თბილისის ქართულმა დრამატულმა დასმა მუდმივი ქართული თეატრის ხელახალი აღდგენის 20 წლისთავი აღნიშნა. საზეიმო წარმოდგენა გაიმართა 1899 წლის 8 ოქტომბერს. ეს წარმოდგენა შედგებოდა ქართული თეატრის საუკეთესო დადგმების ნაწყვეტებიდან. მათ შორის იყო „რევიზორის“ მესამე მოქმედება. „ამ საღამოს კარგი რამ იყო ბ. აბაშიძე გოროდნიჩის როლში... — ვკითხულობთ გაზეთ „ქვალში“. — იმ დროს, როდესაც გოროდნიჩი აძინებს ხლესტაკოვს, უკანა ბრუნდება და აჩუმებს

¹ სათეატრო მუხეუმი, ხელნაწერი № 136:6.

² გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 935, 1899 წ. 9 ოქტომბერი, „ახალი ამბავი“.

კოლ-შვილს: დაბალი ხმით ილაპარაკეთ, რევიზორი არ გააღვიძოთ — საუცხოვო სანახავე იყო¹.

ამ საღამოს თეატრის მოღვაწეებმა შეაჯამეს ქართული სასცენო-ხელოვნების განვლილი გზა. გაზეთი „ივერია“ წერდა: „ეს ოცი წელიწადი საძირკველია სათეატრო ხელოვნების აღორძინებისა ჩვენში და ამ საძირკველზედ ამიერიდან უნდა დაიდგას ის მკვიდრი შენობა, რომელიც ერის ძალღონისა და იმის სულიერად განვითარების მაჩვენებელი იქნება. თუ ამ დიდმა და ყველასათვის სასარგებლო საქმემ ფეხის ადგმა და პირველი სიხარული შესძლო ამ ოცი წლის განმავლობაში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ფრთის ვაშლასა და სასურველ განვითარება-გასხივოსნებასაც შესძლებს“².

ამავე სეზონში ქართულ თეატრს უფრო ღირსშესანიშნავი დღე დაუდგა. ეს იყო გიორგი ერისთავის თეატრის დაფუძნების 50 წლის-თავი. 1900 წლის 2 იანვარს თბილისის ქართულმა დასმა სადღესასწაულო წარმოდგენით აღნიშნა ეს ისტორიული თარიღი. გაზეთ „ივერიაში“ ამ დღესასწაულის გამო ვკითხულობთ: „...ნახევარის საუკუნის განმავლობაში ჩვენმა ნორჩმა, მაგრამ მრავალ მოქირნახულე სცენამ ბევრი გასაქირი გაიარა, ბევრი დაბრკოლება დასძლია და ჩვენამდე მოაღწია იმ სახით, როგორც ვხედავთ, თუმცა არა უნაკლომ, თუმც უხადომ, მაგრამ იმდენად წელში გამაგრებულმა, იმდენად განმტკიცებულმა, რომ მას სიუკულმართე ცხოვრებისა ქედს ისე ადვილად ვეღარ მოახრევიანებს, ვინაიდან უკვე დამსახურებული აქვს სიყვარული ხალხისა და დანახულ საკიროებად არის გადაქცეული ქართველ მდაბიო ხალხისათვის“³.

ქართული თეატრი უკვე „წელში გამაგრებული“ იყო და დიდ სამსახურს უწევდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას, მაყურებლის აღზრდას მოწინავე სულისკვეთებით.

დღითიდღე იზრდებოდა და მტკიცდებოდა ქართული ეროვნული თეატრალური კულტურა. ჩვენი თეატრის მოღვაწეები ფართოდ სარგებლობდნენ რუსული პროგრესული თეატრის გამოცდილებით

¹ გაზ. „კვალი“, № 42, 1899 17 ოქტ., „ჩვენი სახიობა“.

² გაზ. „ივერია“, № 218, 1899 წ. 10 ოქტ., „თეატრის მატინე“.

³ გაზ. „ივერია“, № 1. 1909 წ. 1 იანვ., „ქართული თეატრის 50 წლის არსებობის გამო“.

50 წლის მანძილზე რუსულმა თეატრმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ თეატრალურ კულტურაზე.

* * *

1901 წელს ასი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა და ქართველი ხალხი საუკუნოდ დაუკავშირდა რუს ხალხს, როგორც თავის საიმედო დამხმარეს და დამცველს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში თვითმპყრობელური რეჟიმი ბატონობდა, რუსეთთან საქართველოს შეერთებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის. რუსი ხალხის დახმარებით ქართველმა ხალხმა ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა, თავი გადაირჩინა ირანელ და თურქ დამპყრობელთაგან განადგურებისაგან, რუსეთთან საქართველოს დაკავშირებამ დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების სწრაფ განვითარებას. დიდი რუსი ხალხის მდიდარი კულტურის კეთილნაყოფიერი გავლენით განვითარდა მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ეროვნული კულტურა, ლიტერატურა, თეატრი. რუსულ კულტურაზე აღიზარდნენ ქართველი ინტელიგენციის მთელი თაობები, რომლებმაც შეითვისეს რუსული პროგრესული იდეები და ამ ნიადაგზე საქართველოში გაშალეს განმათავისუფლებელი მოძრაობა ცარიზმის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხის რუს ხალხთან კავშირი და რუსი ხალხის მხარდაჭერა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებმა 90-იან წლებში საქართველოში გაავრცელეს მარქსისტული მოძღვრება. საქართველოს მუშათა კლასმა დიდი ლენინის მებრძოლი რევოლუციური იდეების გავლენით, მისი მოწაფის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, რუსეთის მუშათა კლასთან ერთად შექმნა ერთიანი ძმური ფრონტი, მასთან მხარდამხარ იწყო ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

მეფის მოხელეები და მათი დამქაშები შეეცადნენ რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავის ზეიმი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, მიეჩქმალათ ის პროგრესული მნიშვნელობა, რაც ჰქონდა დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ძმურ კავშირს და ეს დიდი მნიშვნელობის დღესასწაული ცარი-

ზნის განმტკიცებისათვის გამოეყენებინათ. მაგრამ ქართველმა რევოლუციურმა მუშებმა და მოწინავე ინტელიგენციამ ამ ისტორიული თარიღის აღნიშვნა გადააქციეს, ერთის მხრივ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და, მეორეს მხრივ, რუსი ხალხისადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის მძლავრ დემონსტრაციად.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავის რამოდენიმე თვით ადრე საქართველოს მუშათა კლასმა, ქართველი ხალხის ამ მოწინავე რაზმმა, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატ „ისკრელეზის“ მეთაურობით, ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მუშათა მძლავრი დემონსტრაცია მოაწყო თბილისში „საღდათის ბაზართან“ 1901 წლის 22 აპრილს. ეს იყო საქართველოს მუშათა კლასის პირველი ორგანიზებული აშკარა გამოსვლა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ამ დემონსტრაციის დროს დარაზმული მხარდამხარ გამოვიდნენ რუსი, ქართველი, სომეხი და სხვა ეროვნების მუშები. ამ დემონსტრაციის შესახებ ლენინური „ისკრა“ წერდა: „ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის; ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“¹.

სწორედ ამ ხანსვე ეკუთვნის ქართული თეატრის აქტიური ჩაბმა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით ქუთაისის დრამატული დასის ვ. ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით. 1901 წლიდან ქუთაისის თეატრის სცენაზე მკვეთრად ისმის ხმა ყოველგვარი უსამართლობის და ძალმომრეობის წინააღმდეგ ისეთი პიესების საშუალებით, როგორცაა ვ. პიუგოს „განკიცხულნი“ (დაიდგა ქუთაისის სცენაზე 1901 წლის 11 თებერვალს), ფ. კარევეის „უბედური ნაბიჯი“ (დაიდგა 13 მაისს), ვ. მონტის „კაი გრაჟი“, გ. სუნდუკიანის „პეპო“ (დაიდგა 1 ივნისს), ფ. შილერის „ყაჩაღები“ (დაიდგა 28 ოქტომბერს) და სხვა. თავისი შესანიშნავი სასცენო ნიჭით და ოსტატობით ვ.ალექსი-მესხიშვილი და მისი ახალგაზრდა მოწაფე მსახიობები ხალხში საბრძოლო სულისკვეთებას ნერგავდნენ. 1905 წელს ქუთაისის თეატრი რევოლუციური ბრძოლის კერად იქცა. აქ ინახებოდა იარაღი, აქ ვრცელდებოდა პროკლამაციები. სცენა ბევრჯერ დაეთმო პროპაგანდისტებს რევოლუციური გამოსვლებისათვის.

¹ გაზ. „ისკრა“, № 6, 1901 წ.

ამ დასმა, ხელმძღვანელთან ერთად, თავისი აქტიური მოღვაწეობა მუშათა კლასის სასარგებლოდ ბარიკადებზე გამოსვლით დაავიროვინა 1906 წლის დამდეგს.

სწორედ ამ პერიოდში, 1901 წელს, რუსეთთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავეზე, ქართველი მოწინავე ინტელიგენცია უდიდეს ინტერესს იჩენს რუსული კულტურისადმი. დიდი რაოდენობით ითარგმნება ქართულ ენაზე გამოჩენილი რუსი მწერლების ნაწარმოები, განსაკუთრებით მ. გორკისა და ა. ჩეხოვის მოთხრობები. ამ ხანებში პირველად დაიბეჭდა მ. გორკის „გაკიცხვა“, „მინდორში“, „ოცდაექვსი და ერთი“, „უკუღმართი“, „ცხოვრების წინაშე“, „წითელი ვასილი“, „ემმაკის შესახებ“, „კიდევ ემმაკის შესახებ“; ა. ჩეხოვის მოთხრობები: „ის იყო!..“, „მსხვილი და წვრილი“, „სახლში“, „სიხარული“, „ფოსტის განყოფილებაში“, „უსათაურო“, „შემთხვევა“, „ცნობის მიღება“, „სიტყვის ძალა“, „დაკარგული შემთხვევა“, „ბედნიერება“, „საზარელი ღამე“, „ტრაგიკული შემთხვევა“, (ხუმ. ერთ მოქ.) დაიბეჭდა მ. ლერმონტოვის, ნ. ნეკრასოვის და სხვ. ლექსების თარგმანები. გადაითარგმნა (გეორედ) და დაიდგა ა. გრიბოედოვის კომედია „ეაი ქკუისაგან“, ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა მრავალი სტატია ცნობილი რუსი მწერლების შესახებ.

ეს დიდი ინტერესი და ყურადღება მოწინავე რუსული მწერლობისადმი შემდეგშიც არ შენელებულა. 1902 წელს დაიბეჭდა მ. გორკის „მოხუცი იბერგელი“, „სამნი“ და მთელი რიგი სხვა ნაწარმოები.

1902 წელს მ. გორკის ნაწარმოების ცალკე წიგნი გამოვიდა. წიგნის გამომცემელი იყო ცნობილი მწიგნობარი, ქართული სახალხო თეატრის აქტიური მოღვაწე ი. იმედაშვილი. წიგნის წინასიტყვაობაში ის წერდა: „...ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ მწერალთა გამოცემას, რომელნიც ხალხის წყლულებს შეეხებიან და მკითხველ საზოგადოებას გაათვითცნობიერებენ... ასეთ მწერლად ჩვენ მიგვაჩნია მაქსიმ გორკი და ამიტომ ამ რიგის წიგნების გამოცემა ხსენებული მწერლიდან დავიწყეთ“¹...

რუსული კულტურისადმი ასეთი დიდი ყურადღების გარემოცვაში ქართველმა საზოგადოებამ განსაკუთრებული პატივისცემით აღნი-

¹ გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. № 19, 1952 წ. 9 მაისი, ი. იმედაშვილი „მ. გორკის მოთხრობების პირველი გამოცემა ქართულ ენაზე“.

შნა 1902 წელს დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის გარდაცვალების 50 წლისთავი.

როგორც რუსეთში, საქართველოშიც თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული რეჟიმის მამხილებელი დიდი მწერლის იუბილეს ჩატარებას დიდი დაბრკოლებები გადაელობა. მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, პრესამ, თეატრმა, სკოლებმა და სხვა კულტურულმა დაწესებულებებმა მაინც შესძლეს ნ. გოგოლის სახელის ღირსეულად აღნიშვნა, რითაც ერთხელ კიდევ გამოხატეს რუსული კულტურისადმი ქართველი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა.

ნ. გოგოლის დღეებს საქართველოში ისეთივე ფართო ხასიათი მიეცა, როგორც სამი წლით ადრე ჩატარებულ ა. პუშკინის დაბადების ასი წლისთავის დღესასწაულს. ნ. გოგოლის ხსოვნის საღამოები ჩატარდა საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და დაბებში. გაზეთებში გამოქვეყნდა მრავალი წერილები და კორესპონდენციები.

ნ. გოგოლის ხსოვნას ვრცელი მოწინავე წერილი მიუძღვნა გაზეთმა „ივერია“, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ქავეჯავაძე: „...პუშკინსა და ლერმონტოვს, — ამ ორს დიდს მნათობს რუსეთის საპოეზიო ლიტერატურაში მოჰყვა გოგოლი, რომლის სამწერლო მოღვაწეობამ დიდი და ღრმა კვალი დააჩნია რუსეთის ლიტერატურას. ამ მოღვაწეობის ისტორიული მნიშვნელობა დღესაც არ დათავებულა. და თუ დღევანდელი ლიტერატურა რუსეთისა გადაიფურჩქნა და გაგჩქელდა, მიზეზი ამისი არის, სხვათაშორის, გოგოლის დიდი ნიჭი და მისი გენიოსობით აღბეჭდილი სალიტერატურო კმნილებანი. მთელი განათლებული ქართველობა იცნობს მის უმთავრეს ნაწარმოებებს“... წერილში ჩამოთვლილია ნ. გოგოლის ნაწარმოებები, რომლებიც თარგმნილი და დაბეჭდილი იყო ქართულ ენაზე. შემდეგ აღნიშნულია თუ რით იყო გამოწვეული ნ. გოგოლის „სიცილი ცრემლებს შორის“: „...მაშინდელ საზოგადო წესწყობილების უვარგისობით და უმსგავსობით. მისი შემოქმედება დამყარებულია ცხოვრების სინამდვილისა და სიმართლის გამოხატვაზედ. მართალნი არიან გოგოლის კრიტიკოსები როცა ამბობენ, რომ ამაზედ მდაბიოდ აღარ შეიძლება გამოიხატოს ის ღრმა საფუძველი რეალიზმისა, რომელიც უმთავრესი თვისება იყო მისი ნიჭისა“¹...

¹ გაზ. „ივერია“, № 49, 1902 წ.

გაზეთში აღნიშნულია თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსულ ლიტერატურას ქართველი ხალხისათვის. „რუსეთის ნიჭიერ მწერლებს ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. ბავშვობიდანვე ითვისებენ მათს შესანიშნავ ნაწერებს ჩვენი მოზარდნი, ჩვენი შვილები, ითვისებენ და ეჩვევიან ადამიანურს ფიქრებს და გრძნობას, ითვისებენ საკაცობრიო იდეალებს, პროგრესიულს მისწრაფებებს. ამ მხრივ, რუსეთის ლიდებულნი მწერალნი: პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ისევე ძვირფასნი და საყვარელნი არიან ჩვენთვის, როგორც ჩვენივე საკუთარი მადლიანი მწერალნი და შგოსანნი. ამიტომ ცხადია, რომ დღევანდელი დღესასწაული მთელას რუსეთისა, ეს დღესასწაული ადამიანის გონების შემოქმედებისა, ეს პატივისცემა ნიჭისა და ღირსებისა — ისეთივე დღესასწაულია ჩვენთვის, როგორც რუსთათვის“...

ქ. თბილისის ქართულმა თეატრმა ნ. გოგოლის გარდაცვალების 50 წლისთავი შისი „რევიზორის“ დადგმით აღნიშნა 1902 წლის 2 თებერვალს. გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ, რომ „არტისტები ყველანი რიგიანად იყვნენ მომზადებულნი და თავიანთ როლებს კარგად ასრულებდნენ. მოხდენილად ჩაატარეს როლები უფრო ვ. აბაშიძემ (გოროდნიჩი) და კ. შათირიშვილმა (ხლესტაკოვი). სხვებიც ხელს უწყობდნენ თამაშს. წარმოდგენის შემდეგ ნ. გოგოლის ხსოვნის პატივისცემად აპოთეოზი გაიმართა“¹. „ტიფლისკი ლისტოკი“ წერს: „კომედია „რევიზორს“ სრული წარმატება ხვდა წილად ვ. აბაშიძის მიერ გოროდნიჩის როლის შესანიშნავად შესრულებისა და კ. შათირიშვილის მიერ ხლესტაკოვის ძალიან გვარიანი შესრულების გამო“². „ცნობის ფურცელში“ კ. შათირიშვილის შესახებ წერია, რომ მან ხლესტაკოვის როლი შთამბეჭქდავად შეასრულაო: „განსაკუთრებით კარგად მოუვიდა ის სცენა, სადაც მან საუზმის შემდეგ კარგად გამომთვრალმა, გოროდნიჩის ცოლისა და ქალის წინ ტყუილების გუდა გახსნა“³. გოროდნიჩის ქალიშვილის მარია ანტონოენას როლს ასრულებდა ახალგაზრდა მსახიობი ქალი, ვასო აბაშიძის შვილი ტასო. აბაშიძე, რომელიც მხოლოდ მესამე სეზონი იყო, რაც სცენაზე მოღ-

¹ გაზ. „ივერია“, № 29, 1902 წ. 5 თებ., „თეატრი“.

² გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი“, № 30, 1902 წ. 2 თებ., „თეატრი და მუსიკა“.

³ გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1716, 1902 წ. 4 თებ., „ახალი ამბავი“.

ვაწეობდა. გაზეთმა შეაქო მისი თამაში. „ცნობის ფურცელმა“ შე-
აქო აგრეთვე ანა ანდრეევნას როლის შემსრულებლის ნ. გაბუნია-
ცაგარლის თამაშიც. გაზეთი წერდა, რომ „ქართულ თეატრში გო-
გოლის საღამო შექსპირის საღამოსთან შედარებით კარგად ჩაითვლე-
ბაო“. (შექსპირის საღამო თბილისის ქართულ თეატრში გაიმართა
26 იანვარს. წარმოდგენილი იყო „ჰამლეტი“ ვ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით).

„რევიზორი“ წარმოადგინა თბილისის სახალხო თეატრმაც (ავჰა-
ლის აუდიტორია).

წარმოდგენა გაიმართა 1902 წლის 24 თებერვალს. „წარმოდგე-
ნის დაწყებამდე ნ. ლ.-მა დამსწრეთ მდაბიო, ყველასათვის გასაგების
ენით გააცნო გოგოლი და აღნიშნა გოგოლის მნიშვნელობა რუსულ
ლიტერატურაში, თვით „რევიზორი“ საერთოდ კარგად წარმოად-
გინეს სცენისმოყვარეებმა“¹.

ამ წარმოდგენის დამსწრე ძველი მუშა სცენისმოყვარე დავით მე-
ლაშვილი თავის მოგონებაში² გადმოგვცემს, რომ სპექტაკლში ხლეს-
ტაკოვის როლს ასრულებდა მსახიობი კ. შათირიშვილი, რომელიც
აგრეთვე დაეხმარა ავქალის აუდიტორიის მუშათა დასს სპექტაკლის
დადგმაში. დანარჩენი როლები მუშა სცენისმოყვარეთა შორის იყო
დანაწილებული (სოფიო რომანიშვილი, ნატო ჯავახიშვილი, ნიკო
გოცირიძე, კოტე ხახანაშვილი, გრიგოლ ანაშვილი, გიგო გელიკუ-
რაშვილი, სოსო რომანიშვილი და სხვ.).

დავით მელაშვილი სახალხო თეატრის ერთ-ერთი აქტიური მო-
ღვაწე იყო და მისი მონაწილეობით დაარსდა 1902 წელს მუშა-სცე-
ნისმოყვარეთა წრე ავლაბარში. ამაზე ადრე იგი ავქალის აუდიტო-
რიის მუდმივი მაცურებელი და ხელისშემწყობი იყო. დ. მელაშვილი
თავის მოგონებაში დაწვრილებით აგვიწერს „რევიზორის“ დადგმის
ამბავს ავქალის აუდიტორიის მუშათა წრის მიერ. „მაშინდელ
დროის პირობებში — გადმოგვცემს დ. მელაშვილი — ნ. გოგოლის
„რევიზორის“ დადგმა არც თუ ისე იოლი საქმე იყო, მით უმეტეს
სცენისმოყვარეთათვის და ისიც ავქალის აუდიტორიის ისეთ პა-
ტარა შენობაში, სადაც მხოლოდ ორასი მაცურებელი ეტეოდა.

¹ გაზ. „ივერია“, № 45, 1902 წ. 26 თებ., „ახალი ამბავი“.

² სათეატრო მუხეჟმი, ხელნაწერი № 13636.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა „რევიზორი“ გაათამაშეს ამ პატარა მუშურ თეატრში. სცენისმოყვარეთა საქმისადმი ღრმა სიყვარული გამარჯვებით დაგვირგვინდა. დამსწრენი, რომლებიც უმთავრესად რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშებისაგან შესდგებოდნენ, წარმოდგენას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ. სხვა-ნაირად არც მოხდებოდა, ვინაიდან ეს ის პერიოდი იყო, როდესაც მუშათა კლასი რევოლუციური ბრძოლებისათვის ემზადებოდა. „რევიზორში“ გამოყვანილი ცარიზმის მართვა-გამგეობის უმგვანო ტიპები, ყველა ეს გოროდნიჩები, ხლესტაკოვები და ლიპაკინ-ტიპაკინები, მუშებს თვალნათლივ უჩვენებდნენ ცარიზმის მმართველობის მთელი სისტემის უვარგისობას, მისი მოსპობის აუცილებელ საპირობას. „რევიზორის“ წარმოდგენა მუშურ თეატრში ნამდვილი სარკე იყო ცარიზმის შავბნელი წესწყობილებისა“.

თბილისის რუსულ თეატრში (ს. ვოლგინას ხელმძღვანელობით) 21 თებერვალს წარმოდგენილი იქნა ნ. გოგოლის „რევიზორი“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა რუსმა მსახიობებმა ძმ. ადელგეიმებმა, რომლებმაც შეასრულეს ხლესტაკოვის (რობერტ-ადელგეიმი) და გოროდნიჩის (რაფაილ ადელგეიმი) როლები. თბილისის სახაზინო ოპერის თეატრში 17 თებერვალს წარმოადგინეს ოპერა „მაისის ღამე“, ხოლო 21 თებერვალს შესდგა სადღესასწაულო აქტი. აგრეთვე გაიხსნა ნ. გოგოლის ძეგლი (ალექსანდროვის ბაღში). ძეგლის კურთხევა მოხდა 1903 წლის 18 მარტს. ამ ზეიმის შესახებ იმდროინდელი პრესა ცნობას იძლევა, რომ ალექსანდროვის ბაღში მხოლოდ ბილეთებით უშვებდნენ, „ბაღის გარშემო კი დიდძალი ხალხი იდგა და ამოოდ სცდილობდა ბაღში შესვლას: პოლიცია არ უშვებდა“¹...

ნ. გოგოლის დღე ფართოდ აღნიშნა მოსწავლე ახალგაზრდობამაც. 1902 წლის 21 თებერვალს თბილისის ქართულ გიმნაზიაში გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო დილა და რუსულად იქნა წარმოდგენილი ნ. გოგოლის „ქორწინება“. თბილისის სასულიერო სემინარიაში გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. სალიტერატურო დილა-საღამოები გაიმართა თბილისის ყველა დანარჩენ სასწავლებლებშიც.

¹ ვახ. „ივერია“, № 64, 1903 წ. 20 მარტი, „ტფილისი“.

ეურნალმა „მოამბემ“ დაბეჭდა ნ. გოგოლის უდიდესი პატრი-
ოტული ნაწარმოების „ტარას ბულბას“ თარგმანი (ი. ახალშენი-
შვილისა).

თბილისს არც ქუთაისი ჩამორჩა. ნ. გოგოლის ხსოვნის აღსანი-
შნავი წარმოდგენა ქუთაისში 1902 წლის 24 თებერვალს გაიმართა,
ზამთრის სათეატრო სეზონის უკანასკნელ დღეს. წარმოდგენილი
იქნა „რევიზორი“. სპექტაკლი მეტად საინტერესო იყო იმით, რომ
გოროდნიჩის როლი შეასრულა ტრაგიკოსმა მსახიობმა ვ. ალექსი-
მესხიშვილმა. იმ დროს ქუთაისში მსახიობად მომუშავე ჩვენი თეა-
ტრის ცნობილი მოღვაწის სსრ სახალხო არტისტის შალვა დადი-
ანის გადმოცემით გოროდნიჩის როლი ვ. ალექსი-მესხიშვილის მი-
ერ შესანიშნავოდ იყო განსახიერებული. განსაკუთრებით ჩარჩა მა-
ყურებელს გონებაში მისი სიტყვები უკანასკნელ მოქმედებაში: „ვის
დასცინით, თქვენ თავს დასცინით“...

ხლესტაკოვის როლი შეასრულა ახალგაზრდა მსახიობმა დ. ჩარ-
კვიანმა, მარია ანტონოვნას როლი — ე. გვეტაძემ, დობჩინსკის —
ვ. ბალანჩივაძემ, ბობჩინსკის — მ. ნემომ (მ. ჯანოვეი). წარმოდგე-
ნას ხალხი ბევრი დაესწრო. გაზეთ „ივერიაში“ დაწვრილებით არის
აღწერილი ამ საღამოს საზეიმო ნაწილი: „წარმოდგენის შემდეგ 1
საათზე იხდება ფარდა და მაყურებლების თვალწინ იშლება უბრა-
ლოდ, მაგრამ გულმოდგინედ შემზადებული სურათი: მთელ ქარ-
თულ დასის ოკამდე მსახიობნი, ორ ბანაკად ჩამწყრივებულნი, ყვე-
ლანი დაფნის გვირგვინებით ხელში და მათ შორის კედელზე დაკი-
ლებული გოგოლის დიდი სურათი, წინ მაგიდა სათლებით და გვირ-
გვინებით შემკული. ერთი მსახიობთაგანი (გ. თუთბერიძე) იღებს
და კითხულობს თავიანთ კოლეგის (შ. დადიანის) მიერ დაწერილს
გრძნობიერ სიტყვას გოგოლის შესახებ. შემდეგ მუსიკა უკრავს მრავალ-
ჟამიერს. შემდეგ მეორე მსახიობი (ვ. ბალანჩივაძე) კითხულობს
იმავე მსახიობის მიერ დაწერილს გოგოლის დამახასიათებელს
ლექსს. ხალხიც მუსიკის მრავალ-ჟამიერს ხმას აყოლებს, მრავალჯერ
იმეორებს და სცენაზე მყოფნი მსახიობნი ამკობენ სურათს დაფნის
გვირგვინებით. საზოგადოება ჰყვირის: „გაუმარჯოს გოგოლის ხსოვ-
ნას! ვაშა, ვაშა გოგოლს!“ და ამ ძახილით იშლებიან. სიამოვნებას
ჰგვირის ადამიანს პროვინციის სცენაზე ასეთნაირად მოგონება ლი-

ტრატურული ზოდვანისა, თუნდაც ეს სხვა ერის ლიტერატურის მნათობიც იყოს¹.

საქართველოს კიდევ მრავალ ადგილას გაიმართა ნ. გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალიტერატურო დილა-სალამოები. სილნალის სასწავლებლებში სალიტერატურო სალამოები გაიმართა 20, 21 და 22 თებერვალს². სალიტერატურო დილა გაიმართა 21 თებერვალს ფოთში, რომლის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ შემდეგი ინფორმაციაა მოთავსებული: „ქალების სკოლის დარბაზში გაპართული იყო მწერლის პატივსაცემად სალიტერატურო დილა-სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა სიტყვა წარმოსთქვა და მოკლედ გააცნო მოწაფეებს მწერლის გოგოლის ბიოგრაფია. რამდენიმე მოწაფემაც, როგორც ვაჟებმა, აგრეთვე ქალებმაც მშვენივრად წაიკითხეს ნაწყვეტები გოგოლის თხზულებიდან და მღეროდნენ ლ. ასტანინის ლოტბარობით. სალამოს საგანგებო ბარათებით იყვნენ წოდებული ინსპექტორისაგან რჩეულნი. პირნი ფოთის სამოქალაქო დარბაზში, სადაც გამართული იყო სალიტერატურო სალამო. იქვე ითამაშეს მეხუთე კლასის მოწაფეებმა გოგოლის თხზულებიდან ორ ნოქმედებიანი კომედია „სკოლის შერთვა“. ანტრაქტებში სამოქალაქო სკოლის მოწაფენი უკრავდნენ მუსიკას ბ. საკელის ლოტბარობით“³.

ოზურგეთში 10 მარტს გაიმართა სადღესასწაულო დილა. „ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის უფროსმაც გაიხსენა გოგოლის პატივსაცემის რითიმე აღნიშვნა — ვკითხულობთ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ — დილის 12 საათზე გამართულ იქნა სკოლის შენობაში სადღესასწაულო დილა. მოწაფეთ წაიკითხეს გოგოლის ნაწარმოებიდან ზოგიერთი ადგილები. სადღესასწაულო აქტში მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ბ. გოლოვინა, როგორც გოგოლის ნათესავთაგანი. უკრავდა სკოლისვე მუსიკა. მიპატიუებულნი იყვნენ „რჩეულნი ოზურგეთისანი“.

სწორედ ამავე სალამოს ოზურგეთში გაიმართა ვ. აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი სალამო-წარმოდგენა, რომლის მომ-

¹ გაზ. „ივერია“, № 53, 1902 წ. 10 მარტი, „თეატრი“.

² გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1736, 1902 წ. 1 მარტი, „წერილი სილნალიდან“.

³ გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1744, 1902 წ. 6 მარტი, „ახალი ამბავი“.

წყობნი იყვნენ ა. წუწუნავა და ვ. შურუშაძე. წარმოდგენილი იყო ნ. გოგოლის „რევიზორის“ ერთი მოქმედება (ტრაქტირში) შათივე მონაწილეობით¹.

* * *

ნ. გოგოლის ხსოვნის აღნიშვნის შემდეგაც ცოცხლობდნენ და მოქმედებდნენ ქართულ სცენაზე ნ. გოგოლის „რევიზორის“ გმი-რები.

1902 წლის 10 მარტს ნ. გოგოლის „რევიზორის“ მესამე მოქმე-დება წარმოდგენილ იქნა თბილისის ქართულ თეატრში, ვ. აბაშიძის მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეო საღამოზე, რომელიც დიდის ამბით იქნა გადახდილი ქართული საზოგადოებრიობის მიერ. იუ-ბილარმა გოროდნიჩის როლი შეასრულა. საიუბილეო საღამო იუ-ბილარის მონაწილეობით ქუთაისშიც გაიმართა 14 მარტს და იქაც შესრულებულ იქნა ერთი მოქმედება „რევიზორიდან“. იუბილარმა აქ ხლესტაკოვის როლი შეასრულა, ხოლო გოროდნიჩის — ვ. ალექ-სი-მესხიშვილმა².

კარგად იქნა განსახიერებული „რევიზორი“ თბილისის ქართულ თეატრში 1902 წლის 22 დეკემბერს. წარმოდგენა გაიმართა ვ. გუ-ნიას რეჟისორობით დილით, მოზარდი თაობისათვის. როლებს ას-რულებდნენ:

გოროდნიჩი — ვ. აბაშიძე, ანა ანდრეევანა — ნ. გაბუნია - ცაგარ-ლისა, მარია ანტონოვნა — ო. ლეჟავა, ხლოპოვი — ვ. გამყრელიძე, ზემლიანიკა — დ. აწყურელი, ლიაპკინ-ტიაპკინი — ი. ივანიძე, შპეკი-ნი — ს. სვიმონიძე, დობჩინსკი — გ. გედევანოვი, ბობჩინსკი — ზ. სა-ფაროვი, ხლესტაკოვი — კ. შათირიშვილი, ოსიპი — ვ. გუნია, უხო-ვერტოვი — გ. იორდანიშვილი, სვისტუნოვი — ხუციშვილი, დერჟი-მორდა — რკინელი, მსახური მიშკა — როსტომიანი, ტრაქტირის მსა-ხური — ელენტი³.

„მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ქართული თეატრი კვირას დილით, 22 დეკემბერს. — ვკითხულობთ ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“. — დარბაზი სავსე იყო მოსწავლე ახალგაზ-

¹ გაზ. „ივერია“, № 56, 1902 წ. 14 მარტი, „იმერეთის ამბები“.

² გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1757, 1902 წ. 19 მარტი, „ვ. აბაშიძის იუბი-ლე ქუთაისში“.

³ სათეატრო მუზეუმი, ხელნაწერი № 1142.

რღობით. ამ დღეს ქართულმა დრამატულმა დასმა წარმოადგინა გოგოლის კომედია „რევიზორი“. მთელი ოთხი საათი დარბაზში სიცილი არ შეწყვეტილა. არც მსახიობთ დაუკლიათ მეცადინეობა. საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. გორდონიჩის როლს ასრულებდა ბ-ნი აბაშიძე. როგორც იმან, ისე სხვებმა ბოლომდე კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები¹.

გაზეთ „ივერიაში“ აღნიშნულია თუ როგორ სიძნელეს წარმოადგენდა გოგოლის „რევიზორის“ დადგმა და როგორი წარმატებით დასძლიეს ამ წარმოდგენაზე ეს სიძნელე ქართველმა მსახიობებმა. — უკვდავ გოგოლის იუმორი ისეთის განსაკუთრებულის იერისაა, — ვკითხულობთ გაზეთში, — რომ თითქმის შეუძლებელია მთარგმნელისათვის ამ იუმორის ქართულად სათანადოდ გადმოღება. ამასთანავე თვით ტიპები, რომელსაც იგი გვიხატავს, იმდენად თავისებურნი არიან, რომ ჩვენი მსახიობთათვის ამ ტიპების განპიროვნება ყოველად ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პიესა ისე უხეიროდ არის ნათარგმნი, როგორც „რევიზორია“. მაგრამ ჩვენი მსახიობების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს სიძნელე მათ დასძლიეს და, ცოტად თუ ბევრად, დაუხლოვდნენ დიდებული ავტორის განზრახვას².

წერილში შემდეგ შეფასებულია როლების შესრულება და პირველ რიგში დაწერილებით არის განხილული კ. შათირიშვილი ხლესტაკოვის როლში. „ეს მსახიობი ხლესტაკოვის როლს სწორედ, ისე თამაშობს, როგორც თვითონ გოგოლს აქვს ნაჩვენები დამატებით წერილში. საკმე იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი მსახიობი ხლესტაკოვს ავაზაკურის და გაიძვერაობის იერით ჰმოსავს და ამიტომ ხლესტაკოვი ემსგავსება ჩვეულებრივ მელოდრამატულ გმირს, რომელიც ყველას ატყუებს, ყინულზედ აცურებს. ეს ასე როდია. ხლესტაკოვი გაიძვერა არ არის, ამისათვის მას არც შესაფერი ქუთა შესწევს. იგი თავის და უნებურად ეძლევა ცხოვრების იმ ტალდას, რომელიც უცაბედი შემთხვევის წყალობით, გაიტაცებს მას სიცრუის მორევისაკენ. იგი თითქოს კიდევ ფლიდობს, სტყუის, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვინმე მოალოროს, არამედ იმიტომ, რომ ყველანი და ყველაფერი მის გარშემო სიყალბეა;

¹ გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 2023, 1902 წ. 24 დეკ., „თეატრი“.

² გაზ. „ივერია“, № 276, 1902 წ. 24 დეკ., „თეატრი და ხელოვნება“.

ხლესტაკოვი ამ სიყალბეს ბანს აძლევს, მისი კნინი და ქუცმაცვი ბუნება თავის და შესაფერ სტიქიას აქა ჰპოვებს და ამიტომ ფრთასა ჰშლის. ყოველი მისი მოქმედება, თუ სიტყვა ბავშვურის გულუბრყვილობით არის სავსე. მთელი მისი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ იგი გრაფების და თავადების მეგობარია, რომ ერთხელ ფელდმარშლად მიიღეს, რომ დეპარტამენტის უფროსი იყო და იმის წინაშე თვით სახელმწიფო საბჭოც კი თრთის—ეს ტყუილი როდია. ეს მხოლოდ გახსენებაა სიმთვრალის. დროს, წარსულ საოცნებო სურათებისა, როდესაც იგი, უბრალო რეგისტრატორი, სადმე მეშვიდე სართულის რომელიმე ოთახში მოკუნჭული, ეძლეოდა ამაო, მაგრამ ცხოველმყოფელ ოცნებას და ყველა ამბების გმირად თავის თავსა ხედავდა. ბ-ნს შათირიშვილს სწორედ ასეთის საზომით გაუთვალისწინებია ხლესტაკოვის არსება და ამიტომაც მისი თამაშობა იყო სადა, მაგრამ ამავე დროს ქეშარიტი. მხოლოდ მესამე მოქმედების მონოლოგი, რომელსაც მე ვნით წარმოუთქმელი ოცნება ვუწოდებ, — ვერ გაამრავალფეროვანა და ამასთანავე ამ მონოლოგის დროს ჩქარობდა. ბ-ნმა შათირიშვილმა რომ ეს ადგილიც ჯეროვნად შეიმუშაოს, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი საუკეთესო ხლესტაკოვი იქნება არამც თუ ჩვენს სცენაზედ, არამედ თვით რუსეთის საუკეთესო მსახიობებთან შედარებით“.

როგორც ვხედავთ, კ. შათირიშვილის სახით ქართულ თეატრს ჰყავდა ხლესტაკოვის როლის შესანიშნავი, დაკვირვებული შემსრულებელი, რომელსაც ეს სცენიური სახე სწორედ ისე უთამაშნია, როგორც თვით „რევიზორის“ ავტორს ჰქონდა დასახული. ზემოთ იყო აღნიშნული, თუ როგორ მოისუსტებდა კ. შათირიშვილი ამ როლის შესრულებისას თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში. მაგრამ, როგორც ვხედავთ, დროთა მანძილზე მას სრულუყვია თავისი სასცენო ოსტატობა და წარმატებით დაუფლებია ხლესტაკოვის ურთულეს როლს.

წერილში ნაქებია ვ. აბაშიძე — გოროდნიჩი. „სცენები ხლესტაკოვთან, განსაკუთრებით ტრაქტირში, — საუცხოვოდ იყო აღბეჭდილი მსახიობის მიერ. საკვირველის თანდათანობით გადადის მსახიობი შეკრთობა-აღელვებისაგან დამშვიდება-დაწყნარებაზედ“ — ვკითხულობთ გაზეთში.

ქებით არის აგრეთვე მოხსენებული წერილში ვ. გამყრელიძე (ზემლიანიკა), დ. აწყურელი (ხლოპოვი), ი. ივანიძე (ლიაპკინ-ტი-აპკინი), გ. გედევანოვი (დობჩინსკი), ზ. საფაროვი (ბობჩინსკი), გამყრელიძისა (პოშლიოპკინა), ს. რომანიშვილი (გიბნერი). ნ. გა-ბუნია - ცაგარელზე (ანა ანდრეევანა) აღნიშნულია რომ „რალაც აკლდა“, რუსული ტიპი ვერ გამოსახაო. ერთფეროვანი გამოსვლია ოსიანის როლი ვ. გუნიას. სუსტად შეუსრულებია მარია ანტონოვ-ნას როლი ახალგაზრდა მსახიობს ო. ლეჟავას, რომელმაც ამ სე-ზონიდან დაიწყო მოღვაწეობა ქართულ სცენაზე. იქვეა აღნიშნუ-ლი, რომ მას შეეძლო უკეთესად ეთამაშნაო.

წარმატება ხვდა წილად 1903 წლის 27 დეკემბერს თბილისის ქართულ თეატრში მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ „რევიზორის“ დილის წარმოდგენას¹.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. გვარამია, რომელიც თბილისის ქართულ თეატრში მსახიობად 1903 წელს შევიდა, თავის მოგონებაში ამ სპექტაკლის შესახებ მოგვითხრობს: „თუმცა 1903—1904 წლის სათეატრო სეზონში პატივცემული აკაკი წერეთე-ლი იყო თბილისის ქართული თეატრის რეჟისორად, მაგრამ „რე-ვიზორი“ მაინც ვ. აბაშიძემ დადგა. გოროდნიჩის როლსაც თვითონ თამაშობდა; დიდის გულისხმიერებით მოეკიდა დადგმას. მახსოვს, ბევრი რეპეტიციები გვქონდა. მე მსახურ მიშკას როლს ვასრუ-ლებდი... ვ. აბაშიძე — კომიკური როლების შესანიშნავი შემსრუ-ლებელი — გოროდნიჩის ტრაგიკულ ფიგურას ჰქმნიდა და განსა-კუთრებით ბოლო მოქმედების მონოლოგს ისე კითხულობდა და ანსახიერებდა, რომ თქვენ წინ ნამდვილი ტრაგიკოსი იდგა. უნდა გენახათ კიდევ ვასო, როცა ტრაქტირში ხლესტაკოვთან შემოდით-და. გოროდნიჩის ბევრი სიტყვები აქვს, რომელიც მაყურებლისა-კენ უნდა ითქვას. ვ. აბაშიძე ამ სიტყვებს არავითარ შემთხვევაში საზოგადოებისაკენ არ მიმართავდა, ყოველთვის პარტნიორისაკენ ამბობდა, მაგრამ ამას ისეთის ხელოვნებით ახერხებდა, რომ გე-გონებოდათ თავისთვის ლაპარაკობსო... ვ. აბაშიძეს „რევიზორზე“ მუშაობის დროს ეტყობოდა, რომ ეს კომედია ძალიან უყვარდა და დიდად აფასებდა მის ღირსებას“².

¹ გაზ. „დროება“, № 279, 1903 წ. 29 დეკ., „თეატრი და ხელოვნება“.

² სათეატრო ზეხუეში, ხელნაწ. № 13656.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ განეფებულმა სასტიკმა რეაქციამ ქართულ თეატრსაც დაასვა თავისი მწარე დალი. მძიმე საცენზურო პირობები და ინტელიგენციის ზოგიერთი წრეების სულიერი დაცემულობა უარყოფით გავლენას ახდენდა თეატრის იდეურ-მხატვრულ მიმართულებაზე. სპექტაკლები ველარ იდგა ჯეროვან მხატვრულ სიმაღლეზე, რის გამო მაყურებელმა დაკარგა ინტერესი თეატრისადმი. პრესა და თეატრალური საზოგადოებრივობა ცდილობდა დახმარებოდა თეატრს შემოქმედებითი დონის ამაღლების საქმეში. მთელ რიგ საგაზეთო წერილებში გაეხილული იყო ქართული თეატრის მტკივნეული საკითხები და დასახული იყო ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ერთ-ერთ ღონისძიებათ იყო მიჩნეული ახალი შემოქმედებითი ძალების აღზრდა რუსულ სცენაზე. ამიტომ, სასცენო ხელოვნების ამაღლების მიზნით, მოსკოვში სასწავლებლად გაემგზავრნენ ახალგაზრდა მსახიობები ალექსანდრე წუწუნავა, ვახტანგ მჭედლიშვილი, აკაკი ფაღავა და ახალგაზრდა რეჟისორი და მსახიობი ვალერიან შალიკაშვილი. მათ მოსკოვში განსაკუთრებული მზრუნველობა გაუწია ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ, მოსკოვის მცირე თეატრის ხელმძღვანელმა ა. სუმბათაშვილმა.

მეტად საინტერესოა ის ამბავი, რომ ა. სუმბათაშვილის რჩევით და რეკომენდაციით ყველა ეს ახალგაზრდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიიღეს სასცენო ცოდნის შესაძენად. ა. სუმბათაშვილმა უფრო საჭიროდ და მიზანშეწონილად სცნო, რომ ქართული თეატრის ახალი სარეჟისორო ძალები სამხატვრო თეატრში აღზრდილიყო და იქ შეეთვისებინათ ახალი თეატრალური პრინციპები.

1909 წლის ზაფხულს არდადეგებზე ჩამოსულმა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიის მოწაფეებმა ა. წუწუნავამ და ვ. მჭედლიშვილმა ქართული დრამატული საზოგადოების წინაშე დასვეს საკითხი მოსკოვში ქართული თეატრალური სტუდიის დაარსების შესახებ, ქართული თეატრისათვის ახალი მხატვრული ძალების მოსამზადებლად. ამ სტუდიაში პედაგოგობა უსასყიდლოდ აღუთქვეს კ. სტანისლავსკიმ, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ და ა. სუმბათაშვილმა. სამწუხაროდ დრამატულმა საზოგადოებამ სტუდიის მოწყობას ხელი არ შეუწყო. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ საქმის მოგვარება: 1923 წელს ვ. მჭედლი-

შვილის ხელმძღვანელობით მოსკოვში დაარსდა ქართული თეატრალური სტუდია, რომელმაც არა ერთი სცენის მუშაკი შესძინა საბჭოთა ქართულ თეატრს.

რუსულ სცენაზე აღზრდილი ახალგაზრდები ვ. შალიკაშვილი, ა. წუწუნავა და ა. ფალავა დაბრუნდნენ სამშობლოში და მათი აქტიური შემოქმედებითი მუშაობის მეოხებით საგრძნობლად ამაღლდა რევოლუციამდელი ქართული თეატრის მხატვრული დონე (ვ. მკვდლიშვილი სამხატვრო თეატრში დარჩა სამუშაოდ რეჟისურის დარგში).

რუსეთში იყო აგრეთვე ნასწავლი რევოლუციამდელი ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორი მ. ქორელი.

ამ პერიოდში ქართული თეატრალური ხელოვნების გაჯანსაღების საქმეში დიდი როლი ითამაშა არა მარტო მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეალისტური სკოლის გამოცდილების გავრცელებამ ქართულ სცენაზე, არამედ რუსულმა კლასიკურმა დრამატურგიამაც. ა. ოსტროვსკის, ნ. გოგოლის, ა. ჩეხოვის, მ. გორკის და ლ. ტოლსტოის ნაწარმოებში, რომელნიც ორიგინალურ ქართულ დრამატურგიასთან ერთად წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, მნიშვნელოვანად ამაღლებდნენ თეატრის იდეურ და მხატვრულ დონეს.

ნ. გოგოლის „რევიზორს“ კვლავ საპატიო ადგილი ექირა ქართული თეატრის ამ ხანის რეპერტუარში.

ნ. გოგოლის მიერ შექმნილი სცენიური სახეები ქართველ მაყურებლის თვალწინ კვლავ გაცოცხლდნენ 1909 წელს, ნ. გოგოლის დაბადების ასი წლისთავზე. მთავრობამ სცადა ნ. გოგოლის იუბილე ფართოდ არ გახმაურებულიყო და უვნებლად ჩაეტარებინა, აკრძალა, მაგალითად, ნ. გოგოლის დღესასწაულის აღნიშვნა ადგილობრივ ენებზე, მაგრამ ვერ შესძლო ხელის შეშლა.

ქართულმა საზოგადოებრიობამ ღირსეულად აღნიშნა ნ. ვ. გოგოლის საიუბილეო თარიღი. არ დარჩენილა იმდროინდელი არცერთი გაზეთი, რომელიც არ გამოხმაურებოდეს და ვრცელი წერილები არ მიეძღვნას ნ. გოგოლის შემოქმედებისა და ცხოვრებისადმი. ამ წერილებში დიდი სიყვარულია გამოხატული გენიალური რუსი მწერლისადმი, აღნიშნულია მისი ნაწარმოების უდიდესი მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის განვითარებაში.

გაზეთი „დროება“ წერდა: ... რუსეთის მწერლობაში ნ. გოგოლი უპირველესი მწერალია. მას პუშკინის თანასწორი ადგილი უჭირავს. გოგოლის სკოლის მოწაფეებად სთვლიან გოგოლის მომდევნო რუსეთის უდიდეს მწერლებს — ტოლსტოის, გონჩაროვს და სხვებს. ამას გარდა გოგოლმა ენა გაათავიჭა, მხატვრული ელფერი მისცა. მისი იუმორი დღესაც შეუდარებელია. გოგოლს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზედაც. მან საოცარის რეალიზმით დახატა მაშინდელი ცხოვრების უკიდურესი მხარეები. მისი ნაწერები ტიპების მთელი გალერეაა. სინამდვილემ თავისი გამოსახულება გოგოლის ნაწარმოებში ჰპოვა. ხლესტაკოვები, დობჩინსკები სკვოზნიკ-დმუხანოვსკები, სობაკევიჩები, ნოზდრეევი, პლიუშკინები, — ყველა ეს რუსეთის დახვეწებულ წყობილების შვილები იყვნენ. ყველა ეს ტიპები საოცრად მხატვრულად არის დახატული. გოგოლი საოცარი სისწორით ხატავდა რუსეთის ცხოვრების სინამდვილეს. ამიტომაც იყო, რომ ეს სინამდვილე, ქალღმერთად აღწერილი, ბევრს არად ეპიტანებოდა. რა დიდი ტანჯვა დასჭირდა გოგოლს, რომ გამოეტანა ნებართვა „რევიზორის“ სცენაზე დასადგმელად და „მკვდარი სულების“ გამოსაცემად¹.

თბილისის ქართულმა თეატრმა ნ. გოგოლის „რევიზორი“ საიუბილეო თარიღზე ადრე წარმოდგინა, 1909 წლის 18 იანვარს, რადგან საიუბილეო თარიღამდე (20 მარტამდე) სეზონი იხურებოდა. გაზეთი „დროება“ ამ დადგმას ჩვეულებრივ სპექტაკლად სთვლის. „პიესამ ჩვეულებრივ ჩაიარა, ისე როგორც არა ერთხელ ჩაუტარებიათ ეს პიესა ქართულ სცენაზე“². მაგრამ თბილისის მეორე გაზეთი „ჩვენი გზა“ სულ სხვაგვარად აფასებს ამ სპექტაკლს. „ვინც ამ დღეს თეატრში არ ყოფილა — ვკითხულობთ გაზეთში — და არ უნახავს ჩვენი არტისტების თამაში, ის თავის დღეში ვერაფრითარ წარმოდგენას ვერ იქონიებს მათ ღირსება-ნაკლოვანებაზე. ვხედავდი ჩვენი არტისტების თამაშს, გული სიხარულით მევსებოდა, თვალებს არ ვუჯერიდი ვერ წარმომედგინა, რომ სცენაზე ჩვენი არტისტები იყვნენ. აბა როგორ დავიჯერებდი, როცა როლი ყველამ კარგად იცოდა, აღარ ისმოდა სუფლიორის ღრიალი... შესაფერი მიხრა-მოხრა,

¹ გაზ. „დროება“, № 63, 1909 წ. 20 მარტი, „ნიკოლოზ გოგოლი“.

² გაზ. „დროება“, № 14, 1909 წ. 20 იანვ., „თეატრი და ცხოვრება“.

საუცხოვო გრინები და სხვა. ამისთანა რამეებს ჩვეული არ ვართ ქართული საზოგადოება და გასაკვირი არაა თუ დაუჯერებლად მეჩვენება, რომ სცენაზე ქართველი არტისტები იყვნენ¹. ... გაზეთი შესანიშნავად თელის ვ. აბაშიძის, გ. გედევანოვის, ზ. საფაროვის თამაშს (გოროდნიჩი, დობჩინსკი და ბობჩინსკი). „ვასო აბაშიძის საუცხოო და მოხდენილმა თამაშმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა; ის ტაშისცემით დააჯილდოვეს და მრავალჯერ გამოიძახესო“². ძალიან კარგად უთამაშნია ელისაბედ ჩერქეზიშვილს (ანა ანდრეევნა), ნარო მდივანს (მარია ანტონოვინა), ნატო ჯავახიშვილს (პოშლიოპკინა), კ. შათირიშვილს (ხლესტაკოვი), ვ. შალიკაშვილს (ზემლიანიკა), ნ. გვარაძეს (მიშკა), ა. იმედაშვილს (უხევერტოვი), ი. ივანიძეს (ლიაპკინ-ტიაპკინი), ს. სვიმონიძეს (შპეკინი) კ. მესხს (ოსიპი) და სხვებს.

გაზეთ „ჩვენი ხმის“ რეცენზენტი ბოლოს აღნიშნავს: „ეტყობოდა ამ წარმოდგენისათვის არტისტებსაც და რეჟისორსაც ცოტა ნეტი ენერჯია დაუხარჯავთ. არტისტებს დაეძლიათ ჩვეულებრივი ინდიფერენტიზმი — როლები შეესწავლათ და თვითეულ მათგანს იწევი როლი აეღო, რომლისთვისაც შესწევდა ძალა და ღონე“³.

იუბილესთან დაკავშირებით „რევიზორი“ წარმოადგინეს 26 აპრილს ქიათურაში. ერთი დღით ადრე აქვე გაიმართა ნ. გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალიტერატურო დილა⁴. ქართულ-რუსული სალიტერატურო დილა და საღამო გაიმართა 20 აპრილს სამტრედიისში⁵. იუბილე გადაიხადეს ოზურგეთში⁶. სალიტერატურო დილები 20 მარტს გაიმართა საქართველოს თითქმის ყველა სასწავლებელში, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში, კერძოდ თბილისის ქართულ გიმნაზიაში⁷ და სხვ.

პედაგოგმა და პოეტმა სილოვან ხუნდაძემ ნ. გოგოლის სახსოვრად შექმნილი ლექსი დაწერა:

შისი იუმორით, მის პოეზიით
ქართველიც ისე იღბენს და სტკებება,
როგორც თვით რუსი... სევდიან მკითხველს
ვინც უნდა იყოს ცრემლი აშრება.

¹ გაზ. „ჩვენი ხმა“, № 16, 1905 წ. 21 იანვ., „თეატრი და ხელოვნება“.

² გაზ. „დროება“. № 95, 1909 წ. 1 მაისი, „თეატრი და ხელოვნება“.

³ გაზ. „ჩვენი საქმე“, № 24, 1909 წ. 3 მაისი, „პროვინცია“.

⁴ გაზ. „ჩვენი საქმე“, № 23, 1909 წ. 2 მაისი, „პროვინცია“.

⁵ გაზ. „დროება“, № 64, 1909 წ. 21 მარტი, „ახალი ამბავი“.

გოგოლი განა მალაროსია?
ის განა მარტო რუსეთს ეკუთვნის?
თვისი ციური ნიჭისა ნაყოფს
ის თანასწორად ყოველ ერს უძღვნის.
აი კავშირი საერთაშორისო
ხიდი ხალხების შემაერთები...
როს მომწიფდება იმათი ახრი,
და გავრცელდება ის გრძობა სრული,
მაშინ ამ ქვეყნად აღარ იქნება
არცა მჩაგვრელი არცა ჩაგრული¹.

ამივე 1909 წელს, 19 დეკემბერს, „რევიზორი“ წარმოადგინეს ქუთაისში, ვ. გუნიას რეჟისორობით. გოროდნიჩის როლის შესასრულებლად თბილისიდან საგანგებოდ ვ. აბაშიძე იყო მიწვეული. ეს პიესა იმ რჩეულ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, — ვკითხულობთ ამ წარმოდგენასთან დაკავშირებით გაზეთ „დროებაში“, — რომელთაც დრო — ჟამთა მსვლელობა არ აბერებს, იგი მუდამ ახალი, საამური და საყურადღებოა“. პიესა რიგიანად წარმოუდგენია ქუთაისის დასს, „თუმცა უკეთესი შესრულება ეკადრებოდაო“ — დასძენს გაზეთი². წარმოდგენას ბევრი რუსი მაყურებელი დასწრებია.

როგორც ყოველთვის, საუცხოო ყოფილა ვ. აბაშიძე გოროდნიჩის როლში. დ. ჩარკვიანს მოხდენილად შეუსრულებია ხლესტაკოვის როლი. კარგად უთამაშნიათ მ. ნემოს (ხლოპოვი), შ. დადიანს (ლიაპკინ-ტიაპკინი), ნ. დივითაშვილს (მარია ანტონოვნა), ა. მურუსიძეს (შპეკინი). შეუფერებელი და სუსტნი ყოფილან: გ. იშხნელი (ოსიპი), დ. ივანიძე (ანა ანდრეევნა).

1909 წლის 4 აპრილს თბილისში ახლად აგებულ სახალხო სახლში თავისი მოღვაწეობა დაიწყო ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ. ეს წრე ავქალის აუდიტორიაში დაარსებულ სახალხო თეატრის მემკვიდრე იყო. სახალხო სახლში გადმოსვლით მუშათა დასი გაცილებით უკეთეს პირობებში მოეწყო და მუშაობის ასპარეზიც საგრძნობლად გააფართოვა.

ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ სახალხო სახლში მოღვაწეობის დაწყება დაუკავშირა დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის დაბადების 100 წლისთავს და მისი კომედია „რევიზორი“

¹ ი. გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, გვ. 210, თბილისი, 1952 წ.

² გაზ. „დროება“, № 286, 1909 წ., 23 დეკ., „თეატრი და ხელოვნება“.

წარმოადგინა. სპექტაკლს რეჟისორობდა ქართული თეატრის მსახიობი კ. შათირიშვილი. როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: გოროდნიჩი — ი. ზურაბიშვილი, ანა ანდრეევანა — ე. ჩერქეზიშვილი, მარია ანტონოვნა — თ. გამრეკელი, ლუკა ლუკიჩ ხლოპოვი — დ. ბაქრაძე, ანოს ფეოდოროვიჩ ლიპაკინ-ტიაკინი — ვ. მატარაძე, არტემი ფილიპიჩ ზემლიანია — დ. დუმბაძე, ივან კუზმიჩ შპეკინი — ა. აპრილაძე (ა. ნეიმანი), პეტრ ივანოვიჩ დობჩინსკი — ა. ადამიძე, პეტრ ივანოვიჩ ბობჩინსკი — ს. რომანიშვილი, ხლესტაკოვი — კ. შათირიშვილი, ოსიპი — ნ. გოცირიძე, ხრისტიან ივანოვიჩ გიბნერი — ა. ბაღრიძე, სტეფან ილიჩ უხოვერტოვი — გ. ჯაბაური, სეისტუნოვი — ნ. ჩაგუნავა, დერჟიმორდა — თ. დოლიძე, აბდულინი — მ. ინაშვილი, კოშლიოპკინა — თამარაშვილი, მიშკა — ვ. ადამიძე, ტრაქტირის მსახური — გ. ანაშვილი¹.

მონაწილეთა შორის მხოლოდ ორი ერია პროფესიონალი მსახიობი — ე. ჩერქეზიშვილი და კ. შათირიშვილი, დანარჩენნი თუმცა გამოცდილნი, მაგრამ მაინც სცენისმოყვარენი იყვნენ და მათთვის ადვილი არ იყო ისეთი რთული და მნიშვნელოვანი როლების შესრულება, როგორც „რევიზორში“, მაგრამ მონდომებით დაწყებულმა საქმემ საუკეთესო შედეგი გამოიღო და წარმოდგენა შესანიშნავი გამოვიდა.

„შაბათს, 4 აპრილს — ვკითხულობთ გაზეთ „დროებაში“ — ქართველმა სცენისმოყვარეებმა კ. შათირიშვილის ხელმძღვანელობით, სახალხო სახლში დაიწყეს სეზონი წარმოდგენისა. ამ დღეს წარმოადგინეს „რევიზორი“ ნ. გოგოლისა. ეს წარმოდგენა ნამდვილი სახალხო წარმოდგენა იყო. ბილეთის სიიაფემ დიდძალი ხალხი მიიზიდა, ბილეთები მთლიანად გაიყიდა და ბევრი გულდაწყვეტილი უკან დაბრუნდა. რაც შეეხება თვით წარმოდგენას, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დამსწრენი გაჰკვირდნენ, იმდენად საუცხოვოდ ჩაატარეს სცენისმოყვარეებმა. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ურიგო არ იქნება, ჩვენი თეატრის არტისტებმა ამ სცენისმოყვარეთაგან აიღონ მაგალითი როლების შესწავლისა და მუყაითობისა. ძალიან კარგები იყვნენ კ. შათირიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ზურაბიშვილი ს. რომანიშვილი, ნ. გოცირიძე და სხვანი. სცენისმოყვარენი ხალხმა ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვა“².

¹ სათეატრო მუზეუმი, ხელნაწერი, № 9026.

² გაზ. „დროება“, № 75, 1909 წ. 7 აპრ., „თეატრი და ხელოვნება“.

„საერთოდ როლების კარგად ცოდნა, — გადმოგვეცემს ამ წარმოდგენის შესახებ გაზეთი „ჩვენი საქმე“, — დაკვირვებული და შეგნებულნი თამაში ბევრს ლაპარაკობს ყველა მოთამაშეთა სასარგებლოდ. ვუსურვებთ, კვლავაც ასე პირნათლად შეესრულებინოთ თავიანთი მოვალეობა“¹. დიდი წარმატების გამო, სპექტაკლი გამეორებულ იქნა 17 აპრილს.

„რევიზორი“ 1911 წელს წარმოდგინეს ქუთაისის თეატრში მ. ქორელის რეჟისორობით. დასში იყვნენ შესანიშნავი მსახიობები, ნ. ჩხეიძე, ა. იმედაშვილი და მრავალი სხვანი. ეს სათეატრო სეზონი საუკეთესო იყო ქუთაის ში ვ. ალექსი-მესხიშვილის სეზონების შემდეგ, რადგან რეჟისორმა მ. ქორელმა, რომელიც დასს მეორე წელი ხელმძღვანელობდა, საგრძნობლად განაახლა რეპერტუარი და დიდი ყურადღება მიაქცია ამ რეპერტუარში საუკეთესო რუსული დრამატული ნაწარმოების ხვედრითი წონის გაზრდას. წინა 1910 — 1911 წლ. სათეატრო სეზონში, მაგალითად, მან დადგა მ. გორკის ცნობილი პიესა „უკანასკნელი“, რომელიც რუსულ სცენაზე აკრძალული იყო. 1911 — 1912 წლ. სეზონში წარმოდგენილი იყო ა. ჩხოვის „ძია ვანო“, ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დასჯილნი“ და სხვ. „რევიზორის“ დადგმა განხორციელებული იქნა 1911 წლის 15 დეკემბერს მსახიობ ა. ყალაბეგიშვილის საბენეფისოდ, რომელიც გოროდნიჩის როლს ასრულებდა².

ქართულ სცენაზე არ დაივიწყეს ნ. გოგოლის გარდაცვალების 60 წლისთავიც, რაც 1912 წელს შესრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გაზეთ „თემში“ გამოქვეყნდა ი. წერეთლის ცნობილი ლექსი „გოგოლის ხსოვნას“, რომელიც დიდმა პოეტმა წაიკითხა 1886 წელს ქართული თეატრის საზეიმო საღამოზე „რევიზორის“ პირველი წარმოდგენის 50 წლისთავის გამო³. ნ. გოგოლის გარდაცვალების 60 წლისთავთან დაკავშირებით 1912 წლის 27 მარტს გამოცხადებული იყო ქართულ-რუსული სალიტერატურო დილა ნაძალადევის თეატრში⁴, რომლის ახლად გადაკეთებული შენობა

¹ გაზ. „ჩვენი საქმე“, № 27, 1909 წ. აპრ., „თეატრი და ხელოვნება“.

² გაზ. „ქოლხიდა“, № 215, 1811 წ. 18 დეკ., „თეატრი და ხელოვნება“.

³ გაზ. „თემი“, № 64, 1912 წ.

⁴ „სახალხო გაზეთი“, № 558, 1912 წ. 25 მარტი, „ახალი ამბავი“.

ორი თვის წინათ იყო გახსნილი. საინტერესოა, რომ თეატრის საზეიმო გახსნისას, 29 იანვარს ქართულ-რუსული წარმოდგენა გაიმართა და მუშა სცენისმოყვარეებმა რუსულად წარმოადგინეს ნ. გოგოლის „ქორწინება“.

1912 წელს თბილისის სახალხო სახლთან არსებულმა ქართული წარმოდგენების მმართველმა წრემ კვლავ „რევიზორი“ დადგა. სპექტაკლი მოამზადა ახალგაზრდა რეჟისორმა ა. წუწუნავამ. ამ სპექტაკლის მომზადების შესახებ საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ა. წუწუნავამ შემდეგი მოგვითხრო: „სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მმართველი წრის რეჟისორად მიწვეული ვიყავი 1911 წლიდან. როდესაც დასის შემადგენლობას კარვად გავეცანი და დავრწმუნდი, რომ მათ შეუძლიათ რთული პიესების განსახიერება — მე დავიწყე ისეთი კლასიკური პიესების დადგმა, რომელიც საჭირო იყო დემოკრატიული მაყურებლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ დასი სცენისმოყვარეთაგან შედგებოდა, მაინც ძლიერი იყო. მე ვცდილობდი დამენერგა მათში გამოჩენილი რუსი რეჟისორის კ. სტანისლავსკის რეალისტური სასცენო შემოქმედებითი პრინციპები, რომლებიც შეთვისებული მქონდა ოთხი წლის განმავლობაში სამხატვრო თეატრში სწავლის დროს. მე ვფიქრობდი ამ წრის ნიადაგზე, რუსული რეალისტური თეატრის გამოცდილების გამოყენებით, ახალი ქართული თეატრი შემექნა“.

ა. წუწუნავა უშუალო მოწმე იყო „რევიზორის“ მომზადებისა და დადგმისა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მას არც ერთი რეპეტიცია არ გამოუტოვებია. ამასთან ერთად გულდასმით ჰქონდა შესწავლილი დოკუმენტური მასალა ამ კომედიის შესახებ. „რევიზორის“ ქართულ სცენაზე დადგმის დროს მან იხელმძღვანელა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მდიდარი გამოცდილებით. „ამრიგად, მოგვითხრობს ა. წუწუნავა, „რევიზორის“ დადგმისათვის მე სრულებით მზად ვიყავი და სხვაგვარად ვერც წარმომედგინა მისი ქართულ სცენაზე დადგმა თუ არა ისე, როგორც შესწავლილი მქონდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში. მე გადავწყვიტე სამხატვრო თეატრის სრული გეგმით და ინტერპრეტაციით დამედგა „რევიზორი“, რის შესახებაც აფიშებში და პრესაშიც აღვნიშნეთ. დადგენაზე კარგა ხანს ვმუშაობდი, იმაზე გაცილებით მეტსაც, რაც წრეს განსაზღვრული ჰქონდა თითოეული პიესის მოსამზადებლად.

მომზადება ცოტა გამიძნელდა, რადგან ბევრ მონაწილეს ძნელად სცილდებოდა ძველი სცენიური „შტამპი“. გზადგზა ზოგიერთი როლების შენაცვლებაც—კი დამჭირდა. მაგალითად, ზემლიანიკას როლი თავდაპირველად მივეცი წრის აქტიურ დამხმარეს, დიდად პატივცემულ მსახიობ ვიქტორ გამყრელიძეს, მაგრამ შემდეგ მან გამიცხადა „თქვენი მეთოდით როლს ვერ შევასრულებო“ და ეს როლი გადავეცი ახალგაზრდა სცენისმოყვარეს ვიქტორ ნინიძეს¹.

სპექტაკლში, რომელიც 1912 წლის 13 ოქტომბერს იყო ნაჩვენები, როლებს ასრულებდნენ:

გოროდნიჩი — ი. ზურაბიშვილი, ანა ანდრეევანა — ჰიერეტტა (საგინაშვილი), მარია ანტონოვნა — ბ. აბრამიშვილი, ლუკა ლუკიჩ ხლოპოვი — გ. ანაშვილი, ამოს ფეოდოროვიჩ ლიაპკინ-ტიაპკინი — ვ. მინდიაშვილი, არტემი ფილიპოვიჩ ზემლიანიკა — ვ. ნინიძე, ივან კუზმირ შპეკინი — ს. პეპანოვი, პიოტრ ივანოვიჩ დობჩინსკი — ს. რომანიშვილი, პიოტრ ივანოვიჩ ბობჩინსკი — ნ. გოცირიძე, ივან ალექსანდროვიჩ ხლესტაკოვი — ნ. ჭანკვეტაძე, ოსიპი — მ. ნემო (ჯანოვევი), ხრისტიან ივანოვიჩ გიბნერი — გ. სვანელი, ფეოდორ ანდრეევიჩ ლიულიუკოვი — ა. მეტრეველი, ივან ლაზარევიჩ რასტაკოვსკი — დ. ბაქრაძე, სტეპან სტეპანოვიჩ კარობკინი — დ. ჩიქოვანი, უხოვერტოვი — გ. ჯაბაური, დერჟიმოროდა — კავსაძე, აბდულინი — რ. სალაცაია, პოშლიოპკინა — ე. ციმაკურიძე, უნტერ-ოფიცრის ცოლი — თ. აფხაზიშვილი, მიშკა — ალავერდელი, ტრაქტირის მსახური — ა. მეტრეველი, სტუმრები, ვაჟრები, მთხოვნელები და მოსამსახურენი: ე. არბათელი, ევ. ათაბეგიშვილი, ნ. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, ა. კახელი, ნ. კიკნაძე, ს. რომანიშვილისა, ყოჩიშვილი, არშაკუნი, ა. ბადრიძე, ს. თავდიშვილი, მ. ინაშვილი, მაქავარიანი და სხვ.²

სპექტაკლმა მაყურებლის და პრესის დიდი მოწონება და ქება დაიმსახურა. „სახალხო გაზეთმა“ ამ დადგმას ვრცელი წერილი მიუძღვნა. წერილში თავდაპირველად მოგონებული და დახასიათებული იყო „რევიზორის“ შესანიშნავი დადგმა მოსკოვის სამხატვრო თეატრში.

¹ სათეატრო მუზეუმი, ხელნაწ. № 13636.

² სათეატრო მუზეუმი, დოკ. № 9108.

სახალხო სახლში ა. წუწუნავს მიერ „რევიზორის“ დადგმის შესახებ გაზეთი აღნიშნავს: „აქაც მოისურვეს შაბლონის გადაღება. მართლაც მიზანი რამოდენიმედ მიღწეულია. სახალხო სახლში ჩვენ შაბლონიურად დადგმული „რევიზორი“ კი არა ვნახეთ, არამედ ისეთი, რომელსაც ემჩნეოდა როგორც შემოქმედებითი, ისე წმინდა ტექნიკური მუშაობა. გოგოლის ნაწარმოებში ცენტრალურ მოქმედ პირებად ითვლება გოროდნიჩი და ხლესტაკოვი. მიუხედავად ამისა, ყურადღება ამ ორს მოქმედ პირზე ვერ დავამყარე. რეჟისორის ჯადოსნური ხელის წყალობით თვითეული მოქმედი პირთაგანი ცენტრალურ ფიგურად გადაიქცა; ეს იყო მთლიანი, შეხატკბილებული და გონივრულად ნააზრვეი წარმოდგენა. უპირველეს ყოვლისა, არ იყო გადამეტებული შარკი: მოქმედ პირთა კომიკური მდგომარეობა ზომიერების საზღვრებს არ სცილდებოდა. ეს, როგორც არა ერთხელ აღვნიშნავს, უმთავრესი განძია სახალხო წარმოდგენებისა“.

წერილის ავტორი აქებს სპექტაკლის მონაწილე სცენისმოყვარეთ, ხოლო ზემლიანიკას როლის შემსრულებლის შესახებ წერს: „არ შეგვიძლიან განსაკუთარებულის სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ბ-ნი ვ. ნინიძის (ზემლიანიკა) თამაშობა. ასეთი მოხდენილი, კომიზმით აღსავსე, მაგრამ ზომიერება დაცული ასრულება ამ როლისა ქართულ სცენაზე ჩვენ არ გვინახავს... სჩანს მუშაობა, სჩანს საქმისადმი სიყვარული, სჩანს გულწრფელობა. ყველა ამისათვის არ შეგვიძლიან ჩვენ მადლობა ან ვუძღვნათ, როგორც საზოგადოდ სცენისმოყვარეთ, ისე რეჟისორს ბ-ნ წუწუნავს“¹.

ზემლიანიკას როლის შემსრულებელი, ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინიძე ამ სპექტაკლის შესახებ თავის მოგონებაში შემდეგს მოგვითხრობს: „...1909 წელს დავიწყე მუშაობა რკინიგზის სამმართველოში გადამწერად. ამ დროს თბილისში გაიხსნა სახალხო სახლი, სადაც სისტემატურად იმართებოდა ქართული წარმოდგენები. სახალხო სახლის ქართული წარმოდგენების მმართველი წრე მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია იყო თავისი მიზანდასახულობით. მე შევეცადე დამეწყო მუშაობა ამ წრეში სცენისმოყვარეთ“.

¹ „სახალხო გაზეთი“, № 724, 1912 წ. 16 ოქტ.

ვ. ნინიძე აგვიწერს წრის საქმიანობას, მის მკიდრო კავშირს თბილისის მუშებთან. შემდეგ მოგვითხრობს, თუ როგორ ამზადებდა რევისორი ა. წუწუნავა ნ. გოგოლის „რევიზორის“ დადგმას. „ამ დადგმამ ძალიან დამაინტერესა. ვლელავდი, — მათამაშებდენ თუ არა ამ პიესაში და რომელ როლს... მე მომკეს ზემლიანიკას როლი, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს მსახიობისათვის. რევისორის განმარტების შემდეგ ჩემთვის ნათელი გახდა როლის საერთო მოხაზულობა, გამომდინარე პიესის ძირითადი იდეიდან. ჩვენ უნდა გვეჩვენებინა ცარიზმის დაკნინების სრული სახე. ბევრს ვფიქრობდი როლზე, მეშინოდა არ წამეხდინა, მით უმეტეს მანამდე კარგი როლები მქონდა ნათამაშევი. საინტერესოდ მუშაობდა მსახიობებთან რევისორი ა. წუწუნავა. ის ახლადჩამოსული იყო საქართველოში, აღსაყვ იყო შემოქმედებითი ენერჯით და ცდილობდა ჩვენს სცენაზე გამოეყენებინა მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრში მიიღო. მან დიდი მუშაობა ჩაატარა „რევიზორის“ მზადებისას, ბევრი რამ ახალი გეასწავლა სცენიური სახის გახსნის შესახებ. მისი მთავარი ხაზი იყო რეალისტური სიმართლით ეჩვენებინა კომედიის სახეები და ამ საშუალებით სრულყოფილად და სწორად მიეტანა მაყურებლამდე ამ გენიალური ნაწარმოების დედააზრი. ამ მიზნის მისაღწევად მას რეპეტიციების დროს ხშირად მოჰყავდა სხვა და სხვა მაგალითები სამხატვრო თეატრის მუშაობიდან. ასეთი მაგალითებით მან ისე გაგვიტაცა, რომ ხშირად რეპეტიციები ნაშუალამემდე გრძელდებოდა და დაღლას არავენ გრძნობდა... სპექტაკლმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. მაყურებლებმა ოვაციები გაუმართეს რევისორს და სპექტაკლის მონაწილეთ. ადვილი გასაგებია, თუ რა დიდ სიხარულს განვიცდიდი მე, ახალგაზრდა მსახიობი, რომელსაც შრომა გამიმართლდა და შევქმენი ისეთი სახე, როგორიც საჭირო იყო კომედიის მთლიანობისათვის“¹.

ა. წუწუნავას დადგმული „რევიზორი“ ქართული წარმოდგენების მმართველმა წრემ გაიმეორა 16 ოქტომბერს.

ერთი წლის შემდეგ, 1913 წლის 23 ნოემბერს წრემ კვლავ წარმოადგინა „რევიზორი“ ა. წუწუნავას რევისორობით. ამ წარმოდგენაში მარია ანტონოვნას როლის შესასრულებლად მოწვეული იყო მსახიობი ტ. აბაშიძე, ხოლო ოსიპის — კ. ყიფიანი.

¹ სათეატრო მუზეუმი, ხელნაწ. № 13636.

„სახალხო გაზეთი“ ამ სპექტაკლის შესახებ გადმოგვცემს: „არაერთხელ და ორჯერ აღგვინიშნავს გაზეთის ფურცლებზე სცენის-მოყვარეთა იშვიათი მუყაითობა და ენერგია, არა ერთხელ უქიათ ბ. წუწუნავას სარეჟისორო ნიჭი, მაგრამ, რასაც შაბათს სახალხო სახლში ადგილი ჰქონდა, ეს მოლოდინს აღემატება... ყოველივე წვრილმანი, ყოველი უბრალო და უმნიშვნელო მოქმედება ხელს უწყობდა ილუზიის შექმნას. ეს რეჟისორის გულმოდგინეობას და ნიჭს უნდა მიეწეროს. პიესა სასტიკი რეალიზმის დაცვით იყო დადგმული. ცალკე მოთამაშეთა ღირსებას არ შევეხებით, არც არის საჭირო, რადგანაც „რევიზორში“ არ არის ისეთი განსაკუთრებული ტიპი, რომელიც დანარჩენებს ჰჩრდილავდეს. იქ გოროდნიჩიდან დაწყებული უსიტყვო და მუნჯ ექიმამდე, ან უსიტყვო სტუმრებამდე, ყველა გმირია. სიამოვნებით უნდა ვთქვათ, რომ პიესა იშვიათის ანსამბლით ჩაატარეს“¹...

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეჟისორმა ა. წუწუნავამ „რევიზორის“ დადგმა თბილისის რუსულ თეატრშიც განახორციელა 1916 წელს. მან „რევიზორი“ დადგა როსტოვში, სადაც მიწვეული იყო რეჟისორად 1916—1917 წ.წ. სათეატრო სეზონში. ა. წუწუნავას ამ დადგმით გაიხსნა როსტოვის თეატრის 1916—1917 წლის სეზონი. კონედია ზედიზედ ხუთჯერ წარმოადგინეს.

ნ. გოგოლის „რევიზორი“ დადგა 1915 წლის 4 იანვარს ბაქოში არსებულმა ქართულმა დასმა, რომლის ხელმძღვანელი შალვა დადიანი იყო. შ.დადიანმა ამ სპექტაკლში გოროდნიჩის როლი შეასრულა. ხლესტაკოვის როლი ითამაშა სცენისმოყვარე მ. ამა-შუკელმა².


ასეთია ქრონოლოგია ნ. ვ. გოგოლის ნაწარმოების ჩვენებისა რე-რეგოლუტიამდე ქართულ სცენაზე იმ განსაზღვრულ შესაძლებლობათა ფარგლებში, რაც ქართულ სცენას გააჩნდა.

* * *

1921 წელს დიდი რუსი ხალხისა და მისი ძღვევამოსილი წითელი არმიის დანშარებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება

¹ „სახალხო გაზეთი“, № 1652, 1913 წ.

² „თეატრი და ესთეტიკა“, № 3, 1915 წ.



გოროდნაჩი—შ. ლამბაშიძე.

დამყარდა. ქართველი ხალხი განთავისუფლდა უბოროტესი მტრების—მენშევიკების ბატონობისაგან, რომლებმაც საინი წლის განმავლობაში დააქვეითეს საქართველოს ეკონომიკა და კულტურა.

1921 წლიდან ქართველი ხალხის ისტორიაში დაიწყო მანამდე არანახული სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ხანა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მუდმივი დახმარების შედეგად, საბჭოთა საქართველომ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. აგრარულ ქვეყნიდან საქართველო მოწინავე ინდუსტრიისა და განვითარებულ სოციალისტურ სოფლის მეურნეობის ქვეყანად გადაიქცა. არაჩვეულებრივად გაიზარდა მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართულმა თეატრმა, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. საბჭოთა საქართველოში ამჟამად 24 სახელმწიფო თეატრია, რევოლუციამდე კი მხოლოდ 5 თეატრი იყო, რომლებსაც სახელმწიფო კი არა, არამედ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ინახავდნენ. დღეს ამ 24 საბჭოთა თეატრში ათასზე მეტი შემოქმედებითი მუშაკი მოღვაწეობს (მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მუსიკოსი). მათ კიდევ ემატებათ შვიდასზე მეტი მსახიობი, რომლებიც მუშაობენ ანსამბლებსა და საესტრადო კოლექტივებში. რევოლუციამდე კი ქართულ სანახაობრივ კულტურას მხოლოდ ასამდე შემოქმედებითი მუშაკი ემსახურებოდა. საბჭოთა საქართველოს თეატრები ამჟამად წლიურად უჩვენებენ შვიდიათასამდე წარმოდგენას. ამას ემატება მრავალი ათასი კონცერტი და მცირე ფორმის სხვადასხვა სანახაობანი. რევოლუციამდე კი ყველა ქართული თეატრები და დრამატული წრეები თავის საუკეთესო სეზონებში წლიურად ხუთასზე მეტ წარმოდგენას ვერ უჩვენებდნენ.

საბჭოთა საქართველოში ფართოდ განვითარდა ხალხური მხატვრული შემოქმედება. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1951 წელს ხალხური შემოქმედების VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო მხატვრული თვითშემოქმედების 886 რჩეულმა წრემ 30.000 წევრით. რევოლუციამდელ საქართველოში მხოლოდ ათეული თვითშემოქმედი მხატვრული წრე იყო.



ხლესტაკოვი—ე. გოდიაშვილი.

საბჭოთა საქართველოში აღიზარდა სასცენო ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ოსტატი, რომლებმაც თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით სახელი გაითქვეს მთელს საბჭოთა კავშირში. საბჭოთა საქართველოს ცხრა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ჰყავს. ასამდე ხელოვნების მოღვაწეს მინიჭებული აქვს სტალინური პრემია.

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა ქართული თეატრი თავისი შემოქმედებითი მიღწევებით საბჭოთა კავშირის ნოწინავე თეატრების რიგებში დგას, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ხელოვნებისა განუყრელი ნაწილი.


საბჭოთა ქართული თეატრის ბრწყინვალე წარმატებაში დიდ როლს თამაშობს საბჭოთა რუსული თეატრის ძმური შემოქმედებითი დახმარება. საბჭოთა რუსულ სცენაზე ქართული სცენის მრავალი მკუშაკი აღიზარდა და იზრდება. ქართული თეატრი ფართოდ საზრდოობს რუსული თეატრის სასცენო გამოცდილებით. ორიგინალურ ქართულ დრამატურგიასთან ერთად, ქართულ სცენაზე დიდი წარმატებით სარგებლობს თანამედროვე რუსული დრამატურგია. ასლებურად ეღერს დღეს ქართულ სცენაზე რუსული კლასიკური დრამატურგია, მას დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრისა და ქართველი მსაყურებლისათვის. საბჭოთა ქართული თეატრის რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკის, მ. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის, მ. გორკის შესანიშნავ ნაწარმოებებს.

ქართული თეატრის ეს შემოქმედებითი ურთიერთობა რუსულ თეატრთან ბრწყინვალე გამოხატულებაა სსრ კავშირის ხალხთა დიადი ლენინურ—სტალინური მეგობრობისა.

წარმატებით სახიერდება საბჭოთა ქართულ სცენაზე ნ. გოგოლის გენიალური კომედია „რევიზორი“. 1921 წლიდან ის წარმოადგინეს მთელ რიგ ქართულ თეატრებში. ამ დადგმათა შორის აღსანიშნავია:

1939 წლის 17 სექტემბერს ბათუმის თეატრში განსახიერებული „რევიზორი“ (ვ. გუნიას თარგმანით). სპექტაკლის დამდგმელი იყო რეჟისორი ვ. ჩომახიძე, მხატვარი მ. სოვეტოვი, როლებს ასრულებდნენ:

გოროდნიჩი—შ. ბეჟუაშვილი (აქარის ასსრ დამს. არტ.) და ი. კობალაძე, ანა ანდრეევნა—ალ. გარნელი, მარია ანტონოვნა—



ოსიპი — მ. სარაუელი.

ლ. აფხაზავა, ხლოპოვი—კ. კინწურაშვილი, ლიაპკინ-ტიაპკინი—
ზ. ლლონტი, ზემლიანიკა—მ. გოგოტიძე, შპეკინი—ე. ცივაძე, დობ-
ჩინსკი—ი. კაიკაციშვილი, ბობჩინსკი—კ. დოლონაძე, ხლესტაკოვი—
ა. სარჯველაძე, ოსიპი—ბ. ზაქარიაძე, გიბნერი—გ. ახვლედიანი,
აბდულინი—ომ. ხალვაში, პოშლიოპკინა—ნ. ფხაკაძე, მიშკა—თხი-
ლაიშვილი, ტრაქტირის მსახური—ს. თურმანიძე.

1947 წ. 29 მაისს „რევიზორი“ (გ. ჟურულის თარგმანით) წარმო-
ადგინა სოხუმის თეატრმა. დადგმა განახორციელა სსსრ ხელოვნე-
ბია დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჟურულმა, რეჟისორი იყო საკ. სსრ
დამსახურებული არტისტი ლ. ქედია, მხატვრები—ნ. ყაზბეგი და
ვ. ნინიშიაგი, მუსიკა დაწერა ა. პოზდნეევმა. როლებს შემსრუ-
ლებლები იყვნენ:

გოროდნიჩი—მ. ჩუბინიძე (სსსრ დამს. არტ.), ანა ანდრეევანა—
თ. მაკარაშვილი (სსსრ დამს. არტ.), მარია ანტონოვნა—ნ. ყიფიანი
და ფ. არაბაშვილი, ხლოპოვი—გ. ფოჩხუა, ლიაპკინ-ტიაპკინი—
ს. ჯაში, ზემლიანიკა—დ. გეგენავა, შპეკინი—ლ. ქედია (სსსრ დამს.
არტ.), გიბნერი—ი. მაზურკვეიჩი, ხლესტაკოვი—ს. გამარეკელი,
აბდულინი—ა. ბოკუჩავა, პოშლიოპკინა—თ. ოქროპირიძე, უნტერ-
ოფიცრის ცოლი—ო. კანდელაკი.

1952 წლის 4 მარტს ასი წელი შესრულდა ნ. გოგოლის გარ-
დაცვალებიდან. ეს ისტორიული თარიღი ფართოდ აღინიშნა მთელს
საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა საქართველომ ღირსეულად გადაიხადა ნ. გოგოლის
ხსოვნის ეს დღე. ქართველმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა ნ. გოგო-
ლის უდიდესი დამსახურება მშობლიური ლიტერატურისადმი, მთე-
ლი პროგრესული კაცობრიობისადმი.

ნ. გოგოლის ხსოვნის ღირსეულად აღსანიშნავად შეიქნა საიუბი-
ლეო კომიტეტი სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ-აკადემიკოსის
გ. ლეონიძის თავმჯდომარეობით. საიუბილეო კომისიები გამოყოფილი
იქნა აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებში.

1952 წლის 9 იანვარს შესდგა რესპუბლიკური კომიტე-
ტის პირველი სხდომა. კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა
ნ. გოგოლის ხსოვნის აღნიშვნის ღონისძიებები. სხდომა გაეცნო
სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს
სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბ-

ქოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გეგმებს. ამ გეგმების უბრალო გადასინჯვაც კი გვარწმუნებს, თუ რა ფართო ხასიათი მიიღო ჩვენში დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის იუბილემ. მთელს რესპუბლიკაში — ქალაქებში, სოფლებში, წარმოება-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში მოეწყო ლექცია-მოხსენებები ნ. გოგოლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, გაიმართა საიუბილეო საღამოები როგორც წარმოება-დაწესებულებებში, ისე სკოლებში. უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა მოაწყეს სპეციალური სამეცნიერო სესიები. კლუბებში და ბიბლიოთეკებში სისტემატურად იკითხებოდა თემატიკური მოხსენებები და მოწყობილი იყო ნ. გოგოლის ცხოვრებისადმი მიძღვნილი გამოფენები. მთელ რიგ სკოლებში, საქარხნო და საკოლმეურნეო კლუბებში დრამატულმა წრეებმა წარმოადგინეს ნ. გოგოლის პიესები, მთლიანად და ნაწყვეტებად, სცენები, მწერლის ნაწარმოებთა ინსცენირებები და სხვ. ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ქუთაისში და სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოეწყო დიდი საიუბილეო საღამოები, რომლებშიც ზონაწილეობა მიიღეს მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ. რაც შეეხება თეატრებს, — არ დარჩენილა ჩვენ რესპუბლიკაში არც ერთი თეატრი რომ ღირსეულად არ გამოხმაურებოდეს ამ სახელოვან იუბილეს.

3 მარტს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა ნ. გოგოლის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. ნ. გოგოლის ხსოვნის პატივსაცემად თეატრში მოვიდნენ მწერლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწენი, მუშები, პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი.

სხდომა გახსნა პოეტმა აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

«დღეს — სთქვა მან შესავალ სიტყვაში — ქართველი ხალხი დიდ რუს ხალხთან ერთად, საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე ხალხთან ერთად, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად პატივსაცემს გენიალურ რუს მწერალ-რეალისტის, თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წესწყობილების უღმობელ მამხილებლის ნიკოლოზ ვასილის-ძე გოგოლის ხსოვნას. ნ. გოგოლის შემოქმედება ყველასათვის ძვირფასია თავისი მაღალი იდეური მიმართულებით. ამხილებდა რა

თვითმპყრობელობას და ბატონყმობას, სძულდა რა ბატონყმური წყობილება, რომელიც ადამიანში ჰკლავდა ყოველივეს ადამიანურს, ნ. გოგოლი ოცნებობდა ბრწყინვალე მომავალზე თავისი ხალხისათვის. ნ. გოგოლის შესანიშნავი ნაწარმოები, მისი გენიალური სატირა ძირს უთხრიდა იმ ფუძეს, რომელზედაც იდგა ნიკოლოზის რუსეთი. მწერალი ემსახურებოდა ყველა იმ ხალხების განთავისუფლებას, რომლებიც რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ნ. გოგოლის მიერ შექმნილი სახეების — ჩიჩიკოვების, ნოზდრევეების, მანილოვებისა და სხვების მინამგვანები არიან დღეს ყოველგვარი საქმოსნები, კერძო მესაკუთრეები და ექსპლოატატორები, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლაც ვაჭრობენ ადამიანთა ცოცხალი სულებით. ეს ცოცხალი სულები ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტებს სპირდებათ ახალ მსოფლიო ომისათვის. ნ. გოგოლს დაუფასებელი დამსახურება მიუძღვის რუსულ და მსოფლიო ლიტერატურის წინაშე. მისმა შემოქმედებამ გენიალური ლენინისა და მისი საქმის დიდი გამგრძელბელის ი. ბ. სტალინის დიდი შეფასება დაიმსახურა“.

ნ. გოგოლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ს. ჭილაიამ. მან ილაპარაკა ნ. გოგოლის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ რუსულ ლიტერატურაში.

მოხსენების შემდეგ პოეტმა ა. აბაშელმა წაიკითხა თავისი ლექსი: „გოგოლის ხსოვნას“.

სალამოს მეორე განყოფილებაში გაიმართა დიდი წარმოდგენა — კონცერტი. კ. შარჯანიშვილის სახელობის თეატრის და ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის მსახიობებმა უჩვენეს სცენები ახლად დადგმული ნ. გოგოლის „რევიზორიდან“. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რუსთაველის სახელობის თეატრის, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა.

ნ. გოგოლის დღეებში მისი ხსოვნის აღსანიშნავი საზეიმო საღამო-კონცერტები გაიმართა თბილისის კლუბებსა და კულტურის სახლებში, აგრეთვე მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში. ლექცია-მოხსენებებთან ერთად ყველგან იყო წარმოდგენილი ნ. გოგოლის დრამატული ნაწარმოებები „რევიზორი“ და „ქორწინება“, მთლიანად ან ნაწყვეტებად. ასეთი საღამოები გაიმართა, სახელ-

დობრ, სარეწაო კავშირის კულტურის სახლში, კ. ვოროშილოვის სახელობის კლუბში, საქ. ვაჭრობისა და სახ. კვების მუშაკთა კლუბში, ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ნ. გოგოლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში. საღამოზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა სტალინური პრემიის ლაურეატმა ლ. ქიაჩელმა, მოხსენება „ნ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება“ გააკეთა ო. ჩხეიძემ. სიტყვებით და ლექსებით გამოვიდნენ მთელი რიგი მოწინავე მწერლები.

საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ 1 მარტს მოაწყო სამეცნიერო სესია. სესიაზე შესავალი სიტყვით გამოვიდა მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნ. ბერძენიშვილი. სესიაზე წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: „ნ. გოგოლის მნიშვნელობა რუსულ მხატვრული რეალიზმის განვითარებაში“ — დოცენტი გ. აბზიანიძე, „ნ. გოგოლი ქართულ ლიტერატურაში და ქართულ თეატრში“ — პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, „კომიკურის პრობლემა ნ. გოგოლის „რევიზორში“ — დოცენტი დ. ბენაშვილი, „ნ. გოგოლი და ხალხური შემოქმედება“ — ე. ვირსალაძე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 27, 28 და 29 თებერვალს მოაწყო ნ. გოგოლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია შემდეგი ფართო პროგრამით: შესავალი სიტყვა — სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. კეცხოველი, „ნ. გოგოლი და ჩვენი თანამედროვეობა“ — დოცენტი ვ. შადური, „ნ. გოგოლი ქართულ ლიტერატურაში“ — დოცენტი გ. ტალიაშვილი, „ნ. გოგოლის მუშაობა „მკვდარი სულების“ ენაზე — დოცენტი დ. მგელაძე და ასპირანტი ლ. ხატიაშვილი, „ნ. გოგოლის მხატვრული სახეები გ. ლენინისა და ი. სტალინის შრომებში“ — ასპირანტი ო. ლორთქიფანიძე, „ნ. გოგოლი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში“ — დოცენტი ნ. ორლოვსკაია, „ნ. გოგოლი და უკრაინული ლიტერატურა“ — დოცენტი მ. კინწურაშვილი, „აზნაურთა „ქარგონული“ მეტყველების ნიმუშები ნ. გოგოლის „მკვდარ სულებში“ — დოცენტი ა. ხიდაშელი, „ნ. გოგოლი და ბულგარუ-

ლი ლიტერატურა“ — მეცნიერების კანდიდატი გ. გიგოლოვი, „დამოკიდებული განსაზღვრებითი წინადადებანი ნ. გოგოლის ნაწარმოებებში“ — დოცენტი თ. მრეელიშვილი, „გოგოლისებური ქართულ ლიტერატურაში“ — დოცენტი გრ. კიკნაძე, „მოგონებანი ნ. გოგოლის 1909 წლის იუბილეზე“ — უფრ. მასწავლებელი გრ. ჯაფარიძე, „ნ. გოგოლი როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი“ — დოცენტი მ. ზაისოგოლოვა, „ნ. გოგოლი და სომხური ლიტერატურა“ — პროფესორი ლ. მელიქსეთბეგი, „ნ. გოგოლის დრამატურგია“ — დოცენტი კ. ლევიციკი, „დროთა წარმოება ნ. გოგოლის თხზულებებში“ — დოცენტი მ. მულკიჯანიანი, „ნ. გოგოლი და გეოგრაფია“ — დოცენტი გ. ზარდალიშვილი.

10 მარტს სამეცნიერო სესია ჩაატარეს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ. სესია გაიხსნა შ. აფხაიძის შესავალი სიტყვით. მოხსენებები წაიკითაეს: „ნ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება“ — დოცენტმა ანა ნიკოლაძემ, „ნ. გოგოლი რევოლუციამდელ ქართულ თეატრში“ — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა აკ. ფალავამ, „ნ. გოგოლის პიესების დადგმები რუსთაველის სახელობის, კ. მარჯანიშვილის სახელობისა და მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრებში“ — ა. ბურთიკაშვილმა, „ნ. გოგოლის პიესების დადგმები ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულ თეატრში, თბილისის სომხური დრამის თეატრში და ლ. ქაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში“ — ლ. ყურულაშვილმა, „ნ. გოგოლის პიესების დადგმები ლ. მესხინვილის სახელობის ქუთაისის და ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის თეატრებში“ — მ. ღვინიაშვილმა, „ნ. გოგოლის პიესების ქართული თარგმანები“ — ს. მთვარაძემ.

ნ. გოგოლის იუბილეს დღეებში, 27 თებერვალს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებამ სპეციალური კონფერენცია მიუძღვნა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ნ. გოგოლის „რევიზორის“ დადგმას.

29 თებერვალს ინსტიტუტში შესდგა სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა და მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: „ნ. გოგოლის დრამატურგია“ — უფროსი მასწავლებელი ნ. შალუტაშვილი, „ნ. გოგოლი ქართულ სცენაზე“ — პროფესორი აკ. ფალავა, „ნ. გოგოლის



მარია ანტონოვნა — მ. თბილელი; გოლოდნიჩი — შ. ლამბაშიძე; ანა ანდრეევნა — ც. წყურჭავაძე.

შეხედულებანი „რევოზორის“ სცენიური განსახიერების შესახებ“ — პროფესორი კ. ანდრონიკაშვილი. 5 მარტს ინსტიტუტში გაიმართა მხატვრული საღამო, რომელზედაც მოხსენება თემაზე „ნ. გოგოლის ცხოვრება და შემოქმედება“ გააკეთა დოცენტმა ა. სამსონიამ და ინსტიტუტის სტუდენტებმა შეასრულეს ნაწყვეტები ნ. გოგოლის ნაწარმოებიდან. ნ. გოგოლის „შეშლილის წერილები“ წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. ვასაძემ.

საქართველოს თეატრალურმა მუზეუმმა მოაწყო გამოფენა „ნ. გოგოლი ქართულ სცენაზე“.

ნ. გოგოლის იუბილესთან დაკავშირებით „სახელგამმა“ გამოსცა ნ. გოგოლის რჩეული ნაწერების ერთტომეული, „საბლიტგამმა“ — ნ. გოგოლის „ტარას ბულბა“, გამომცემლობამ „საბჭოთა მწერალმა“ — ვ. შადურისა და გ. ტალიაშვილის შრომა „ნ. ვ. გოგოლი“. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა წიგნაკები: „გოგოლი ქართულ ლიტერატურაში“ გ. ტალიაშვილისა და „ნ. გოგოლი ქართულ სცენაზე“ გ. ბუხნიკაშვილისა.

ფართოდ აღინიშნა ნ. გოგოლის ხსოვნა რესპუბლიკის პრესაში სპეციალური სტატიებითა და გამოკვლევებით.

მაგრამ მთავარი, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნ. გოგოლის ხსოვნის აღსანიშნავ დღეებში საბჭოთა საქართველოში — ეს იყო ნ. გოგოლის ნაწარმოების დადგმების განხორციელება რესპუბლიკის თეატრებში.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა წარმოადგინა ნ. გოგოლის „რევოზორი“ (ვ. გუნიას და ი. გრიშაშვილის თარგმანით). კომედიის პირველი წარმოდგენა ნაჩვენები იყო 1951 წლის 1 დეკემბერს. ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. იუბილეს დღემდე, 4 მარტამდე რამდენიმე ათეული სპექტაკლი გაიმართა. მთელი ზამთრის განმავლობაში ეს სპექტაკლი თბილისის მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო. როგორც თეატრის ბრწყინვალე შემოქმედებით მიღწევა.

ბევრი რამ კარგი შეიძლება ითქვას სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ა. თაყაიშვილის შესახებ, რომელმაც სცენიური რეალიზმის საუკეთესო ტრადიციებით, მახვილი მხატვრული ხერხების გამოყენებით შესძლო მაყუ-

რებლამდე შესანიშნავად მიეტანა ნ. გოგოლის ნაწარმოების დედა-
აზრი და მხატვრული სიძლიერე.

„რევიზორის“ სატირული სიმახვილის სრულად გადმოცემა შესაძ-
ლოა იმ შემთხვევაში, თუ თეატრის კოლექტივი შეესდგება ნ. გო-
გოლის მხატვრული სტილის თავისებურების ათვისებასა და სათა-
ნადრო ტიპიურ გარემოში სცენიური სახეების ფართო მხატვრულ
განზოგადობას. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეატრის
კოლექტივმა წარმატებით დასძლია ეს ამოცანა და სისრულით გა-
მოგვისაჯა ნ. გოგოლის სატირის ძალა. სცენაზე ვნახეთ ნაძღვლი
ნ. გოგოლი, ნამდვილი ცხოვრება, ნიკოლოზ პირველის შავნელი
დროის დამაჯერებელი მხატვრულად განზოგადოებული სურათები.

ი. შტენბერგის დეკორაციებში ნაძლად იყო გამოსახული უტყუ-
არი მხატვრული აღლო, ეპოქის კარგი ცოდნა.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ კ. მარჯანიშვილის თეატრის წამ-
ყვანი მსახიობები. განსაკუთრებით შესანიშნავი იყო გოროდნიჩის
როლის შემსრულებელი საქართველოს სსრ სახალხო არტიტი შ.
ლამბაშიძე. ნიკიერმა მსახიობმა ბრწყინვალე სასცენო ოსტატობა
გამოამჟღავნა როლის განსახიერებისას. თაღლითი, გაიძვერა, უხეში
და ამავე დროს ცბიერი, მშიშარა და ამავე დროს ხელქვეითების
მიმართ სასტიკი — ასეთი იყო შ. ლამბაშიძის შესრულებით უაღ-
რესად დამაჯერებელი სახე გოროდნიჩისა. შ. ლამბაშიძის გოროდ-
ნიჩი ბრწყინვალე მხატვრული გამოსახვა იყო მეფის ბიუროკრატიული
რეჟიმის მოხელისა. შ. ლამბაშიძის შესანიშნავ თაღაშს ხელს უწყობ-
და მსახიობის ახოვანი, წარმოსადეგი ფიგურა, დამახასიათებელი
გრიმი და ჩაცმულობა.

შეიძლება ითქვას, რომ გოროდნიჩის როლის შესრულებაში
შ. ლამბაშიძე გვერდში ამოუდგა ამ როლის საუკეთესო შემსრუ-
ლებლებს რუსულ სცენაზე: ხოლო თვით მსახიობის მდიდარ რეპერ-
ტუარში ეს არის ერთ ერთი საუკეთესო სცენიური სახე.

გაზეთმა „პრავდამ“ ვრცელი სტატია მიუძღვნა ამ დადგმას და
მაღალი შეფასება მისცა. გაზეთში რეჟისორ-დამდგმელის შესახებ
ვკითხულობთ: „სპექტაკლის რეჟისორმა ა. თაყაიშვილმა ნამდვილი
რეალისტური ოსტატობა გამოამჟღავნა. გვიჩვენა უნარი პიესის
იდეური შინაარსის სიმართლით გახსნისა; მისი გამოსახვისა ხელოვ-
ნების ახალ ქმედით ფორმებში. შექმნილია ცოცხალი. მახვილი


სპექტაკლი, რომელიც გამსჭვალულია გოგოლის უღმობელი სატირის სულით... თეატრმა კარგად ასახა ნიკოლოზის ეპოქის პირქუში და მკაცრი სურათი, გახსნა სკვოზნიკ-დმუხანოვსკების, ხლესტაკოვების, ლიპკინ-ტიპკინების სამყაროს სრული სიცილიერე¹.

მსახიობთა თამაშის შესახებ სტატიაში აღნიშნულია: „სპექტაკლის წარმატების ძირითად პირობას შეადგენს მთელი აქტიორთა ანსამბლის მწყობრი თამაში და პირველ რიგში გოროდნიჩის როლის შესრულება შ. ღამბაშიძის მიერ. მკაცრი და უღმობელი მჩაგვრელი, მოურიდებელი მძარცველი და მექრთამე სკვოზნიკ-დმუხანოვსკი შ. ღამბაშიძის შესრულებით ამავე დროს გამოიყურება დაკნინებულ არსებად, რომელიც თავისი სულიერი არსით გამოხატავს თავადაზნაურულ-მემამულურ წყობილების განწირულებას, რომლის ტიპიურ წარმომადგენლად ის არის გამოყვანილი კომედიაში... გოროდნიჩის-ღამბაშიძის ღირსეული პარტნიორია ხლესტაკოვის როლის შემსრულებელი ვ. გოძიაშვილი. იგი ქმნის ავანტურისტ-ყალთაბანდის რეალისტურ სახეს, რომელიც მოხერხებულად სარგებლობს პროვინციული ქალაქის მოხელეთა სირიგვენიით. როლის შემსრულებლისათვის დამახასიათებელია ძალდაუტანებელი სიმჩატე, ტემპერამენტი. ქუუამახვილი სიმარჯვე...“

სტატიაში ნაქებია ყველა დანარჩენი შემსრულებლები და ბოლოს ნათქვამია, რომ „სპექტაკლი „რევიზორი“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში — ნამდვილი მხატვრული გამარჯვებაა. იგი გვიჩვენებს, თუ რა ნაყოფიერად და შემოქმედებითად ითვისებენ და აწვითარებენ საქართველოს თეატრებში დიდი რუსული დრამატული ხელოვნების კლასიკურ ტრადიციებს“.

კ. მარჯანიშვილის თეატრის ამ სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცა თბილისის პრესამაც. ვრცელი სტატიები დაიბეჭდა ვაზ. „ზარია ვოსტოკაში“ (ი. გრიშაშვილისა), „კომუნისტში“ (დ. ჯანელიძისა), „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (ერ. ქარელიშვილისა) და სხვ. ამ სტატიებში სპექტაკლი შეფასებულ იქნა როგორც დიდი კულტურული მოვლენა და ქართული საბჭოთა სასცენო ხელოვნების ბრწყინვალე გამარჯვება. ყველა შემსრულებელი სპექტაკლში იშვიათი

¹ ვაზ. „პრავდა“ № 119, 1952 წ. 28 აპრ., ბ. ჟღენტი - კ. მარჯანიშვილის სახელობის ქართულ თეატრში“.



„რეუბორი“—ფინალი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

დაკვირვებითა და ოსტატობით თამაშობდა. თვით უსიტყვო როლებიც, ნიქიერი შესრულებით, დასრულებული მხატვრული სახეების სიმალლეზე იყო აყვანილი. გოროდნიჩის როლის სრულყოფილ, თავიდან ბოლომდე ნათლად გააზრებულმა მაღალმხატვრულმა შესრულებამ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს შალვა ღამბაშიძეს მთელ საბჭოთა კავშირში სახელი მოუხვეჭა, როგორც რეალისტური სკოლის მსახიობს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩინებულად ასრულებდა ხლესტაკოვის როლს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. გომიაშვილი. იგი დამჯერებლად გადმოგვცმდა ხლესტაკოვის სიმჩატეს, ხასიათის და განწყობილების ცვალებადობას.

ხლესტაკოვის მსახურის ოსიპის მართალი სახე შექმნა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. სარაულმა. მისი ქცევა, გამოთქმა, — ერთი შეხედვით უბრალო და სადა, — რეალისტური სასცენო ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუში იყო.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ც. წუწუნავამ სახასიათო ოსტატობით დახატა გოროდნიჩის მეუღლის ანა ანდრეევას სახე. გოროდნიჩის ქალიშვილის მარია ანტონოვნას როლს ნიქიერად ასრულებდა მსახიობი მ. თბილელი. მას დამამახსოვრებლად ჰქონდა გაროკვეთილი გულუბრყვილო ქალიშვილის ბუნება. სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობის თამაში აღბეჭდილი იყო უტყუარი, ნათელი მიზანდასახულებითა და მხატვრული სრულყოფილობით. სასწავლებელთა ზედამხედველის ხლოპოვის როლს ასრულებდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ჟორჯოლიანი, მოსამართლე ლია. პკინ - ტიაპკინის — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ი. ტრიპოლსკი, ზემლიანიკასი — საქ. სსრ დამსახურებული არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. კვანტალიანი, ფოსტის უფროსის შპეკინის — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი გ. შავგულიძე. შესანიშნავი იყო ა. ჟორჯოლიანის თამაში. მსახიობის მიერ მშვენივრად იყო გადმოცემული მშიშარა, მიწასთან გასწორებულ ადამიანის ხასიათი. ძალიან კარგი იყო კ. კვანტალიანი მლიქვნელი და მბეზლარა ადამიანის გამოსახვაში. ნიქიერად შეასრულა თავისი როლი გ. შავგულიძემ.

დობჩინსკიმ და ბობჩინსკიმ მსახიობ შ. გოცირელის და საქართ-
ველოს სსრ დამსახურებული არტისტის ა. გომელაურის სახით საუ-
კეთესო შემსრულებლები ჰპოვეს.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა შ. ჯაფარიძემ
ვაჰარ აბდულისის დამაჯერებელი სახე შექმნა.

ნიკოლოზ პირველის სასტიკი პოლიციური რეჟიმის ზუსტი გამომ-
სახველნი იყვნენ მსახიობები დ. ოქროსცვარიძე (უზოვერტოვი), ტ.
საყვარელიძე (სვისტუნოვი), ვ. ნინუა (პუგოვიცინი), ა. ვერული-
შვილი (დერეჟმორდა).

ა. მესხიძე და ნ. ქიტიაშვილი ძალიან კარგად ასრულებდნენ ზე-
ინკალის ცოლისა და უნტერ-ოფიცრის ცოლის როლებს. კარგები
იყვნენ აგრეთვე გ. გოგუა (გოროდნიჩის მსახური მიშკა) და შ. ქო-
ჩორაძე (ტრაქტირის მსახური).

ღირსეულად შეაფასა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ეს
დადგმა თეატრალურმა საზოგადოებრივობამ. 1952 წლის 14 იანვარს
საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო ამ დადგმის
საჯარო განხილვა. კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ სა-
ქართველოს სახალხო არტისტმა შ. დადიანმა, რომელმაც თქვა,
რომ „გენიალური ქმნილების — ნ. გოგოლის „რევიზორის“ — მუდამ
დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ სცენაზე, იგი იყო და არც
ერთ-ერთი საყვარელი პიესა ჩვენი მსახიობებისათვის“.

დადგმის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფესორმა აკ. ფა-
ლავამ, რომელმაც დაწვრილებით გაარჩია როგორც რეჟისორ-დამ-
დგმელის, ისე მსახიობების ნამუშევარი. დადგმის შესახებ დადებითი
აზრი გამოსთქვეს კამათში მონაწილე ხელოვნების მუშაკებმა.

სპექტაკლმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მაყურებელში. მისი
საჯარო განხილვა მოეწყო სტალინის სახელობის თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწე-
სებულებებში.

1952 წლის 4 მარტს „რევიზორი“ წარმოადგინა ლ. მესხიშვი-
ლის სახელობის ქუთაისის თეატრმა (ვ. გუნიას და ი. გრიშაშვი-
ლის თარგმანით). ეს სპექტაკლი კარგად იქნა შეუასებული პრესისა
და საზოგადოებრივობის მიერ. როგორც რეცენზენტები აღნიშნავენ,
სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა საქართველოს სსრ სახალხო
არტისტმა დ. ანთაძემ მხატვარ დ. თაყაიშვილთან შემოქმედებითი

თანამშრომლობით, შესძლო გოგოლის კომედიის სოციალური მნიშვნელობა წინა პლანზე წამოეწია და შეექმნა ღრმად გააზრებული, რეალისტური სპექტაკლი¹.

ამ სპექტაკლში როლები შეასრულეს ვ. გვენცაძემ (გოროდნიჩი), თ. ლორაქიფანიძემ (ანა ანდრეევნა), მ. ფხაკაძემ (მარია ანტონოვნა), გ. კოკელაძემ (ხლესტაკოვი), საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. ჩხიკვაძემ (ოსიპი) და სხვა.

ამ დადგმის საჯარო განხილვა მოაწყო საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის ქუთაისის განყოფილებამ. მოხსენება სპექტაკლის შესახებ გააკეთა დოცენტმა დ. ბრეგაძემ. მომხსენებელმა და კამათში მონაწილეებმა აღნიშნეს დადგმის როგორც ღირსებანი, ისე ცალკეული ნაკლოვანებანი მსახიობთა თამაშში².

„რევიზორი“ უჩვენა ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულმა დრამატულმა თეატრმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ა. თაყაიშვილის დადგმით. პირველი წარმოდგენა ნაჩვენები იქნა ოთხ მარტს. სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო მსახიობები. დადგმა საზოგადოებრივობამ თეატრის საუკეთესო მხატვრულ მიღწევად ჩასთვალა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანმა თეატრმა ნ. გოგოლის ხსოვნის აღსანიშნავად წარმოადგინა მისი კომედიები „ქორწინება“ და „ბანქოს მოთამაშენი“ და აგრეთვე „შეშლილის წერილები“ (თარგმანი სტალინური პრემიის ლაურეატის ს. შანშიაშვილისა). აღნიშნულ ნაწარმოებთა დადგმა განხორციელებულ იქნა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დ. ალექსიძის, ა. დვალიშვილის და მ. თუმანიშვილის რეჟისორობით, მხატვრულად გააფორმეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეებმა სტალინური პრემიის ლაურეატებმა ფ. ლაპიაშვილმა და დ. თაყაძემ. პიესები თეატრის კოლექტივის ჩვეული ოსტატობით იყო განსახიერებული. განსაკუთრებით აღინიშნა „შეშლილის წერილების“ ბრწყინვალე შესრულება სსრ კავშირის სახალხო არტისტის სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ვასაძის მიერ. მსახიობმა რე-

¹ გახ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 58, 1952 წ. 21 მარტი, რ. ბერძენი „რეალისტური სპექტაკლი“.

² გახ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 28, 1952 წ. 12 მარტი.

ალისტური სიძლიერით გადმოსცა პატარა მოხელის პოპრიშჩინის ტრაგედია, გამოწვეული შავბნელი წყობილების გარემოცვით.

ნ. გოგოლის „ქორწინება“ საიუბილეო დღეებში გვიჩვენა თბილისის სომხური დრამის თეატრმა. კომედია თარგმნა ა. ქაჯგორიანმა. იგი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ფ. ბუიკიანმა, მხატვრულად გააფორმა მ. კირაკოსიანმა, მუსიკა დაწერა ბ. ავეტისოვმა.

„ქორწინება“ წარმოადგინა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა (დადგმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ყურულისა, მხატვარი დ. თაყაიშვილი, კომპოზიტორი ო. ბარამიშვილი), ლ. კაგანოვიჩის სახელობის თბილისის რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრმა (დადგმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. მარშაკისა, მხატვარი საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე ი. შტენბერგი), სოხუმის თეატრმა (დადგმა ა. გამსახურდიასი, მხატვარი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ყაზბეგი) და ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრმა (დადგმა გ. იოსელიანისა, მხატვარი ი. პეტრაიტისი).

ზ. ფალიაშვილის ლენინის ორდენოსანმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ნ. გოგოლის ხსოვნას მიუძღვნა პ. ჩაიკოვსკის ოპერის „ქოშების“ დადგმა (ნ. გოგოლის მოთხრობის მიხედვით). რეჟისორ-დამდგმელი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. კვალაიშვილი, დირიჟორი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. დიმიტრიადი, მხატვარი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. კუკულაძე.

ნ. გოგოლისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო ინტერნაციონალური საღამო-წარმოდგენა გაიმართა 1 მარტს თბილისის სომხური დრამის თეატრში. წარმოდგენილი იქნა ქართულად — „რევიზორის“ მეორე მოქმედება კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობების მონაწილეობით, სომხურად — „ქორწინების“ მეორე მოქმედება თბილისის სომხური დრამის თეატრის მსახიობების მონაწილეობით და რუსულად — „რევიზორის“ მეორე და მესამე მოქმედების ფრაგმენტები ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატული თეატრის მსახიობების მონაწილეობით.

ასე მდიდრად და შინაარსიანად აღნიშნეს დიდი რუსი მწერლის ნ. გოგოლის ხსოვნას დღეები საბჭოთა საქართველოს თეატრებმა.

გენიალურა რუსი მწერლის ნიკოლოზ ვასილისძე გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილე საქართველოში გადაიქცა დიდი რუსი ხალხისა და მისი კულტურის უსაზღვრო სიყვარულის დემონსტრაციად. ეს იყო ნამდვილი სახალხო დღესასწაული. ნ. გოგოლის დღეებში ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა თავისი ურყევი მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა რუსული კულტურის დიადი მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებაში, უჩვენა თუ რა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო რუსული კულტურისა და თეატრის ცხოველმყოფელმა გავლენამ ქართულ ლიტერატურასა და თეატრზე.

ნ. გოგოლის საუბილეო დღეებში საბჭოთა კავშირის ხალხებმა უფროსი ძმის, დიდი რუსი ხალხის მოთავეობით, ერთხელ კიდევ თვალნათლივ აჩვენეს ლენინურ — სტალინურ ი ნაციონალური პოლიტიკის სიმტკიცე და სიძლიერე.

2

